

საქართველოს სსრ-ის მკვლევარების

K49166
2

საქართველოს
სსრ-ის მკვლევარების

იური სოსახუციძე



სენათი

(ღაგმთი)

საისტორიო
გეოგრაფიის
მასალები

I

K 49166
2



გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
ბათუმი
1977

901

ს-561

კანეთი ისტორიული საქართველოს ორგანული ნაწილია. ამიტომ მისი მეცნიერული შესწავლაც აუცილებელია.

ამ ამოცანას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. მასში მოცემულია ამ კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის ცდა.

რედაქტორი აკად. ს. ჯიქია

© გამომცემლობა „საბჭოთა აზარა“ — 1977

С $\frac{10602-042}{M 621(08)-77}$ 32-1977

სოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამკრით, ჭანეთის მთას იქით არს ჭანეთი და აწ უწოდებენ ლაზსავე... კაცნი არიან სელოვანნი სის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა. და სარწმუნოებით არიან სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედი ვინმე მოიპოვებთან ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართული ენა ვიეთთამე.

ზანუშტი ბაბრაბიონი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მხარეთა ეთნიკური შედგენილობა უძველესი დროიდან, ვიდრე საშუალო საუკუნეებამდე — დიდი და საპატიო ამოცანაა და ღირსია სპეციალური შესწავლისა და ეს ამოცანა უნდა გააშუქოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მეცნიერება წერილობითი წყაროების კრიტიკული შესწავლით, არქეოლოგიურ სამუშაოთა გაშლით (მისი იქამდე განვითარებით, რომ ტომთა არქეოლოგიაც გვქონდეს), ენობრივი, ისტორიულ-გეოგრაფიული, ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მონაცემების შედარებითი შესწავლით ამ ამოცანას მართებულად გააშუქებს“ — წერდა ნ. ბერძენიშვილი 1956 წელს.¹

ამავე არეალში შედის შავი ზღვის ჭანური სანაპიროც, რომლის უმთავრესი ნაწილი ამჟამად საქართველოს საზღვარს მიღმაა. მართალია, ეს გარემოება ძლიერ აფერხებს ამ მხარის იმგვარ შესწავლას, რაზეც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, მაგრამ შესაძლებელი მაინც უნდა გაკეთდეს. ამის აუცილებლობას სახავეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლის სადღეისო ამოცანები.

ჭანეთისადმი ასეთი დამოკიდებულება ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი მოვლენა არ არის, იგი ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაში დაიწყო და ჩვენს დრომდე საკმაოდ საინტერესო გზაც განვლო.

1 ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია, „პ. ინგოროყვას წიგნის „გიორგი მერჩულეს“ გამო“, მნათობი, 12, გვ. 126-127.

მეცნიერების თანამედროვე დონეზე ამ საქმის წარმატებით განვითარება ქართველოლოგთა ერთობლივი შემოქმედებით შეიძლება მხოლოდ. სამამულო მეცნიერებათა ამ დიდ ნაღში მცირე წილი არც საისტორიო გეოგრაფიის მკვლევართ უღევთ.

ჭანეთის საისტორიო გეოგრაფიის შესწავლის ისტორიიდან

ჭანეთის შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიაში სწორედ ისტორიულ - გეოგრაფიული ძიებით დაიწყო XVIII საუკუნეში

(ვახუშტი ბაგრატიონი).²

საქართველოს განვითარების ახალ ხანაში უფრო ჭანეთის ლინგვისტური შესწავლა დაწინაურდა, მაგრამ ისეთი დიდი მეცნიერის ხელში, როგორც ნ. მარი იყო, არც მხარის საისტორიო გეოგრაფია შეიძლებოდა დარჩენილიყო ჩრდილში და ამ მხრივაც საგულისხმო მასალა-დაკვირვებანი დაგროვდა.³ ასევე ფართო პლანით განაგრძობდა ძიებას ნ. მარის ნიჭიერი მოწაფე ნ. ყიფშიძე.⁴

არც ახალი ქართული ისტორიოგრაფია აკლებდა გულისყურს ჭანეთს. ამ მხარეზე მისი ნამოღვაწარი საფუძვლიანადაა შეჯამებული „საქართველოს საისტორიო რუკაზე“, რომელიც ი. ჯავახიშვილმა გამოსცა 1923 წელს.

მოგვიანებით ჭანეთის ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევას დიდი ძალ-ღონე შეაღია პ. ინგოროყვამ, მაგრამ მეთოდის სინაკლულემ, წყაროებისადმი არაკრიტიკულმა დამოკიდებულებამ და ზოგმა სხვამ კანონზომიერად განსაზღვრეს სამწუხარო წარუმატებლობა.⁵ მიუხედავად ამისა, ამ საქმეს მთლად უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია. ეს გარემოება უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ მან თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ძიების ასე წარმართვა აღარ შეიძლება და წარმატების მისაღწევად სხვაგვარად უნდა ვიმუშაოთ. ამკარა გახდა ისიც, რომ, ვიდრე ქვეყანა ისტორიულ-გე-

2 ქართლის ცხოვრება, 4, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1972 (ქვემოთ — ვახუშტი, აღწერა).

3 Н. Я. Марр, Из поездки в турецкий Лазистан ИИАН, 1910. (ქვემოთ — ნ. მარი, მოგზ.).

4 ი. ყიფშიძე, I საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულში. II მივლინების დღიური ჭანეთში მოგზაურობა გამოსცა ა. ჩიქობავამ, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, I, ტფ., 1937, გვ. 147-177.

5 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

ოგრაფიულად აღწერილი და შესწავლილი არ არის, მანამდე მისი არც ეთნიკური გეოგრაფიის საკითხების კვლევაში გვექნება წარმატება, არც პოლიტიკურ გეოგრაფიისაში და არც სხვაგან.

ვახუშტი ბაგრატიონმა თავის დროზე კარგად აღწერა ჭანეთი. ახალმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ საამისო მასალების მოძიებით დაასრულა აქ თავისი მისია და ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ამ საქმის შეთავება და კვლევის ახალ საფეხურზე აყვანისათვის ბრძოლა უანდერძა. ამ ანდერძის განსახორციელებლად ქართული ისტორიოგრაფია განსაკუთრებით ენერგიულად იღვწის 50-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა დაიწყო. ამავე დროს მიექცა ყურადღება ჭანეთსაც.

პირველად ჭანეთის ის ნაწილი აღიწერა, რომელიც დღეს საქართველოს ფარგლებშია.⁶ უფრო ათული დარჩა იმ ნაწილის შესწავლა, რომელიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაა. ამ მხარის აღწერის ძირითად საშუალებად საბჭოთა მკვლევარს დღეს წერილობითი წყაროები რჩება. ამავე საქმეში ერთგვარი სამსახური ვაკვიწიეს ჭანეთის სხვადასხვა ადგილებიდან გამოსულმა პირებმაც. ასეთები დღემდე საკმაოდ მოიძებნებიან საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ასეთი ძიებით შესაძლებელი გახდა ისტორიული ჭანეთის მრავალი სოფლის, ადგილის თუ ძეგლის ლოკალიზება, აღწერა და სხვა.

ჭანეთის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები

საისტორიო გეოგრაფია მრავალი წყაროთი შეისწავლება. ესენია: საგეოგრაფიო სახელები, ნიკთიერი კულტურის ძეგლები, წერილობითი ჩვენებანი და სხვა.

ჭანეთის საგეოგრაფიო სახელები სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ენობრივი მიკუთვნილობის ფაქტებს შეიცავს. მათ შორის ძირითადია ჭანური წარმოშობის სახელები, რომელთაგან უძველესი ადრეფეოდალურ ხანისაა, ხოლო უახლესი — ჩვენი დროისა (ახალი ჭანური სახელები მეტწილად მბკროტოპონიმიაში გვხვდება).

ჭანურის შემდეგ მოდის თურქულ-არაბული სახელები. უძველესი ამათგან XVI საუკუნის შუახანებზე ვერ ჩასვდება (ამ დროს დაიპყრეს ოსმალებმა ჭანეთი), ხოლო უახლესი ჩვენს დროზე მოდის.

6 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958 წ.

აქვე გვხვდება ბერძნულ-ბიზანტიური სახელებიც. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები იყვნენ ახლო ურთიერთობაში ამ მხარესთან და ეს მოვლენა გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც აისახა. ტრადიცია არც ბიზანტიურ ხანაში შეწყვეტილა და V ტრაპიზონის საკეისროც (1204-1461) ამავე ტიპის სახელმწიფო იყო.

ოსმალთა მფლობელობის პერიოდში ჭანეთში მკვიდრებიან მუსლიმანი სომხობიც (ხემშინები) და ამისდა კვალად ჩნდება სომხური ტოპონიმებიც.

უძველეს დროს ამ მხარეში ქართველურ ტომთა (ჭენოიხები, შაკრონები და სხვ.) გვერდით, სხვა მონათესავე ტომებიც (ძიდრიტები და სხვა) მოსახლეობდნენ. ამათი კვალი ტოპონიმიაშიც შეიძლება აღმოჩნდეს.

ამა თუ იმ მხარის საისტორიო გეოგრაფიის შესასწავლად ძვირფას ჩვენებებს შეიცავენ მატერიალური კულტურის ძეგლები — წარმართული, ქრისტიანული თუ ისლამური საკულტო ძეგლები, გზების მიმართულების მანიშნებელი, სხვადასხვა დროის ხიდები, სხვადასხვა ეპოქის და დანიშნულების ციხე-სიმაგრეები და სხვ.

ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წარმართული სალოცავის დასახელება შეგვიძლია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (მითრას სამსხვერპლო ტრაპიზონში, ქალღმერთ ათინას ტაძარი ათინაში და სხვ.). ასევე ითქმის ლაზეთის უძველეს ეკლესიებზე. ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ცნობით, ჭანეთში პირველი ქრისტიანული სამლოცველო იუსტინიანე კეისრის დროს (527-565) აუგიათ სქამალიზონში („კოქსილინის ჭანეთი“). აქედან მოკიდებული XVII საუკუნემდე, ამ მხარეში ასეთსავე სამლოცველოებს აგებდნენ როგორც ბიზანტიელები, ისე ჭანებო-ხოლო მოგვიანებით გენუილებიც, რომელთა სახელიც დღემდე შემორჩა სოფლის სახელს „ჯანია“. უკანასკნელი ეკლესიები ჭანეთში XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. ამიერიდან ქვეყანაში შემოდის ისლამი და შესაბამისად „მეჩეთი“-ც. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ამ მხარეში განმტკიცდა ისლამი, მაგრამ ხალხი მაინც არ ივიწყებს მამაპაპურ „ოხვამეთა“ ნანგრევებს, რომელიც დღემდე შემორჩა ჭანეთის მრავალ ადგილას (სუმჯუმაში, მაკრიალში, აზლაღაში, პირონითში, ართაშენში და ა. შ.).

თავდაპირველად ჭანეთში ციხეებს თვით ჭანები აგებდნენ. საამისო ცნობები საკმაოდ დაუტყავს ანტიკურ და ბიზანტიურ მწერლობას. პრ. კესარიელი, როცა იუსტინიანე კეისრის დროინდელ ლონისძიებებს აგვიწერს ჭანეთში, ხშირად მიუთითებს, რომ მაშინ ბიზანტიელებმა „განაახლეს“ ძველჭანური სიმაგრეებით („ხარტო-

ნის ციხე“, „სისილისსონის ციხე“). ამავე ისტორიკოსის ცნობებიდან ამ ციხეთა დანიშნულებაც ირკვევა (ერთიც და მეორეც „ოკენითის ჭანთა“ ქვეყნის სასახლეგრო იყო).

ამიერიდან, ჭანთა „თავისთავადობის“ უზრუნველმყოფელი ეს ციხეები დამპყრობლის სამსახურში ჩადგნენ.

ზოგიერთი სიმაგრე ბიზანტიელებს (თუ პროკოპის ვერწმუნებით) უციხურ ადგილასაც აუშენებიათ („ჰორონონის ციხე“ — ჭანეთისა და პერსარმენის გზაბოძალზე), ხოლო ერთიც „(ბურგუნოისი“) იქ, სადაც ადრე ჭანეთთან მებრძოლი ბიზანტიელი სარდლის „ლონგინეს თხრილი“ იყო. პროკოპი სხვა ციხეებსაც ასახელებს (სქამალიხონის, ჯანზაკონის) ამ ისტორიკოსის მონათხრობიდან ისე გამოდის („ამჟამად აქ აგებულია ორი ციხე“), რომ თითქოს ესენი ბიზანტიელებს აეგოთ, მაგრამ ეს ძნელი სარწმუნოა, რადგან პირველი „კოქსილინის ჭანების“ დედა ციხე (ციხე ქვეყანაში) ჩანს. ხოლო მეორე — სასახლეგრო, რომელიც იუსტინიანეს დროიდან ბიზანტიელთა ლაშქრის „დუქსი“ იდგა, ისევე როგორც ჰორონონში.

იუსტინიანეს დროს განუახლებიათ რიზეც და მოუზღუდავთ კიდევ. ერთი წყაროს (დანიელ მესვეტის „ცხოვრება“) ცნობით, ხოფის ციხეც ბიზანტიელებს „აუგიათ“ ლეონ პირველის დროს (457-474). აგებაში ზოგჯერ განახლებაც იგულისხმება. როგორ იყო საქმე ამ შემთხვევაში კერძოვით ძნელი სათქმელია. ზედმიწევნით არც ის ირკვევა, თუ სად ააშენა არჩილ ქართველთა მეფემ ციხე ჭანეთში VIII საუკუნის მეორე ნახევარში.

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072) ბიზანტიელებს მარტოოდენ აფხაზეთში კი არ ებრძოდა, არამედ ჭანეთშიც. აიღო თუ არა ხოფის ციხე, რომელსაც ის შემოადგა, ამაზე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ დავით აღმაშენებელს (1089-1125) ხოფა რომ უჭირავს, ეს კარგად ჩანს მისი ისტორიკოსის თხზულებიდან.

ფლავიუს არიანეს ცნობით, ციხე ჰქონია ათინასაც, რომელიც II საუკუნის 30-იან წლებში „მიტოვებული“ ყოფილა.

ნაციხვარი არის სოფ. ყალეშიც (ათინიდან 20 კმ-ზე). ადგილზე მისვლის გარეშე ამ „ჯიხას“ ასაკი ვერ გაირკვევა. რაც შეეხება მის დანიშნულებას, ის კონტროლს აწესებდა არზრუმ-ათინას გზის ერთ მონაკვეთზე.

„ჯიხა“ მელექსატურის ხეობაშიც არის, მაგრამ იმ აღწერილობის მიხედვით, რომელიც ნ. მარმა დაგვიტოვა, მისი არც ასაკის გათვალისწინება ხერხდება და არც დანიშნულებისა.

საინტერესო ჩვენებებს შეგვძენდა „კიზ-კულეს“, კალეჯუკის

მეძბრუნის და ჭანეთის სხვა ციხეების არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლა და ისტორიულ-გეოგრაფიული გააზრება.

წერილობით წყაროებში ცნობათა სიუხვით გამოირჩევიან ძველბერძნული და ბიზანტიური ძეგლები. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VI საუკუნის ისტორიკოსების პროკოპი კესარიელის და აგათია მირინელის თხზულებები.

პროკოპი კესარიელი „დე ბელლო პერსიკო“-ში („ომი სპარსელებთან“) დაწვრილებით აგვიწერს ჭანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების დონეს, ბიზანტიელთა და ჭანთა ურთიერთობას, ქრისტიანობის გავრცელებას ჭანეთში და სხვ. ავტორი აღნიშნავს ჭანთა „მრავალტომიანობას“ და შედარებით ვრცლად ჩერდება ოკენითის ჭანებზე. აქ ბიზანტიელი ისტორიკოსი სიამაყით აღწერს იუსტინიანე იმპერატორის ღონისძიებებს ჭანეთში — ტყეების გაჩეხვა, გზების შეკეთება და სხვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი შეიქმნა „დაუბრკოლებელი კავშირი“ ჭანებთან, მაგრამ ყველაფერ ამას სანუკვარი თავისუფლების დაკარგვაც მოსდევდა. რა თქმა უნდა, ბიზანტიელთა მფლობელობაში მოხვედრა არც ისე „იოლ მონობას“ მოასწავებდა. როგორც ეს ავტორს მიაჩნია, მაგრამ რაოდენ მსუბუქიც არ უნდა იყოს „მონობა“, იგი ვერასოდეს ვერ იქცევა თუნდაც ყველაზე „სახიფათო თავისუფლების“ ექვივალენტად.

აგათია მირინელის ცნობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭანთა 556 წლის აჯანყების აღწერა და მათი ბრძოლა ბიზანტიის ჯართან რიზეს ახლოს. აჯანყებულებს რომ ისეთი „გამჭრიახი და მარჯვე“ წინამძღოლი ჰყოლოდათ, როგორც ეს ბიზანტიელთა სარდალი თეოდორე ჭანი იყო, პირველ წარმატებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ, მაგრამ დამპყრობლის სამსახურში მდგომი მათივე თვისტომის მოხერხებით დამარცხდნენ სწორედ ჭანები.

ძველი ბერძენი მწერალი სტრაბონი უშუალოდ ჭანებს არ იხსენიებს, მაგრამ მის „გეოგრაფია“-ში (დაწერილია ახ. წ. აღ. I ს. ათიან წლებში) ბევრი საგულისხმო ჩვენებაა დაცული სამხრეთ-დასავლეთ შავი ზღვისპირეთის ტომებზე. მათგან აღსანიშნავია ცნობები „ჰენოიხების ოთხი ბასილევსის“ (მითრიდატეს დროს), „ხალიბხალდთა ქვეყანაში“ აღმართული ლითონებით სავსე და „ტყიანი მთების“, ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოთ მცხოვრებ ტომთა განსახლებასა და სხვათა შესახებ.

ამ მხარის გეოგრაფიისა და ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ფლავიოს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, რომელიც 134 წელ-

საა შედგენილი. რომაელი მოხელე თანმიმდევრობით ასახელებს პუნქტებსა და მდინარეებს (მანძილების აღნიშვნით), ამავე თხზულებიდან ვტყობილობთ, თუ რომელ პუნქტში ედგათ რომაელებს ჯარები (პისოსი, აფსაროსი). სად იყო „ანქიალეს“ სასახლე (მდ. ბრიტანიდთან), როგორი იყო ამ სანაპიროს ზოგიერთი ნავსადგური (ათინა) და სხვა.

ამ წყაროს ისე ძლიერ დასესხებია ერთი გვიანდელი (V ს.) უცნობი ავტორი, რომ მის თხზულებასაც ერთ დროს არიანესვე მიაწერდნენ. ამ ნაშრომშიც ცოტა არ არის ჩვენთვის საინტერესო და საგულოსხმო.

V საუკუნის მეორე ნახევარში ჭანთა ლაშქრობაზე კაპადოკიასა და სირიაში ცნობა დაუცავს VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას. საგულოსხმო ცნობებს შეიცავს იმავე საუკუნის მწერლის სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაც“.

VIII საუკუნის მეორე ნახევრის კონსტანტინეპოლელი მოღვაწის ეპიფანეს „ანდრიას ცხოვრებაში“ ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი, სადაც „ტრაპეზუნტი ლაზიკის ქალაქად“ იხსენიება.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსათვის ახალი სახელწოდების (ლაზიკა) დამკვიდრებისა და ამ მხარის საეკლესიო დაყოფაში განხორციელებულ ცვლილებათა გასათვალისწინებლად ძვირფას ჩვენებებს შეიცავს ბასილი საფონელის (IX ს. „ეკატესისები“.

საინტერესოა ევსტათი თესალონიკელის (XII ს.) ზოგიერთი ჩვენებაც. ჭანებზე მრავალი შესანიშნავი ცნობა მოეპოვება ტრაპიზონის იმპერატორთა სახლის ისტორიკოსს მიქელ პანარეტოსს, რომლის „ტრაპიზონის ქრონიკა“ 1204 წლის ამბებით იწყება და 1426 წლამდე გრძელდება.

პანარეტოსი მართებულად მიუთითებს იმ „გულმოდგინებასა და ღვაწლზე“, რაც თამარ მეფეს მიუძღვის ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. იგი „იბერიის მეფის დავითის“ ტრაპიზონზე ლაშქრობასაც აღნიშნავს (1282 წლის აპრილში). იქვე, ისტორიკოსი, თუმცა პირდაპირ წერს, რომ თამარ მეფის შვილიშვილი ტრაპიზონიდან „ხელცარიელ ვაბრუნდა უკან“-ო, მაგრამ ტრაპიზონელი მემატიანე რომ ცოდავს (ზეპირსიტყვიერი ცნობების გამო) ეს კარგად ჩანს — 1285 წლის ახლოს მომხდარი ერთი ისტორიული აქტის მისეული აღწერილობიდან. მანუილ I კომნენის (1238-1263) ასულ თეოდორას (რუსუდან იბერიელი დედოფლისაგან), რომელიც ამ დროს დაამარცხა მისმა ნახევარძმა იოანე II-მ, სწორედ დავით ნარინის დახმარებით უნდა დაეკავებინა ტრაპიზონის საიმპერატორო ტახტი.

ძალიან საინტერესოა, რომ ალექსი II კომნენის (1297-1330) უფროსი ასული ანნა (ქართველი დედოფლისაგან) ტრაპიზონში გახელმწიფებას, როგორც ამას პანარეტოსი გვამცნობს, სწორედ „ლაზეთიდან“ და „ლაზური ჯარით“ ახერხებს. 1341 წლის 17 ივლისს ლაზებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს ანნა დედოფალს უზურპატორ მიხეილ კომნენის წინააღმდეგ ბრძოლაში. პანარეტოსის ჩვენებით, „ლაზებმა გაძარცვეს“ ის კატარღები, რომლებიც კონსტანტინოპოლის კანდიდატს მოჰყვნენ იმავე წლის 30 აგვისტოს. მათვე დახოცეს ანნა დედოფლის მტრებიც. ✓

„ქრონიკა“ სავსეა სელჩუკიანი სულთნებისა და ამირების თუ მათ მემკვიდრეთა განუწყვეტელი შემოსევებისა და რბევა-აოხრების ეპიზოდებით.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ საინტერესო ცნობებია რომელიმე მწერლის პლინიუს უფროსის (23-79 წ.წ.) „ნატურალის ჰისტორია“-ში. პლინიუსის გეოგრაფიული ცნობები ღირსებით თუმცა ჩამოუვარდება არიანესას, მაგრამ მასთან ეთნიკური თვალსაზრისით საინტერესო ჩვენებებია დაცული „კაენთა ტომი“, „არმენო-ხალიბთა ტომი“ და სხვ.

ებრაული წყაროებიდან ძალზე საინტერესოა „დაბადება“. ამ თხზულებაში ამბები, თუმცა, მეტწილად, სიტყვაძუნწადაა აღწერილი, მაგრამ იგი ბევრ შემთხვევაში მაინც უბადლო წყაროა. „დაბადების“ უხვი ცნობებიდან ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, იქცევს „თუბალ-კაინი“. გარდა სატომო სახელისა „კაინი“, რომელიც აქ იხსენიება, ეს კომპოზიტი სხვა მხრივაც არის საყურადღებო (შდრ: „არმენო-ხალიბი“).

ასევე საგულისხმოა „დაბადების“ ცნობა კაენზე, რომელიც იყო „მშრომელ ქუეყანისა“, მისი კონფლიქტი „უფალთან“ და სხვ.

საინტერესო ჩვენებებს შეიცავენ სომხური წყაროებიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია VII საუკუნის გეოგრაფიული თხზულება, რომელსაც ანანია შირაკაცს მიაწერენ.

ზოგიერთი ცნობა მოეპოვება ფრანგ მისიონერ ლუი გრანჟიესაც. 1614 წელს ლუი გრანჟიე შემთხვევით მოხვდა ჭანეთში და გულმოდგინედ აკვირდებოდა ჭანთა ცხოვრებას. მას, როგორც იეზუიტთა ორდენის წარმოგზავნილს, განსაკუთრებით საინტერესებდა ქრისტიანობის ბედი ამ მხარეში, ისლამის შემოსვლა და სხვა. ფრანგი მისიონერი მოწამე იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც იმ დროს ჭანეთში მიმდინარეობდა ცხოვრების მამაპაპური წესრიგისა და ქრისტიანობის დასაცავად. იმასაც აღნიშნავს, თუ როგორ ტოვებდ-

ნენ უცხო სარწმუნოებასთან შეურიგებელი ჭანები მშობლიურ სამკვიდრებელს და გადადიოდნენ საქართველოს შიდა რაიონებში.

გვიანშუასაუკუნეებიდან ჭანეთზე განსაკუთრებით უხვი ჩვენებებია ოსმალურ წყაროებში, რომელთაგან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ჭანეთის ოსმალური აღწერის დავთარი, რომელიც 1554 წელსაა შედგენილი, ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნი“ (XVII ს.) და სხვ.

ჭანეთზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები დაუცავთ ქართულ ძეგლებსაც — აბოს წამებას (ი. საბანისძისა), სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას (ბ. ზარზმელისა), „მატიანე ქართლისა“-ს, ჟამთააღმწერლის თხზულებას და ა. შ.

გვიანდელი წყაროებიდან ცნობების სიუხვით ჭანეთზე გამოირჩევა „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომელიც ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა (XVIII ს-ის დამდეგს). აქ დაცულ ცნობებს ადასტურებს და ზოგიერთ ახალ ჩვენებებსაც გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.). ასეთი ცნობები უხვადაა სახელოვანი ისტორიკოსის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახუშტი მიუთითებს ჭანეთ-ლაზეთის საზღვრებზე გვიანშუასაუკუნეებისათვის („გონივრად... ტრაპიზონის საზღვრამდე“). ამ მხარეში იგი განსაკუთრებით გამოჰყოფს „მცირე ქალაქებს“: „ხოფჯას“ და „რიზას“, იხსენიებს „რკინის პალოს“, „სატრაპელას“ და სხვა.

ვახუშტი ჭანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებსაც აგვიწერს, სამეურნეო-ეკონომიურსაც და კლიმატურსაც.

ადამიანთა საზოგადოების (გვარის, ტომის, ხალხის...) ისტორიული ცხოვრება თავისებურად აისახა ფოლკლორში. მეცნიერულად შესწავლილი ამგვარი ჩვენებანი ისტორიის საიმედო საშენი მასალაა. ჭანურ ზეპირსიტყვიერებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ისტორიული გადმოცემები, რომელთა დიდი ნაწილი თამარ დედოფალს უკავშირდება. ტრაპიზონის საეპისკოპოსოს დამაარსებლისა და ჭანთა დიდი ქომაგის — თამარის სახელის პოპულარობა ამ მხარეში შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება. თუ აქ იმასაც გავიხსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ჭანები უშუალოდ შემოდიოდნენ საქართველოში და აქტიურად მონაწილეობდნენ მშობლიური ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვა-მშენებლობაში, მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ შეითვისეს და შეიყვარეს თამარი მათ.

წყაროებს არ მოეპოვება ცნობა თამარის უშუალოდ ყოფნისა ჭანეთში 1204 წელს, მაგრამ ბათუმ-გონიით რომ მიდიოდა თამარის

მხედრობა ტრაპიზონში, ამის ხსოვნა შემოუნახავთ ადგილთა სახე-
ლებსა და გადმოცემებს.

თამარი ჭანებს თავიანთი ყოფა-ცხოვრების მფარველადაც მა-
აჩნდათ და მას მიაწერდნენ წარმატებას ხით ხურობაში („თამარ-
მა დაგვილოცა ხელი“-ო). ჭანეთში გავრცელებული ყოფილა თქმუ-
ლება თამარის „ერთ ღერ თმა“-ზეც და სხვ. ძლიერი მფარველის
სინონიმად მოჩანს თამარ მეფე გვიანდელ ჭანურ თქმულებებშიც.
ერთ-ერთი ასეთი გადმოცემით, ოსმალთაგან შევიწროებული ჭანე-
ბი „თამარ მეფეს“ თხოვენ ადგილებს შიდასაქართველოს რაიონე-
ბში დასასახლებლად და ისიც წყალობას არ აკლებს მათ.

ჭანური თქმულებები ზიკვარულით მოგვითხრობენ სამშობლოს
თავისუფლებისათვის თავდადებულ გამირებზეც, რომელთა შორის
გამოირჩევიან პეტრე ხეცია, კახაბერი და სხვები.

ჭანური ფოლკლორული ტექსტების ჩაწერა ჯერ კიდევ XVII
საუკუნეში დაიწყო (ევლია ჩელები). ამ მხრით განსაკუთრებით
რეალსაჩინოა ნ. მარის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯიქიას,
ს. ულენტის და ზოგიერთ სხვათა ღვაწლი.

ჭანთა შესწავლა ამ ასორმოდანათიოდე წლის წინათ დაიწყო
ამ ტომის მეტყველების კვლევით. კლაპროტი, როზენი, ერკერტი,
აჭარიანი და სხვები ენერგიულად სწავლობდნენ ჭანურს. ჭანთა ვი-
ნაობისა, წარსულისა თუ ყოფა-ცხოვრების ცალკეულ მხარეებზე
საყურადღებო დაკვირვებები მოეპოვებათ ოსმან-ბეის, გიორგი ყაზ-
ბეგს, პეტრე უმიკაშვილს და ზოგიერთ სხვა მკვლევარს.

ჭანური მეტყველების შესწავლაში განსაკუთრებით დიდია ნი-
კო მარის დამსახურება. მისმა შრომებმა „ჭანური (ლაზური) ენის
გრამატიკა“ და „ლაზისტანში მოგზაურობიდან“ (დაიბეჭდა 1910
წელს რუსულ ენაზე), ახალ ეტაპზე აიყვანეს ჭანთა მეტყველების
კვლევა. ეს საქმე ჩინებულად განაგრძეს შემდგომმა თაობებმა.

ჭანთა ისტორიული ცხოვრების ამა თუ იმ საკითხს სპეციალუ-
რად თუ გაკვირვებით სხვადასხვა დროს მრავალი ისტორიკოსი შეხებია:
ი. ფელმერაიერი, თ. უსპენსკი, ი. ჯაჯანიშვილი, ალ. ხახანაშვილი,
ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, ნ. ლომო-
ური, თ. მიქელაძე და სხვ.

დიდად სასიამოვნოა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჭანებიც აქტი-
ურად მონაწილეობენ თავიანთი მეტყველებისა და წარსულის შეს-
წავლაში. თუ ადრე ისინი მხოლოდ ცნობების მიმწოდებლის როლს
სჯერდებოდნენ (ათინელი ფეფი-ბეი, ვიწელი ფაპრი ეფენდი, არქა-
ბელი იუსუფ ეფენდი, ბულუმელი ალი-რეიზი, ახლადელი მემედ
ეფენდი ფურუხ-ოღლი, ხოფელი ჰაჯი კარალ-ოღლი ალი ეფენდი,

ბუჯალელი მემედ-ალი ჩეფ-ოღლი (და სხვები), ჩვენს დროში ჭანთა-ნიკიერი ტომის შვილები მეცნიერულ სარბიელზეც წარმატებით მოღვაწეობენ, პირველი ჭანი, რომელიც გაბედულად შეუდგა მეცნიერულ მუშაობას, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი სარფელი ალი თანდილავაა. მეცნიერულად ჩაწერილი მისი ჭანური ტექსტები ჯერ კიდევ 1936 წელს დაიბეჭდა. ა. თანდილავა ჭანთა წარსულსა და ეთნოგრაფიულ ყოფასაც ენერგიულად იკვლევს. 1964 წელს მან მუხამედ ვანლიშთან ერთად გამოაქვეყნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“.

ჭანებივე ნაყოფიერად მუშაობენ ფოლკლორსა თუ მეცნიერების სხვა დარგებშიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ თანდილავა.

ჭანეთის საისტორიო გეოგრაფიის შესასწავლად პირველხარისხოვან მასალას იძლევა მეტყველება, რომლის კვლევაც დღეს საკმაოდ დაწინაურებულია ჩვენში. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ჭანეთის არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ შესწავლილობაზე, როცელთაგანაც ასე დიდადაა დამოკიდებული საძიებელი მხარის საისტორიო გამოკვლევის წარმატება.

ასეთი ყოვლისმომცველი გამოკვლევა მომავლის ამოცანაა. ამჯერად ჩვენი მთავარი მიზანი ქვეყნის გეოგრაფიული აღწერილობის მასალების პუბლიკაციაა და საისტორიო გეოგრაფიის საკითხებსაც იმისდა კვალად განვიხილავთ, რის აუცილებლობასაც ეს საქმე მოითხოვს.

ჭანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული სახე — (მოკლე დახასიათება)

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჭანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა.

იგი მოკლედ, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი სიღრმით გვიხასიათებს ამ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს.

ვახუშტი ზედმოწევნით სწორად განსაზღვრავს ჭანეთის საკმაოდ რთულ მთათა სისტემის მდებარეობა-მიმართულებას. „ჭანეთის მთა ძევს დასავლეთიდან აღმოსავლეთად, მცირედ ჩრდილოთ მოწევით, და მოვალს ვიდრე ჭოროხამდე“.⁷

ამ ქედის ადგილსამყოფელის უფრო ცხადად წარმოდგენისათვის მეცნიერი მიუთითებს „ფორჩხის“ ხეობასაც, რომელიც ჭანეთის ქედს გამოეყოფა აღმოსავლეთით. რამდენიმე ადგილას მეცნიერი

7 ვახუშტი, აღწერა, გვ. 689.

„ფორჩხას“ უმატებს „ბაიბურდსაც“ („მთა ჭანეთისა ფორჩხა-ბაი-
ბურდსა და ჭანეთს შორისი“).⁸

ვახუშტის არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ ეს მთა „არს
თხემთა უტყეო. და კალთათა ტყიანი, ნადირიანი“.⁹ მისივე მითითე-
ბით, არა თუ მხოლოდ ჭანეთის ქედის კალთებია ტყიანი, არამედ
ტყიანობა საერთოდ ახასიათებს მთელ ქვეყანას („ვარნა ჭანეთიცა
(არს) ფრიად ტყიანი“-ო).¹⁰

ჭანეთის ქედი სხვადასხვა მონაკვეთში ასეთი სახელებით იწო-
დება: პარხალის ქედი, დემირ-დაღი (შუა ნაწილში), ხალდიზენ და-
ლლარი (დასავლეთ სექტორში).

პარხალის მონაკვეთზე ამ ქედის მწვერვალებია კაშკარი და ჰი-
ნოტ-დაღი, დემირ-დაღის მიდამოებში კი ვერჩინიკ-თეფე და კირკ-
ლარ-დაღი. ჭანეთის ქედი ყველაზე უფრო მაღალია პარხალის სექ-
ტორში, სადაც მდებარეობს ამ მთათა სისტემის უმაღლესი მწვერვა-
ლი კაშკარი (3.937 მ. ზ. დ).

აღმოსავლეთით ის თანდათან დაბლდება და ჭოროხზე უკვე
საკმაოდ დამრეცი ფერდობებით ეშვება.

ამ ქედს დასავლეთით თუ ჩრდილოეთით მრავალი შტო გამო-
ეყოფა. მათგან უმთავრესია: ზიარეთის ქედი, პოლათ-დაღი, ვარუშ-
დაღი, ჩარინ-ყაია და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზიარეთის ქედი (ჭა-
ნეთის „ლიხის მთა“), რომელიც მათ დასავლეთ სექტორში უშტოვ-
დება და ამ ქვეყანას დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად
ჰყოფს.¹¹

მთათა სისტემის შესაბამისია მდინარეთა ქსელიც.

მეტისმეტად ხშირ ჭანეთის მდინარეთა მნიშვნელოვან ნაწილს
ასახელებს ფლავიუს არიანე.

ტრაპიზონიდან ჭოროხამდე ის შემდეგ მდინარეებს ჩამოთვლის:
ჰისოსი, ოფისი, ფრიქსოსი, კალოსი, რიდიოსი, ასკუროსი, ადიენი,
ძაგატისი, პრიტანიდი, ჰიქსიტე, არქაბოსი, აკამფსისი.¹²

ჰისოსი. არიანეს ცნობით, ტრაპიზონიდან 150 სტადიონის და-

8 იქვე.

9 იქვე.

10 იქვე.

11 ალ. ტერეღაძე, აღმოსავლეთ ჭანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული
დახასიათებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 72, გეოგრაფიულ-
მეცნიერებათა სერია, I, თბ., 1959, გვ. 155.

12 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი,
გამოკლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკელიძისა. თბ., 1961, გვ. 35-36.

შორებით ერთვოდა ზღვას. მისი მომდევნო ოფისი (V საუკუნის ანონიმის „ოფიუნტი“) კი ჰისოსიდან 90 სტადიონზეა.

ეს მდინარე სპინტერესოა საისტორიო გეოგრაფიის თვალსაზრისითაც, რადგან ერთ დროს მასზე იღო „თიანიკეს“ საზღვარი.¹³

ოფისი დღევანდელ სულაკლის შეესატყვისება.¹⁴

ოფისის მომდევნო მდ. ფსიქსოსს (ოცდაათიოდე კილომეტრით შორავს ოფისს) არიანეს კომენტატორები ამჟამინდელ ვატლახ-სულთან აიგივებენ.¹⁵

ფსიქსოსის მომდევნო მდ. კალოსი, რომელსაც არიანე ფრიქსოსიდან 30 სტადიონზე ასახელებს, თანამედროვე კალაპოტამოსს შეესატყვისება, ხოლო რიძიოსი — როხის-სუს (რიზეს წყალი).¹⁶

მომდევნო ასკუროსის (ანონიმით — ასკორისი) იდენტიფიკაციისათვის, როგორც კიპერტმა შენიშნა, არიანეს მონაცემები (30 სტადიონი კალოსიდან და 60 სტადიონი აღიენამდე) საფუძვლიანი არ არის,¹⁷ ხოლო მომდევნო აღიენს (ფსევდო სკალაქს კარიანდელით „ოდენიოსს“) მდ. ყიბლედადერესთან აიგივებენ.¹⁸ ძაგატისი სუხა-დერეს შესატყვისადაა მიჩნეული, პრიტანიდი (ფსევდო სკილაქსით „ჰორდანისი“) — ფურტუნა-სუ-დ.¹⁹

მდ. ჰიქსოტეს უნდა შეესატყვისებოდეს ფისკალა-დერე ან აბუ-ვიწედერე. მომდევნო არქაბისი (პტოლომეს „არკადისი“, ტაბულა ჰეგეტენგერიანას („აბგაბესი“) დღევანდელი არხავე-სუა,²⁰ ხოლო აკამფსისი — ზოროხი.

არიანე საკმაოდ დაწვრილებით ჩამოგვითვლის ჭანეთის მდინარეებს, მაგრამ მისი სია სრული მაინც არ არის. ის მხოლოდ მთავარ მდინარეებს ასახელებს. რაც შეეხება მათ შენაკადებს, ხომალდით მიმავალ მოგზაურს, მათი აღნუსხვა არ შეეძლო. ასეთ მდინარეთაგან ბევრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭანეთში და ზოგიერთი მხოლოდ ზღვის სიახლოვეს ერთვის ამა თუ იმ მდინარეს.

ამ ქვეყნის რამდენიმე მდინარეს ასახელებს ვახუშტიც. რადგან ის, არიანესაგან განსხვავებით, ქვეყანას აღმოსავლეთიდან აღწერს.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 65 (ნ. კეჰალმადის კომენტარები).

15 იქვე, გვ. 65, შენიშვნა 17.

16 იქვე, გვ. 65, შენიშვნა 19.

17 იქვე, გვ. 66, შენიშვნა 20.

18 იქვე, შენიშვნა 21.

19 Вестник древней истории, 1, 1948, стр. 267.

20 იქვე, გვ. 268.

პირველად ასახელებს იმ მდინარეს, რომელიც „გონის დასავლეთით მიერთვის ზღვას“.²¹

მეცნიერი-ბატონიშვილი ამ მდინარის სახელს არ მიუთითებს, მაგრამ იმ მონაცემებით, რომელსაც ის იძლევა (აღმოსავლეთით გონია, დასავლეთით „ხოფჯა“, გამოედინება ჭანეთის მთას, „მოდის ჩრდილოთ“) ძნელი აღარაა მისი იდენტიფიკაცია. ამგვარი მდინარე ამ სექტორში სწორედ მაკრიალის წყალია, ყველაზე თვალსაჩინო გონიასა და ხოფას შუა.

შემდეგ ვახუშტი „ხოჯის მდინარეს“ აგვიწერს. ეს მდინარეც „მისვე მთიდან“ (ჭანეთის მთა) გამომდინარეობს. „ეგრეთვე“ მოედინება, როგორც პირველი („ჩრდილოეთით“) და „მოერთვის ზღვას“ ხოფის აღმოსავლეთით.²²

„ხოჯის მდინარის“ შემდეგ დასახელებულია ერთი ასეთივე; მიმართულების უსახელო მდინარე, რომლის „დასავლით არის ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ“.²³

შემდეგ უკვე ამავე სახელწოდების („რიზას“) მდინარეა (ისეთივე მიმდინარეობის, როგორც წინაები).²⁴

ჭანეთში მდინარეები სხვაც მრავალია. ხალბაშის-წყალი, მანელოლის-წყალი, ათინას-წყალი, მელესკურის-წყალი და ა. შ.

პირველი იმ ხეობაში მოედინება, რომელიც ჭანეთის ქედიდან მაკრიალის ველზე ეშვება.²⁵

ამის დასავლეთით მოედინება მდ. მანელ-ოლი (სახელწოდება პირველადია სოფლისათვის).²⁶

ჭანეთის მნიშვნელოვანი მდინარეა ათინას-წყალი („ათინაშ-წარი“), მელესკურის-წყალი კი ამ მდინარის მარჯვენა შენაკადია.

ლანდშაფტი ჭანეთისა თითქმის იგივეა, რაც დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთისა და რამდენიმე ზონად განიყოფება.²⁷

ზღვის სანაპირო ზოლი, რომელიც „ჰავით ცხელია“, როგორც ვახუშტი შენიშნავდა,²⁸ ამავე დროს ნოტიოცაა, რაც აპირობებს ჭა-

21 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 689.

22 ი ქ ვ ე.

23 ი ქ ვ ე.

24 ი ქ ვ ე.

25 З. Лиюзен, Берег русского Лаястана, ИКОИРГО т. XVII, кн. 3, Тифлис, 1905-1907, стр. 153.

26 ი ქ ვ ე, გვ. 154.

27 ეს ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა მდ. კარა-დერემდე ვრცელდება, შემდეგ კი ხმელთაშუა ზღვის ლანდშაფტია გაბატონებული (ალ. ტერელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 159).

28 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 689.

ობისა და ჭალის მცენარეულობათა (ისლი, ჭილი, შხარბი, წყლის მრავალძარღვა და სხვა) გავრცელებას.

ჭოროხის სანაპიროზე ევლია ჩელები ასახელებს ალვისხეებს, რომლებსაც გემთმშენებლობაში იყენებდნენ.²⁹

იგივე ზოლია ჭანეთის ძირითადი სამიწათმოქმედო რაიონის მოწყავთ ბრინჯი, სიმინდი და სხვა კულტურები. ადრე განვითარებული იყო მევენახეობაც. ხოფის აღწერისას ევლია განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მის „ბალ-ვენახიანობაზე“.³⁰

ჭანეთის აღწერაში ვენახს ასახელებს ვახუშტიც.³¹

ამავე ზოლში მეჩაიეობაც ფართოდაა განვითარებული. უნდა აღინიშნოს, რომ „თურქეთის მეჩაიეობის მათრგანიზებული ცენტრი“ დღეს სწორედ ჭანეთის მთავარი ქალაქი რიზეა.³²

მომდევნო (გორაკ-ბორცვიან) ზოლში გაბატონებულია წითელმიწა ნიადაგები და კოლხური ტიპის შერეული და ფოთლოვანი ტყეები.

ამავე ზოლში დიდი რაოდენობით გვხვდება თხილი. ეს მცენარე განსაკუთრებით ხარობს ჭანეთის აღმოსავლეთ სექტორში. ეს გარემოება ევლია ჩელებისაც კარგად შეუნიშნავს და საგანგებოდაც აღნიშნავს თხილით მდიდარ შანეს მთებს. მისი ცნობით, „შანეს თხილი ყოველ მხარეში განთქმულია“.³³ თხილის წარმოებას ჭანეთში დღესაც დიდი ყურადღება ექცევა და ხოფაში მისი გადამამუშავებელი საწარმოც არის.³⁴

ამავე ზოლში ადრეც დიდი ადგილი ეჭირა ხეხილის ბაღებს და ტრადიცია დღესაც გრძელდება. ასეთივე მდგომარეობაშია სიმინდის კულტურაც.

ამ კულტურების გვერდით უკანასკნელ დროს საკმაოდ დიდი ფართობები აითვისა ჩაიმაც.

ნოტიო-სუბტროპიკული ჰავის ამ ზონას მოსდევს „მთის კერძონი“, რომელიც, როგორც სწორად აღნიშნავდა ვახუშტი, „კეთილ-ჰაოვეანნი“-ა.³⁵

ამ ზოლში ძირითადად გაბატონებულია კოლხური ტიპის ტყე-

29 ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I. თბ., 1971, გვ. 95.

30 იქვე, გვ. 94.

31 ვახუშტი, აღწერა, გვ. 689.

32 ნ. ნაჭყებია, თურქეთი, თბილისი, 1970, გვ. 119.

33 ევლია ჩელები, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

34 ნ. ნაჭყებია, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

35 ვახუშტი, აღწერა, გვ. 689.

ები (ფოთლოვან-წიწვიანი, წიწვიანი), რომლებშიც აქა-იქ ვხვდებით იმერულ ხეჭრელს, ჭნავს და სხვა ბუჩქნარებსაც.³⁶

ამავე ზონაშია საგულვებელი ის „ფუსტულის ბზის ხეებიც“, რომელსაც ევლია ჩელები შაჰნუზის ნაჰიეს (რიზეს დასავლეთით) მთებში ასახელებს.³⁷

ეს ზონა 1900 მეტრის სიმაღლეზე აღწევს, რომლის ზემოთ უკვე სუბალპური ზონა იწყება, ხოლო მას ცვლის ალპური ზონა — თავისი განთქმული საზაფხულო საძოვრებით.

ეს საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეცხოველეობის ფანჯიარებისათვის, ხშირი ტყეები — ნადირთა და ფრინველთა სიმრავლისათვის, მდინარეთა ხშირი ქსელი და ზღვა — თევზისათვის და ა. შ.

ვახუშტიც მიუთითებს, რომ ჭანეთში არისო „პირუტყუნი, ნადირნი, ფრიად მრავალნი, ფრინველნი და თევზნი ურიცხვნი, მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად“.³⁸

სატომო სახელი „ჭანი“ და მისი მემკვიდრე „ლაზი“ სატომო სახელი „ჭანი“ ბიზანტიურ მწერლობაში ადრეფეოდალურ ხანაში ჩნდება და გამოიკვება ასეთი ფორმებით: „ტძანოი“ ან „ტძანნოი“.³⁹

„ტძ“ კომპლექსს ბერძნული უცხო ფონემების („ჭ“, „ჯ“ და სხვ.) გადმოსაცემად მიმართავდა ხოლმე.⁴⁰

ბიზანტიელი მწერალი ევსტათი თესალონიკელი (XII ს.) ამ ეთნონიმს „სანს“-ის „მღაბიურ“ ფორმად თვლიდა. ასეთივედ მიიჩნევდა ის ამ სატომო სახელიდან მომდინარე ქვეყნის სახელსაც — „ჭანიკე“.⁴¹

ამ ჩვენების საფუძველზე „ჭანიკე“ „სანიკეს“ იგივეობას ასკვნის და ს. ჯანაშიაც.⁴²

ეს ხანური (კოლხური) ტომი ადრეფეოდალური ხანიდან გამო-

36 ალ. ტერელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 168.

37 ევლია ჩელები, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

38 ვახუშტი, აღწერა, გვ. 689.

39 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, ბათუმი, 1959, გვ. 24.

40 ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948, გვ. 169.

41 ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალა, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, ტ. 1, 1937, გვ. 188, შენიშვნა 2.

42 იქვე.

დის ისტორიულ სარბიელზე და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევს — თავის პოლიტიკურ ჰეგემონიას ის ჯერ იმ „სანიკეზე“ ავრცელებს, რომლის წიაღშიც აღმოცენდა, ხოლო შემდეგ — მეზობელ მხარეებზეც და თანდათან შავი ზღვის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ჭანეთად აქცევს. მართალია, ეს გარემოება იმ სიღრმით ვეღარ ხორციელდება, რომ მრავალდიალექტიანობა გადალახულიყო და საერთო ჭანური მეტყველება შექმნილიყო, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და ჭანთა ისტორიულ როლს ჩრდილს არ ჰფენს.

სატომო სახელს „ჭანს“ მოგვიანებით მეტოქედ გაუჩნდა „ლაზი“, რომელიც თანდათან იქამდე გაბატონდა, რომ თვით ჭანებსაც კი დააიწიყა თავიანთი ძველი სახელი. ამ ტერმინმა აქა-იქ ქართულშიც კი შემოაღწია. მაგრამ აქ ტრადიციის ძლიერ კედელს დაეჯახა და ჩვეული წარმატება ვეღარ მოიპოვა.

ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ მიუთითა დრო („ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ“), როცა „ტერმინი „ლაზი“ გადადის ჭანებზე“, თუმცა მაშინ დასაბუთება არ მიუცია, რადგან ამ საკითხის სპეციალურ შესწავლას ფიქრობდა.⁴³

შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე „ლაზის“ გავრცელების დროისა და ვითარების გასათვალისწინებლად ძვირფას ჩვენებებს შეიცავენ ბიზანტიური „ეკთესისები“ (საეკლესიო კათედრათა ნუსხები), საიდანაც ნათლად ჩანს, არა მარტო დრო, როცა ეს მოხდა, არამედ ისტორიული პირობებიც. საქართველოს ფეოდალური გაერთიანების ხანაში ბიზანტია იძულებულია დასთმოს ძველი დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოსადმი. და ეს არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ — ეკლესიურადაც. ამ ნიადაგზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ლაზიკის სამიტროპოლიტო კათედრა ტრაპიზონში (ბერძ. ტრაპეზუნტი) გადაიტანა.

„ტრაპეზუნტის ეპარქიამ მარტო იმიტომ კი არ დაიჭირა ძველი ლაზიკის ადგილი, რომ ეს უკანასკნელი თავისუფალი აღმოჩნდა, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — არამედ იმიტომაც, რომ ტრაპეზუნტი თავისთავად ორგანულად იყო დაკავშირებული ლაზეთთან, ისტორიულად და ეთნოგრაფიულად და ამიტომ ეკლესიურადაც.⁴⁴

ლაზიკისა და ტრაპიზონის მხარის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ სიახლოვეს სწორად აღნიშნავს მკვლევარი და ამ გარემოებამაც, უთუოდ, შეასრულა აქ ერთგვარი როლი, მაგრამ ამ აქტს სხვა უფ-

43 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 204.

44 გეორგიკა, ტ. 4, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 199-200.

რო მნიშვნელოვანი ასპექტიც გააჩნია. ნ. ლომოური ასეთად „პრესტიჟის“ საკითხს თვლის და წერს: „IX საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიამ დაკარგა უკანასკნელი გავლენა დასავლეთ საქართველოში: აფხაზეთის სამეფო ეკლესიურადაც გამოეყო მას. კონსტანტინეპოლის პატრიარქს დაეკარგა მთელი სამიტროპოლიტო, რაც ცხადია მისი პრესტიჟისათვის ფრიად საგრძნობი დარტყმა იქნებოდა. საჭირო იყო, თუნდაც ფორმალურად ამ დანაკარგის შევსება“.⁴⁵ ჩვენთვის ამჯერად ამ ფაქტის კონსტანტაციაც საკმარისია და გადაამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს მის შეფასებას, მაგრამ გვგონია, რომ „პრესტიჟზე“ უფრო აქ მაინც სხვა გარემოებას — მომავალი ბრძოლისათვის საფუძვლის ჩაყრას უნდა გაესვას ხაზი.⁴⁶

ამრიგად, IX საუკუნის II ნახევარში ნეოკესარიის სამიტროპოლიტოდან გამოყოფილი ტრაპეზუნტის ეპარქია (ადრე — საეპისკოპოსო, ამიერიდან — სამიტროპოლიტო) იწოდა ლაზიკის სამწყსოდ. ამ გარემოებამ დროთა განმავლობაში ის ნაყოფი გამოიღო, რომ ეს სახელწოდება თანდათან გასცდა საეკლესიო უწყების ფარგლებს და ქვეყნის სახელადაც იქცა.

ქართულ წყაროებში ეს სახელწოდება XIII საუკუნის დამდეგიდან ჩნდება და „ლაზია“-ს ფორმით იხსენიება.

ასევეა ვახუშტი ბაგრატიონთანაც.⁴⁷

„ლაზია“ ამ სახელწოდების ბერძნული ფორმაა. ადრინდელ ბიზანტიურ ძეგლებში ის იშვიათად გვხვდება (პირველად ეპიფანე კვიპრელი (314-403) იხსენიებს),⁴⁸ ხოლო მოგვიანებით უფრო ხშირდება და ასევე მკვიდრდება ქართულშიც.

ქვეყნის სახელი შემდეგ მოსახლეობაზეც გავრცელდა და ასე იქცა ძველი „ჭანი“ „ლაზ“-ად.

ქართული ტრადიცია უკანასკნელ დრომდე მაინც ვერ იგუებდა ჩვენი წარსულისათვის ამ უცხოური პოლიტიკის საფუძველზე აღმოცენებულ ფაქტს და ამ ტერმინსაც ისტორიული დანიშნულებით

45 ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, „მაცნე“, 5, 1964, გვ. 85.

46 სულ სხვაგვარად განიხილავს ამ საკითხს პ. ინგოროყვა („გიორგი მერხულე“, თბ., 1954), რომლის თვალსაზრისის მცდარობა საკმაოდ დამაჩერებლად უჩვენა ნ. ლომოურმა (დასახ. ნარკვევი) და ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით.

47 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 142. ვახუშტი, აღწერა, გვ. 689.

48 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 24.

ხმარობს (დასავლეთ საქართველოში ადრეფეოდალური სახელმწიფოს შემოქმედელი ტომის აღსანიშნავად).

ჰანთა განსახლება

ბერძნული წყაროები ამ ტომის სამკვიდრებელს ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კერძოდ პონტოს, ანუ ჰანეთის მთებში გულისხმობენ.

ფლ. არიანე (II ს.) ამ ქვეყნის („თიანიკე“) დასავლეთ საზღვრად მდ. ოფისს, უჩვენებს.⁴⁹

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ჰანთა სამხრეთ საზღვარსაც მიუთითებს — მდ. ბოასის (ჭოროხი) სათავეებში.

„მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჰანეთის საზღვრების მაზლობლად“ — შენიშნავს ერთგან პროკოპი.⁵⁰ მისი მითითებით, იქვეა „ფარანგიონიკ“, რომლის „გარშემოც არმენიელები ცხოვრობენ“.⁵¹

როგორც სხვა ჩვენებებიდან ირკვევა, „ფარანგიონი“ ციხეა „პერსარმენიელთა ქვეყანაში“.⁵²

იოანე მალალა ამ ციხეს რომაულთა და სპარსთა არმენების „საზღვრებს შუა“ ასახელებს.⁵³

ჩვენ აქ ფარანგიონის ჰანეთთან მიმართება გვიანტერესებს. ის აქაც სასაზღვრო ციხეა.⁵⁴

49 ფლ. არიანე, მოგზ., გვ. 35.
50 გეორგიკა, ტ. 11, თბ., 1965. გვ. 100.
51 იქვე.
52 იქვე, გვ. 52, 186.
53 იქვე. გვ. 57, სქოლიო.

54 ზოგიერთი მკვლევარი ფარანგიონს ისპირთან აიგივებს, ზოგიც — არქნთან (გეორგიკა, 1, გვ. 57, სქოლიო), მაგრამ არც ერთი სწორი არ არის. რადგან ეს ციხე, პროკოპით ჭოროხიზ სათავეებშია, ხოლო ისპირი (სპერი) და არქნი გაცილებით უფრო ქვემოთ მდებარეი ზენ. ისპირი, კერძოდ რიხეს პირდაპირაა.

ს. ყაუხჩიშვილი სახელწოდება „ფარანგიონს“ ქართულ „პერანგას“ უკავშირებს (იქვე). ამ თუბალურ-კაინურ ქვეყანაში პერანგა იმ დროს თითქოს მოსალოდნელი არაა. უფრო სწორი ჩანს მისი სპარსული „ფარჰანგა“-საგან წარმომავლობა (იქვე).

ეტყობა, ეს ციხე ხშირი სამხედრო კონფლიქტების მოწამე იყო. ჰანები რომ არმენიელებსაც გულმოდგინედ ებრძოდნენ და რომაელებსაც, ეს პროკოპის ჩვენებებიდანაც ნათლად ჩანს. ბიზანტიელი ისტორიკოსი ამ ფაქტს განსაკუთრებით უსვამს ხაზს და მას ამ ტომის დაუდევარობითა და ბარბაროსობით ხსნის, მაგრამ, თუ ღრმად ჩაუფიქრებდით საქმეს, მაშინ ეს ბრძოლა უფრო სხვა ხასიათისად (გამათავისუფლებელი) წარმოჩნდება, ვიდრე ის, რის დამტკიცებასაც მტრულად განწყობილი ბიზანტიელი ესწრაფვის.

ჭანთა აღმოსავლეთი საზღვარი „ბარხონის მთის“ (აიგივებენ პარხალთან)⁵⁶ აღმოსავლეთითაა საძიებელი.⁵⁶

ასეთ განვრცობაში იყვნენ ჭანები ეთნიკურად ადრეფეოდალური ხანის დამდევს.

სულ სხვაგვარი ჩანს მათი პოლიტიკური გეოგრაფია.

ჭანები ამ დროსაც ტომებად იყოფოდნენ და თითოეულ ტომს თავისი ქვეყანა გააჩნდა.

პრ. კესარიელი ორ ასეთ ჭანურ ქვეყანას ასახელებს — ოკენითს და კოქსილანს.

ოკენითის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ბარხონის სექტორშია საძიებელი. პრ. კესარიელი პირდაპირ მიუთითებს ბარხონის გადაღმა მთას, რომლის ძირშიც ოკენითელ ჭანებს საქონელი ეყენათ.⁵⁷

ჰქონდათ თუ არა ამ სექტორში ოკენითელებს სპსაზღვრო ციხე, არ ვიცით, რადგან არავითარი სამისო წერილობითი ჩვენება არ შემონახულა.

ამ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი პონტის მთაგრეხილს გასდევდა. ამ ზონაში ოკენითს ამავე ქედის ჩრდილოეთ კალთებზე გაშლილი „თიანიკა“-ს ქვეყანა (ჯერ კიდევ არიან იხსენიებს) ესაზღვრებოდა.

ოკენითის სხვა საზღვრების გასათვალისწინებლად აუცილებელია ხარტონის და სიხილისონის ციხეების ადგილმდებარეობის დადგენა.

პირველის ლოკალიზებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კოორდინატებს, რომელსაც ბიზანტიელი ისტორიკოსი ასახელებს: დასავლეთით ჰორონონის ციხე,⁵⁸ ხოლო აღმოსავლეთით — ბარხონის ციხე.⁵⁹

უკანასკნელი პარხალის ქედზეა (ჰორონის ხეობაში, იუსუფელის ჩრდილოეთით) საძიებელი, ხოლო ჰორონონს ახლანდელ თურქულ „ხალანენ ხანლარ“-თან აიგივებენ.⁶⁰

ხანლარის აღმოსავლეთით ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქ-

55 Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СМб. 1908. стр. 63.

56 გეორგია, 2, გვ. 217.

57 იქვე, გვ. 217.

58 იქვე, გვ. 216.

59 იქვე, გვ. 217.

60 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

ცევს სოფელი ხარტი, რომელიც მდებარეობს ჰორონის ერთ-ერთ მარცხენა შენაკადზე, ბაიბურდის ჩრდილო-დასავლეთით. ნ. აღონცი ამ სოფელში გულისხმობდა პრ. კესარიელის „ხარტონის ციხეს“. ⁶¹

ხარტონ-ხარტის იგივეობას, პროკოპის ჩვენებებთან ერთად, მათი ფონეტიკური შესატყვისობაც უჭერს მხარს. ი. ჯავახიშვილი ამ სახელწოდების ადგილობრივ ფორმად „ლართს“ მიიჩნევდა. ⁶² ამის საფუძველს, მას, როგორც ჩანს, ქართლის „ლართის კარი“ აძლევდა, ⁶³ მაგრამ თითქოს უკეთესი იქნებოდა ჭანური ლექსიკის მომარჯვება.

თუ ხარტონ-ხარტის იგივეობას მივიღებთ, მაშინ ოკენითის ქვეყნის დასავლეთი საზღვარიც სახეზეა. იგი იმ ქედს შესდევს, რომელზეც ამჟამად მიემართება ხარტ-ოფის გზა.

საინტერესოა, რომ მხოლოდ VI საუკუნეში კი არ აღწევდა ოკენითი დასავლეთით ამ ქედს, არამედ ძველიდანვე ასე ყოფილა, რადგანაც ხარტონის ციხეს პროკოპი „ძველადვე“ აგებულად თვლის. ⁶⁴

ასევე სასაზღვრო, მაგრამ, ხარტონთან შედარებით, ახალი ციხე (იუსტინიანე პირველის დროს აგებული), იყო ჰორონონი. ⁶⁵ პროკოპის მოწმობით, იგი რომაელთა, პერსარმენიელთა და ჭანთა ქვეყნების გზასაყარზე იდგა. ⁶⁶

საინტერესოა სახელწოდებაც.

პროკოპისთანაა ჰორონონი. ⁶⁷ ნ. აღონცს „ორონ“-ად გადმოაქვს. ⁶⁸

ს. ყაუხჩიშვილი მას ჭანური წარმოშობის საგეოგრაფიო სახელად თვლის, თუმცა ახსნას არ იძლევა. ⁶⁹

ჭანურში „ჰორ“ ძირიანი სახელები არ გვხვდება. ამიტომ სომეხი მკვლევარის ორონ-ი შეიძლება საინტერესოც იყოს.

ხარტონის ციხესავით სასაზღვრო ციხე იყო ერთ დროს სისხ-

61 იქვე.

62 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მოკლე ისტორია, I. გვ. 31.

63 იქვე, „ლართია“ აღნიშნული პ. ინგოროყვას „მესხეთის მხარეთა“ სქემაზეც (გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 301).

64 გეორგიკა, 2, გვ. 216.

65 იქვე.

66 იქვე.

67 იქვე.

68 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

69 გეორგიკა, 2, გვ. 219, შენიშვნა.

ლისსონიც, რომელსაც პრ. კესარიელი სოფელ-კენას დასავლეთით ასახელებს.⁷⁰

იგივე ისტორიკოსი ამ ციხეს ძველჭანურ სიმაგრედ თვლის.⁷¹

რა დრო იგულისხმება ამ „ძველში“ არ ვიცით, მაგრამ V საუკუნის უადრეს რომ მაინც უნდა იყოს აგებული, ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ საუკუნის დაძლევა, ეს ციხე უკვე მოქმედია და მასში (იწოდება „სისილა“-დ) არმენის სარდლისადმი დაქვემდებარებული გერმანელთა ათეული დგას.⁷² ამ ციხის ძველი ფუნქციის გასათვალისწინებლად ძვირფასია პრ. კესარიელის ერთი ჩვენება იმის შესახებ, რომ სისილისაონიდან „იწყება კოქსილინის ჭანთა საზღვრები“.⁷³

როგორც ჩანს, სასაზღვრო ციხის ფუნქციას სისილა მანამდე ინარჩუნებდა, ვიდრე იქ სპარსელები ან რომაელები მოვიდოდნენ. შემდეგ კი მან ეს ფუნქცია დაჰკარგა და დამპყრობლის სამსახურში ჩადგა. შემდეგ, ერთხანს, დამპყრობელსაც თავი მიუწებებია სისილასათვის, მაგრამ მას ამიერიდან ვერც ოკენითელები მიუზიდავს. ამ ციხის ოდინდელ მშენებელთა შორეული მემკვიდრეების გულგრილობა აქ შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. იმ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც ჭანეთს უხდებოდა განვითარება V-VI საუკუნეებში, მეზობელ ჭანურ ქვეყანასთან სასაზღვრო ციხის გაახლებას ოკენითასათვის უკვე აზრი აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, ამ ფაქტს შეიძლება სხვა ასპექტიც ჰქონდეს — ამ ქვეყნების გაერთიანება.

იუსტინიანე პირველის დროს ისევ მოვიდნენ ოკენითს ბიზანტიელები. ვანახლეს სისილა და მეციხოვნენიც ჩააყენეს შიგ.⁷⁴

ქვეყნის სახელი ოკენითი წარმოდგება მისი ცენტრის — სოფელ კენა-ს სახელწოდებისაგან.

ნ. აღონცის დაკვირვებით, კენას პროკოპი თითქოს პარხალის მთების ჩრდილოეთ სექტორში გულისხმობს.⁷⁵ სხვა არაპირდაპირ ჩვენებებზე დამყარებით ამ სოფელს სომეხი მკვლევარი ბაიბურდის ველში ეძიებდა.⁷⁶ ჯერ ერთი, აქ წინააღმდეგობაა. ბაიბურდის ველობი პარხალის ქედის სამხრეთშია და არა ჩრდილოეთით. მეორეც, ბიზანტიური წყაროს ჩვენებით, კენა იმ მთის ძირის სიახლოვესაა

70 იქვე. გვ. 217.

71 იქვე.

72 „ნოტიცია დიგნიტატუმ“, გეორგია, 1, თბ., 1961, გვ. 174.

73 გეორგია. 2, გვ. 217.

74 იქვე. გვ. 217-218.

75 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

76 იქვე.

საძიებელი, სადაც ოკენითელებს ბოსლები ჰქონდათ.⁷⁷ ეს მთა კი პარხალის აღმოსავლეთითაა საგულვებელი და არა ჩრდილოეთით.

5. აღონცი კენას ადგილობრივ სწორ ფორმად ოკენა-ს მიიჩნე-
ვდა.⁷⁸ მისივე აზრით, აქედან განვითარდა თითქოს სატომო სახელ-
ქან-ი (ხორხისძიერ კ-ს პალატალიზაციის გზით).⁷⁹

ასეთი ფონეტიკური პროცესი ქანურის კილოკავებში დადას-
ტურებულია.⁸⁰ რაც ნ. აღონცის აზრს ამაგრებს, თუმცა უკანასკნელ
დროს აქ უფრო უცხოურ ტრანსლიტერაციას ვარაუდობენ. „კ-ს
მეშვეობით, — წერს თ. მიქელაძე, — აქ შეიძლება გადმოცემული
იყოს თავკიდური აფრიკატი, რომელსაც უფრო გვიან... ბერძნულ
წყაროები რეკომპლექსით გამოხატავენ“.⁸¹

როგორც ნ. აღონცის, ისე თ. მიქელაძის მოსაზრება „კენ“-ის
„ქან“-თან მიმარებაზე საინტერესოა, მაგრამ, „ქანი“ მაინც სხვა
ეთნიკური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი ჩანს და „კენ“ („კა-
ინ“-ი) კიდევ სხვისა.⁸² მართალია, კენთა ქვეყანაში მოგვიანებით
ქანებს ვხვდავთ, მაგრამ ეს მესაქონლე ტომები სოციალურ-პოლი-
ტიკური განვითარებით გაცილებით დაბლა იდგნენ, ვიდრე მეტა-
ლურგი კენები. მათ ვერც კენთა მემკვიდრეობის ათვისება შეძლეს
და არც სატომო სახელში დასესხებიან კენებს.

კენ-ის ვარიანტი, და უფრო ძველისძველი ფორმაც, არის კაინი.
ეს სახელი ბიბლიაში ხან ცალკე იხსენიება, ხოლო ზოგჯერაც თუ-
ბალთან გაერთიანებული. ეს უკანასკნელი „არმენოხალიზის“ კვა-
ლად, რომელიც პლინიუსთანაა (ახ. წ. I ს.) დამოწმებული, გვიან-
დელ წარმონაქმნად ითვლება.⁸³

ზოგიერთ ავტორს „კაინი“ სემიტურ სიტყვად (გამომდინების,
მესაბერგოღოს შინაარსით) მიიჩნია, მაგრამ ეს მოსაზრება არ დას-
ტურდება. მართალია, ძველი სემიტური იცნობს ამ ძირის სიტყვას,
მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, რომელსაც რ. აისნერი მიუთითებს,
არამედ სულ სხვა შინაარსით („გალობა“ და მისთ.).⁸⁴

77 გეოგოგია, 2, გვ. 217.

78 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

79 იქვე.

80 არნ ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 15, 26.

81 თ. მიქელაძე. სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთის მელითონე
ტომების ისტორიისათვის, „მაცნე“, 1, 1967, გვ. 91-92.

82 ი. ჯავახიშვილის აზრით, კენელები „იმ ქანების ნაშთი იქნება, რომელია
წინაპრად დაბადებაში, „ტუბალ-კაინია“ დასახელებული“ (ქართველი ერის მოყ-
ლე ისტორია, I, ქუთაისი, 1917, გვ. 31).

83 თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

84 იქვე.

„კაინ“-ს უკავშირებენ „კინა“-ს (რკინა)⁸⁵ და სხვა ტერმინებს-საც.⁸⁶

ასეთი აგებულებისა და შინაარსის ტერმინები ფართოდ იყო გავრცელებული წინააზიის ცივილიზებულ სამყაროში და ამიტომ მათ წარმომავლობაზე რისამე გადაჭრით თქმა ძნელია.

ოკენითელი ჭანების დაძმორჩილებას ენერგიულად ცდილობდა ბიზანტია VI საუკუნის პირველ ნახევარში.

ამ ბრძოლის მატერიალური მოწმობანია „ბარხონის ციხე“ და „ლონგინეს თხრილი“.⁸⁷

ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობის დადგენა დღემდე არავის უცდია. ნ. ადონცი მხოლოდ ერთხელ იხსენიებს ამას,⁸⁸ ხოლო ს. ყაუხჩიშვილი აქ მხოლოდ სარდლის ვინაობისადმი იჩენს ინტერესს.⁸⁹

ამ თხრილის ადგილმდებარეობის გასათვალისწინებლად საგულისხმო ჩვენებები მოეპოვება პრ. კესარიელს. ისტორიკოსი მას სასილისონის ჩრდილოეთით უჩვენებს. „აქედან (სისილისსონიდან — ი. ს.) რომ მიდიხარ, — წერს პროკოპი, — მარცხნივ, ჩრდილოეთის მიმართულებით, არის ერთი ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ლონგინეს თხრილს უწოდებენ, რადგან წინა ხანებში რომაელთა სტრატეგოსი ლონგინე... დაბანაკებულა.“⁹⁰ იმავე ავტორის მიერ ციხე ბურგუნოსისთან დაკავშირებით მოწოდებულ ცნობებიდან ჩანს, რომ ეს თხრილი (და შემდეგ იქვე აგებული ბურგუნოსი) სისილისსონიდან „ერთი დღის სავალზე“ მდებარეობდა — ოკენითის ქვეყანაში, კოქსილინის ჭანთა საზღვარზე.⁹¹

რაც შეეხება, ბარხონის ანუ პარხალის ციხეს, დღემდე მისი ადგილმდებარეობა არავის უძიებია.

პარხალის სახელით მრავალი რამ იწოდება: სოფელი, ხევი და ქედი. რომელ ამათგანს ეკუთვნოდა ეს სიმაგრე? ჩვენი აზრით — სოფელს.

პარხალი მდიდარია საკულტო ძეგლებით (ბაზილიკა, მცირე ეკლესიები),⁹² რომლებითაც არაერთი მეცნიერი და მოგზაური დაინ-

85 Н. Я. Марр, Термины скиф, извр. раб. т. V, 1935, стр. 37.

86 თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101-103.

87 გეორგიკა, 2, გვ. 218.

88 ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

89 გეორგიკა, 2, გვ. 218, შენიშვნა 4.

90 გეორგიკა, 2, გვ. 218.

91 იქვე.

92 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ-საქართველოში, თბ., 1960, გვ. 83.

ტერესებულა: მართალია, ციხის ნაშთს არავინ მიუთითებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოდესმე თვით სიღვლის ტერიტორიაზე ან მის შემოგარენში სიმაგრე არ არსებობდა.

რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა პარხალის (ბარხონის) ციხეს? ამ ხეობის ჩარაზვა, იქ გამავალი გზის⁹³ კონტროლი, ოკენითის ჭანთა შეხუთვა. და ეს ამოცანა ამ ციხეს, ეტყობა, შეუსრულებია კიდევ.

ოკენითის ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთიდან მოსდგამდა მეორე ჭანური ქვეყანა, რომლის სახელიც ბიზანტიურ წყაროს „კოქსილინის“ ფორმით დაუცავს.⁹⁴ ი. ჯავახიშვილს იგი კოქსილინად გადმოაქვს,⁹⁵ ნ. აღონცის კი კოქსილინად,⁹⁶ ასევეა ს. ყაუხჩიშვილთანაც.⁹⁷ ჩვენც ამას ვღებულობთ.

სომეხი მკვლევარი ამ სახელწოდებას „კოქს“ ფუძედ და „ილ“ სუფიქსად შლის. ეს უკანასკნელი მას ქართულად მიაჩნია, ფუძესიტყვის რაობასა და წარმომავლობაზე კი არაფერს ამბობს.⁹⁸

ბიზანტიური წყარო კოქსილინის ქვეყანაში ორ ციხეს ასახელებს: ჯანზაკონისა და სქამალიხონისას.⁹⁹ ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობის გამოსარკვევად მხოლოდ არაპირდაპირი ჩვენებებამოგვეპოვება. მათ შორის აღსანიშნავია „ბურგუსნოსი“. ეს ციხე, პროკოპით, სისილოსონის ჩრდილოეთით და კოქსილინის საზღვარზე მდებარეობდა.¹⁰⁰ ამ ნიშნით ეს ქვეყანა, და მისი სქამალიხონი, პონტოს მთიანეთის ჩრდილოეთ სექტორშია საგუთლებელი და აქვე ეძიებდა მას ნ. აღონციც. მის ყურადღებას აქცევდა მდინარე ყარა-დერეზე მდებარე სოფლის სახელს „ზიმლა“, რომელიც მას ბიზანტიური წყაროს „სხომალანის-ონ“-ს მოაგონებდა.¹⁰¹ ეს ვარაუდი სარწმუნო არ ჩანს, რადგან ეს სახელწოდება და „ზიმლა“ ფონეტიკურად არცთუ ისე ახლოს დგანან, სხვა რამ საბუთს კი მკვლევარი არ მიუთითებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჯანზაკონი. ამ ციხის დიდ

93 დ. ს. ჰილზი, ჩემი მოგზაურობანი თურქეთში, ძველ ლაზეთში, ინგლისურიდან თარგმნა რ. გაჩეჩილაძემ. თსუ მიმომხილველი, თბ., 1972, ძე. 134.

94 გეორგიკა, 2, გვ. 218.

95 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მოკლე ისტორია, 1, გვ. 31.

96 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

97 გეორგიკა, 2, გვ. 218 და სხვ.

98 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

99 გეორგიკა, 2, გვ. 218.

100 იქვე.

101 ნ. აღონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

სტრატეგიულ მნიშვნელობას მოწმობს ის, რომ ჭანთა საბოლოო დამორჩილების ხანაში სწორედ იქ დგას სტრატეგოსი.¹⁰²

პრ. კესარიელის არაპირდაპირი ცნობებით, ეს ციხე პონტოს მთიანეთში მდებარე ბურგუსნოსის ჩრდილოეთით უნდა იყოს. ეს კარგად ჰქონდა შენიშნული ნ. ადონცსაც, რომელიც ამ ციხის ადგილმდებარეობის გარკვევასაც ენერგიულად ცდილობდა.

რამდენიმე სიტყვა სახელწოდებაზე.

ბიზანტიურ წყაროებშია „ტზანზაკონ“-ი¹⁰³ ნ. ადონცის კონიუნქტურით იქნებ „ტზაუნზანონ“-ი წაგვეკითხა.¹⁰⁴ ი. ჯავახიშვილს „ტძანძაკონ“-ად გადმოაქვს,¹⁰⁵ ხოლო ს. ყაუხჩიშვილი ორ ასეთ ვარიანტს გვთავაზობს: ჯანზაკონი, ჭანჭაკონი.¹⁰⁶

ეს სახელწოდება ი. ჯავახიშვილმა „ჭანჭახა“-ს დაუკავშირა და პირველმა სცადა მისი ახსნაც. მკვლევარის ვარაუდით, ეს საგეოგრაფიო სახელი უნდა წარმოდგებოდეს სიტყვისაგან „ჭანჭ“-ი, რომელიც „ნოტიო, ჭაობიან ადგილს ჰნიშნავს“.¹⁰⁷

ჭანეთის ტოპონიმიში ეს სახელწოდება „ჭანჭახონა“-ს ფორმითაც ყოფილა დაცული. მხიველი შუქრი ხასანის ძე ხალილიშ-გიუვენის ცნობით, ასეთი სახელწოდება მას დაუდასტურებია მოლენი სარფის თავზე.

ი. საბანისძესთან (VIII ს.) ეს მხარე „ქალდია“-დ იწოდება.¹⁰⁸ როცა მწერალი „აფხაზეთის სამეფოს“ მკვიდრთ ახასიათებს, წერს: „...საზღვარ მათდა არს ზღუაი პონტოისაი... მისაზღვრადმდე ქალდიისა, ტრაპენზუნტიაი მუნ არს. საყოფელი იგი აფსარეაისაი და ნაფსაის ნავთსადგური“.¹⁰⁹

უკანასკნელს ადგილმდებარეობაზე ახრთა სხვადასხვაობაა. ი. ჯავახიშვილი მას ჭოროხის აუზშივე გულისხმობდა,¹¹⁰ ხოლო

102 გეორგიკა, 2, გვ. 216.

103 იქვე.

104 ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ., გვ. 65, შენიშვნა 1.

105 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მოკლე ისტორია 1, გვ. 31.

106 გეორგიკა, 2, გვ. 218, 219, შენიშვნა.

107 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

108 იოანე საბანისძე, მარტილობა აბო ტფილელისა. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, 1935, გვ. 66.

109 იქვე.

110 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1, თბილისი, 1950, გვ. 44.

ბ. პეტერსი და კ. კეკელიძე — აფხაზეთში.¹¹¹ ბ. ინგოროყვა კი — უფრო ჩრდილოეთით.¹¹²

„ნაფსაის“ აფხაზეთში ძიება ვაუგებრობის ნაყოფია, რადგანაც წყაროდან ნათლად ჩანს, რომ იგი ქალღიის ნავსადგურია.

ახვევ ითქმის „აფსარეია“-ზეც, რომელიც „აფსარუნტს“ (ახლანდელი გონია) შეესატყვისება.

ქალღიის საზღვარიც „აფხაზეთთან“ სწორედ ამ პუნქტის ჩრდილოეთითაა საგულვებელი. ალბათ, იმ სექტორში, სადაც ლაზეთისა და ჭანიკეს საზღვარი გადიოდა.

პრ. კესარიელი ლაზთა საზღვრებს „აფსარუნტიდან“ ერთი დღის სავალზე“ ასახელებს და იმავე სექტორში მიუთითებს პეტრასაც.¹¹³

ამ ჩვენებებზე დაყრდნობით ნ. ლომოური ლაზეთის ამ საზღვარს „სადაც ციხისძირის ახლოს“ ვარაუდობს.¹¹⁴

მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება ამ სექტორში ლაზეთის სამეფოს დაშლისა და მის ნანგრევებზე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის პერიოდში, არ ვიცით. მაგრამ აქ ამ სამეფოს წინ წაწევაც რომ ვიგულისხმობთ, ი. საბანისძის ჩვენებით მდ. ჭოროხს მაინც ვერ გადავცდებით. ამას იქით უკვე სხვა ქვეყანაა.

ეს ქვეყანა ამ დროს (VIII ს.) „იონთა მეფის“ საბრძანებელია.¹¹⁵ ამავე პოლიტიკურ status-ში გულისხმობს ამ მხარეს ი. ჯავახიშვილი IX-XI საუკუნეებშიც.¹¹⁶ ასეთ აზრს მკვლევარი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაზე ამყარებდა,¹¹⁷ რომელიც მას X საუკუნის ძეგლად მიაჩნდა.¹¹⁸

ამ უკანასკნელ დროს ა. ბოგვერაძემ საფუძვლიანად გადასინჯა ეს თარიღი და ეს ძეგლიც, გაცილებით უფრო ადრინდელ დროისად

¹¹¹ კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 28.

¹¹² ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 210-211.

¹¹³ გეორგიკა, 2, გვ. 96.

¹¹⁴ ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, გვ. 75.

¹¹⁵ აბო ტფილელის მარტვილობა, გვ. 66; ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 64.

¹¹⁶ იქვე.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ.

მიიჩნია.¹¹⁹ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სერაპიონის ცხოვრების საჭანეთო ჩვენებანიც.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში არჩილ მეორე, ჯუანშერის ცნობით, ამ მხარეში აგებს სასაზღვრო ციხეს.¹²⁰ XI საუკუნის ისტორიკოსი აქ „გურიისა და საბერძნეთის საზღვარს“ განახავს,¹²¹ ვახუშტი ბატონიშვილი კი პირველის ნაცვლად „საქართველოს“ მიუთითებს.¹²² ბატონიშვილს ამ საზღვრის ხაზის კონკრეტული განსაზღვრაც უცდია და ასეთად მიუჩნევია ჭანეთის ქედის ის შტო, რომელიც რიზესწყლის „დასავლით ჩამოვარდების... კნინდა ზღუამდე“.¹²³ ამ სექტორში ეგულებოდა მას სწორედ არჩილ „მოწამის“ ციხე (აგებულია „შემდგომად ყრუს შემოსვლისა“). ამ სასაზღვრო სიმაგრეს ვახუშტი რიზეში ვარაუდობდა.¹²⁴

ამ მოსაზრების დამადასტურებელი ჩვენებანი წყაროებს არ დაუტყავთ. ამიტომ შეიძლება მის გადასინჯვაზე ვიფიქროთ. თუ გვიანდელ ჩვენებებს დავაკვირდებით, აქ განსაკუთრებით საინტერესოა ბაგრატ მეოთხის წარმატებული ლაშქრობა ხუფათზე 1046 წელს.¹²⁵ ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ საქართველო — ბიზანტიის საზღვარი არჩილის დროიდან სწორედ ხუფათი უნდა ყოფილიყო და ამ მეფესაც ციხე იქ უნდა აეშენებინა. იგივე ხუფათი რჩებოდა ფეოდალური საქართველოს სასაზღვრო პუნქტად ზღვისპირეთში დავით აღმაშენებლის დროსაც. ასე რომ არ ყოფილიყო, 1116 წელს აფხაზეთიდან ტაოსკენ მიმავალი მეფე ხუფათზე ვერ გაივლიდა.¹²⁶ დავითი ხუფათს 1120 წელსაც იყო.¹²⁷

შეიცვალა თუ არა აქ რაიმე შემდგომ ხანაში, არ ჩანს. ამ მხარეში ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური აქტივობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი საგარეო პირობები იქმნება XIII საუკუნის დამდეგიდან. ჩვენი ქვეყნის მაშინდელ მეზვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გამოიყენეს სასარგებ-

119 ა. ბოგვერაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის „მაცნე“. № 3, 1964, გვ. 50-69.

120 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალის. „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959, გვ. 243.

121 იქვე.

122 ვახუშტი, აღწერა, 689.

123 იქვე.

124 იქვე.

125 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება. 1. გვ. 299.

126 დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება. 1, გვ. 333.

127 იქვე, გვ. 338.

ლო ვითარება და იქ 1204 წელს ტრაპიზონის ვასალური სახელმწიფო შექმნეს.

კვლავ ხუფათი დარჩა საქართველოს და ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრად, თუ შეიცვალა, არ ვიცით.

პ. ინგოროყვას აზრით, საქანო მხარისათვის ამიერიდან ვითომც „კონდომინიუმის“ სტატუსი დაუწესებიათ.¹²⁸

მკვლევარი არ კმაყოფილდება ორხელისუფლებიანობის მართოდენი კონსტანტაციით და იმაზეც კი გამოთქვამს მოსაზრებას, თუ ვისი იყო იქ „ფაქტიური“ ხელისუფლება — „საქართველოს ცენტრალურ მთავრობისა“.¹²⁹

ამის დამადასტურებელი ჩვენებანი ავტორს, სამწუხაროდ, არ გააჩნია. XIII საუკუნის მიწურულში ჭანეთი „სრულიად“ შემოვიდა საქართველოს ფარგლებში და იგი ბექა ჯაყელის სამფლობელოდ იქცა.¹³⁰

XV საუკუნის 60-იან წლებში მესხეთის ათაბაგმა ჭანეთი გურიელს მისცა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც ამ უკანასკნელმა აღმოუჩინა იმ მძიმე ვითარებაში.¹³¹

XVI საუკუნის დამდეგიდან ჭანეთი (აჭარასთან ერთად) განხეთქილების ვაშლად იქცა გურიის სამთავროსა და საათაბაგოს შორის.¹³² ეს შინაფეოდალური ქიშპი წყალს ასხამდა საერთო მტრის — ოსმალეთის — წისქვილზე, რომელიც საქართველოს სამხრეთის კარიბჭესთან იდგა და ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად ემზადებოდა.

ჭანეთის სექტორში ოსმალები საქართველოს 1461 წელს (ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობისას) გაუმეზობლდნენ. XVI საუკუნის დამდეგიდან მტერი ისე ძლიერად მოიწევს ჭანეთისაკენ, რომ როგორც ვახუშტი შენიშნავს, „კნილა თუ“ დაიპყრეს იგი¹³³ ავის მზრახველი და ძლიერი მტრის შეჩერების ძალა ფეოდალურად დაშლილ საქართველოს არ შესწევდა და ოსმალეთიც თანდათანობით იპყრობდა ქვეყანას. ერთ-ერთი პირველი დაპყრობილთა შორის აღმოჩნდა სწორედ ჭანეთი. მისი ინკორპორაცია მტერმა XVI საუკუნის

128 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 284-285.

129 იქვე.

130 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II გვ. 304.

131 ვახუშტი, აღწერა. გვ. 704.

132 1512 წელს ჭანეთი კვლავ დაიბრუნა საათაბაგომ (ვახუშტი, აღწერა. გვ. 711), და მასვე ეპყრა მურჯახეთის ომამდე (1535 წ.), ამის შემდეგ მას ისევ გურიელი დაეუფლა (იქვე, გვ. 713, 811) და იგივე ფლობდა ოსმალთაგან მიტაცებამდე.

133 ვახუშტი, აღწერა, გვ. 711.

40-იან წლებში მოახერხა.¹³⁴ მიტაცებული ჭანეთი ოსმალებმა ტრაპიზონის ლივას მიათვალეს და ხუთ კაზად გაჰყვეს: ოფის, რიზეს, ხემშინის, ათინას და არქაბის (არხავე).¹³⁵

ქართველები არ შერიგებიან ჭანეთის დაკარგვას და არაერთხელ შეეცადნენ მის განთავისუფლებას, მაგრამ ამ ცდებს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე წარმატება არ მოჰყოლია. ბერლინის ტრაქტატით საქართველოს დაუბრუნდა ჭანეთის ერთი ნაწილი (მდ. მაზიმ-ჩაის ჩრდილოეთით) და ასე დარჩა რევოლუციამდე. შემდეგ თურქებმა კვლავ მიიტაცეს ამ მხარის დიდი ნაწილი და საქართველოს ფარგლებში დარჩა მხოლოდ მსქიბულალ-ტიბაშის ჩრდილოეთით მდებარე მცირე ჭანური ტერიტორია.

ჭანეთის საისტორიო გეოგრაფიის მეცნიერულ ჯგუფს საგეოგრაფიო სახელების აღწერა-შესწავლით დავიწყეთ 50-იან წლებში. ძიების ერთი ნაწილი 1958 წელს დაიბეჭდა,¹³⁶ ხოლო ნაწილიც ახლა იბეჭდება. იგი მოიცავს ტერიტორიას სოფ. კვარიათიდან (ხელვაჩაურის რ-ნი, აჭარის ასსრ) კუწუმამდის (ახლანდელი „ესკი-ტრაპიზონი“) ზღვის პირის წარდევნებით და ვერშემებგამდე (აწინდელი „ვერჩინიკ-თეფე“) ქედზე (რიზეს ვილაეთი). მომდევნო ნაკვეთებში კი შევა ამ მხარის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ჭანთა ახლანდელი განსახლებისა თუ ისტორიული მიწა-წყლის ტოპონიმიკური აღწერის მასალები.

134 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 814.

135 მ. თ. გოჭილგინი, დასახ. ნაშრ. გვ. 294-337.

იმის გასათვალისწინებლად, თუ სადამდე ვრცელდებოდა ჭანეთი დასავლეთით და რა ტერიტორია დაიპყრეს ოსმალებმა, განსაკუთრებით ძვირფასია აქ ოფის დასახელება. ეს პუნქტი (ახლა ფიჩიტაშად იწოდება) რიზეს დასავლეთით მდებარეობს.

ამავე სექტორშია სავარაუდებელი სასახლვრო რკინის პალოც, რომელსაც „გამოცხადება საზღვართა გურისისათა“, რომელიც 1804 წელსაა შედგენილი. შეცდომით აიგივებს ქემერთან (АНАК, 11, გვ. 539), რომელიც რიზეს ჩრდილოეთით მდებარეობს, ამასვე იმეორებდა გ. ყაზბეგიც (Три месяца в турецкой Грузии. особый оттиск из «записков» ИКОИРГО, Тифлис, 1875).

136 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, 1, ბათუმი, 1958, გვ. 140.

ჰანეთის ტოპონიმური აღწერილობა

კვანთი

გონის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში მე-6-ა „გონისა“ (5) და „კალნი-დარას“ (7) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 160). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

ზ. ლიოზენტანა „ხვარიათი“ (იქვე). მოლენსარფელი მ. ქორიძის გამოთქმით „კვადათი“ (ირ. ასათიანი, ჰანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი, 1974, გვ. 72). გვხვდება „კვარიათი“-ც (ი. სიხარულიძე, საშხ.-დას. საქ. ტობ. წ., I, გვ. 140).

საეგოგრაფიო სახელთა -ათ ზანური ფორმანტით ნაწარმოებია ამ სახელწოდების ფუძეა „კვარია“, რაც ზანურად „ყვავს“ ნიშნავს. „ყვავ“ სიტყვისაგან ნაწარმოები სახელწოდებაში სხვაგანაც გვხვდება (მაგ., სოფელი „საყვავისტყე“ აღმ. მურიაში).

რევოლუციამდე კვარიათი გონის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა, ამჟამად კი მასთანაა დაკავშირებული და გონის სასოფლო საბჭოში ერთიანდება.

ქვატახე(რ)ი — ქვის სამტეხლო (რევოლუციამდელი ხანისა).

კვარიათიშღალი — დეღე (მეორე სახელით „მსქიბუღალი“), მოედინება ტყიანი ზერიდან, რომელიც სოფლის თავზე (აღმოსავლეთით) მდებარეობს და ერთვის ზღვას „ჭიტა ლიმანთან“.

ჭიტა ლიმანი — მცირე ნავმისადგომი კვარიათის დელის შესართავში. პირველი ჰანური სიტყვაა და „პატარას“ ნიშნავს, ხოლო მეორე — ბერძნული „ლიმენ“-ის (ნავმისადგომი, ნავსაყუდელი) სახენაცვალი ფორმა. „ჭიტა“ ხშირად გვხვდება ჰანეთის ტოპონიმიაში: „ჭიტა ოჯალი“ (ადგილი მოლენი სარფში), „ჭიტა მაკრიალი“ (სოფელი) და მრავალი სხვა, ხოლო „ლიმანი“ შედარებით იშვიათად (ასე იწოდება სოფელი მაკრიალის დასავლეთით).

დემი(რ)იოლ — ადგილი „ჭიტა ლიმანის“ დასავლეთით. „დემი(რ)იოლ“ თურქული კომპოზიტია და „რკინიგზას“ ნიშნავს. რევოლუციამდე ამ ტერიტორიაზე რკინიგზისათვის მზადდებოდა ნიადაგი და სახელი აქედან მიიღო.

ქვაკამარა — ადგილი „დემი(რ)იოლის“ დასავლეთით, სადაც კამარიანი ქვაა.

დაღლისირთი — ფერდობი. სახელწოდება თურქულია და „ტყიან სერს“ ნიშნავს. ეს ადგილი „ტყიანი“ იყო რევოლუციამდე, ამჟამად იქ ჩაის პლანტაციია გაშენებული.

აზოთი — მთა:

აზოთიშღალი — ღელე.

ს ა რ ფ ი

სარფი სამ ნაწილად იყოფა: მოლენი, მელენი და მეზრე. 1878 წლიდან ეს სოფელი მაკრიალის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

რევოლუციის შემდეგ მელენი და მეზრე სარფი თურქეთს დარჩა, ხოლო მოლენი — საქართველოს.

მოლენი სარფი საბჭოთა პერიოდში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო და სარფად იწოდა. სარფის სასოფლო საბჭოტერიტორიულადაც გაფართოვდა (ჩრდილოეთით) და კალენდერე მოიცვა.

სახელწოდება სარფის წარმოშავლობასა და შინაარსზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზ. ლიოზენი მას თურქულ სიტყვად თვლის (იქვე, გვ. 50), ხოლო პ. ინგოროყვა — აფსარის სახენაცვალ ფორმად (გიორგი მერჩულე, გვ. 204, შენიშვნა 2).

არც ერთი და არც მეორე სარწმუნო არ არის (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187-188).

ზ. ლიოზენის ადგილობრივ ჩაწერილი ერთი ხალხური ჩვენებით, ამ სოფლის ძველი სახელი თითქოს „აჭყვა“ ყოფილა (ზ. ლიოზენი, გვ. 50).

ამ ცნობის გასამაგრებელ რაიმე მონაცემს ჯერჯერობით ვერ მოვაკვლიეთ.

მოლენი სარფი — „მოლენი“ ჭანური სიტყვაა და „გამოდმას“ ნიშნავს. ამ სოფლის ცენტრი ამჟამად „ნოღა დუზზეა“ (ზღვის პარას), ფეოდალურ ხანაში და, მის უადრესსაც კი, მისი შუაგული ზეგანზეა საგულევებელი, კერძოდ, „ქილოსესირთის“ მიდამოებში. გარდა ნაეკლესიარისა. ამასვე მოწმობენ ის ძეგლებიც (ქვევრები და სხვა), რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ აღმოჩნდა სამანქანო გზის გაყვანის დროს.

მოლენი სარფის ფარგლებში ერთიანდება ამჟამად ნასოფლარი

კალენდერეც, რომლიდანაც იწყება ჩრდილოეთიდან დღეს ეს სოფელი.

კ ა ლ ე ნ დ ე რ ე

მდებარეობს სოფელ კვარიათის სამხრეთით და მისგან გამოიყოფა „ცხემუ(რ)ეფუნას“ სერით. გონის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში შე-7-ა — „ხვარიათის“ (6) შემდეგ (ზ. ლიოზენი, გვ. 160).

სოფლის სახელწოდება ზ. ლიოზენს „კალნი-დარას“-ს ფორმით მოაქვს (იქვე). ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც. ადგილობრივ კი „კალენდე(რ)ე“-დ იწოდება (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 140, 188; ირ. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბილისი, 1974, გვ. 72, 73). დადასტურებულია „კალენდერე“-ც (იქვე, გვ. 73).

ს. ჯიქიას აზრით, „კალენდერე“ შესაძლოა თურქული „კალნი-დერე“-ს („სისხლიანი ხევი“) ხალხური ტრანსფორმაცია იყოს.¹

ცხემუ(რ)ეფუნა — სოფ. კვარიათისა და კალენდერეს სასაზღვრო სერი. სახელწოდება ჭანურია და „ცხემლარს“ ნიშნავს. ზოგჯერ „ცხემურლულის“ ფორმითაც იხმარება (ი. სიხარულიძე, გვ. 140), ირ. ასათიანის მასალაშია „ცხემულლული“ (ჭან. ტექსტ. გვ. 72). თურქული სუფიქსი ლუდ-ი (ჭანური — უნ-ა-სა და ქართული — ნარ-ის შესატყვისი) საკმაოდ ხშირია ჭანეთის საგეოგრაფიო სახელებში.

მანდრათი — მდებარეობს ცხემუ(რ)ეფუნას სერის ბოლოში, „მანდრა“ ბერძნული სიტყვაა. იგი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: პირუტყვის სადგომი, შემოღობილი და სხვ. (Древнегреческо-русский словарь, შეადგინა ი. ხ. დვორეცკიმ, ტ. II, მოსკოვი, 1959, გვ. 1051).

ეს სიტყვა ბერძნულიდან შეუთვისებია ჭანურს — ბოსელის, საჯინბოს და სხვათა აღსანიშნავად (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 165). კალენდერეს მანდრატიც თითქოს ამავე შინაარსის (ბოსელი ან მისთ.) ადგილის სახელი უნდა იყოს.

დერემენდერესი — ეს პიდრონიმი ადგილზე „დეგირმანდერე“-დ („წისქვილის დეღე“) გავგიმარტეს (ი. სიხარულიძე, გვ. 188).

„დეგირმანდერე“-დან „დერემენდერესი“-ს მიღება ფონეტიკურად თითქოს არაა მოსალოდნელი. „დერემენდერესი“ „მენდერესის ხეეს“ ნიშნავს („მენდერე“ საკმაოდ ხშირია მცირე აზიის პიდრონიმიად).

¹ აზრი გამოთქვა პირად საუბარში.

დემირკაფი — კლდე, ნასოფლარის დასავლეთ მხარეს. ირ. ასათიანის ჩანაწერშია „დემიკაფი“-„დინა“ (ჟან. ტექსტ. გვ. 72, 73). ტოპონიმი თურქულია და „რკინის კარს“ ნიშნავს. ჟანეთში ამ სახელწოდების პუნქტიც არის (ეისდერეს ხეობაში), რომელსაც პ. ინგოროყვა შეცდომით „რკინის პალოს“-თან აიგივებს (მისი, გიორგა შერჩულე, გვ. 301).

იგივე სახელწოდება სახენაცვალი ფორმით („დემურყაფი“) ზემო აჭარაშიც გვხვდება. ასე იწოდება ადგილი მართის ხეობიდან შავშეთისაკენ მიმავალ გზაზე (ი. სიხარულიძე, გვ. 96, 158, 159).

საინტერესოა, რომ თურქები ზოგჯერ დარუზბანდსაც ამავე სახელით („დემირკაფი“) იხსენიებენ.

ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ „დემირკაფი“ ზოგადი სახელია და „გასასვლელს“. „კარს“ აღნიშნავს.

სქინდონა — მდებარეობს დემირკაფის სამხრეთით; ნახევარკილომეტრზე.

ამ სახელწოდების ხალხური ახსნა („სქირ-ნანა“) სწორი არ არის.

ეს ტოპონიმი—ონ-ა სუფიქსად და—სქინდ—ფუძედ უნდა დაიშალოს. პირველი ზანური ფორმანტია (უნ-ა-ს ვარიანტი), ხოლო მეორე — სკიდ-ის სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს. იგივე ფუძე გამოიყოფა აღმოსავლეთ პონტოს ქედის ერთ-ერთი მთის სახელშიც — სკიდისი (ს. ჯანაშია, ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან, „შრომები“, ტ. 11, თბილისი, 1952, გვ. 261; მისივე, პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები, იქვე, გვ. 262-270).

ბარდიშლალი — ეს დღე მოედინება ცხემუ(რ)ეფუნას სეროდან და ერთვის კალენდერეს მარჯვნიდან, სქინდონას სამხრეთ-აღმოსავლეთით. ირ. ასათიანის მასალით, „ბარდიშლალი“ „დინა“-ს (მიწის) სახელწოდებაა (ჟან. ტექსტ. გვ. 72, 73).

ბარდიშლალი ჟანური კომპოზიტია და „ზვინის დელეს“ ნიშნავს (ი. სიხარულიძე, გვ. 188).

ნ. მარს „ბარდიში“ მხოლოდ გვიმრის ზვინის მნიშვნელობით დაუდასტურებია (ჟან. გრამ. გვ. 129). მისივე ჩვენებით, ამ მცენარეს ნიადაგის გასაპოხიერებლად აგროვებენ ჟანები (იქვე).

ს. ჯიქიას აზრით არაა გამორიცხული ისიც, რომ ბარდიშლალი „ბარდნალისაგანაც“ წარმოდგებოდეს.

ქვაონჩამური — ადგილი ბარდიშლალის ჩრდილოეთით. ის ქვის საცეხველი (ჩამური), რომლისაგან წარმოდგა ეს ტოპონიმი, ამჟამადაც იქ დევს.

ნასოფლარი. დადასტურებულია „ხემშილლული“-ს ფორმითაც (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73). რევოლუციამდე ამ შიდამო-ებში ხემშინები ცხოვრობდნენ და ტოპონიმიც მათგან წარმოდგა. ეთნონიმ „ხემშილ“-ისა და „ლულ“ თურქული სუფიქსით გაფორმებული ეს სახელწოდება, „სახემშინეს“ ნიშნავს.

ხემშილულიშალი — ასე იწოდება კალენდერეს ერთ-ერთი შენაკადი, რომელიც ნასოფლარ ხემშილულიდან მოედინება. ეს ჭანურ-თურქული კომპოზიტი წინამორბედი სახელწოდებიდან მხოლოდ „ღალი“-ს („ღელე“) მეტობით განსხვავდება.

ქილისე — სახელწოდება ბერძნული „ეკლესიის“ თურქული ნიარახეობაა. ამ ადგილას ეკლესიაა შემონახული და ტოპონიმიც მისგან წარმოდგა.

ეკლესია მდებარეობს ხემშილულის თავზე. იგი საშუალო ზომის ნაგებობაა (სიგრძე — 5 მეტრი, სიგანე — 4. სიმაღლე — 3. ზომები აღებულია შიგნიდან). გადახურვა კამარისებურია, ამყამად — ჩაქცეული.

ეკლესიის პერანგი შედარებით უკეთაა შემონახული დასავლეთის ფასადზე. ესაა სხვადასხვა ზომის ქვები — უსწორმასწოროა წყობით.

ეკლესია მოხატული ყოფილა. სახურავის ჩაქცევამდე მხატვრობა კარგად ყოფილა შემონახული, დღეს კი მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი მისი კვალი: მუქი წითელი, შავი, ცისფერი და მოყვითალო საღებავების ნაშთები.

კედლებში თაროებია, რომლებზეც უკანასკნელ დრომდე ეწყო დოქები, ამყამად მათი ნამტვრევებიდაა შემონახული მხოლოდ. ასეთივე თაროები და თიხის ჭურჭელია დადასტურებული მაკრიალის ეკლესიაშიც. ზ. ლიოზენი ამ უკანასკნელს ალყის დროს წვიმის წყლის შესაგროვებლად გამიზნულ ჭურჭლებად მიიჩნევდა. (გვ. 151). სხვათა აზრით, ამ ჭურჭელთა დანიშნულება რეზონანსის შექმნა იყო (იქვე, შენიშვნა). ამას არამარტო ეკლესიებში, არამედ ციხეებშიც ითვალისწინებდნენ.

მალაროლიშფაცხა — ვინმე მალაროლის ნამოსახლი ადგილი.

ოკანდელე — ნასოფლარ კალენდერესა და მოლენი სარფის გამყოფი ღელის სახელწოდება ზემო წელზე. ირ. ასათიანს „ოკანდელე“-ს ფორმითაც დაუდასტურებია (ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73). ჰიდრონიმი შესაძლებელია „კანდელ“ სიტყვისაგან იყო წარმომდგა-

რი. სანათის და ლამპარის აღმნიშვნელი ეს უცხო სიტყვა ქართულშიც პოპულარულია, ჭანურშიც, თურქულშიც და ა. შ.

კალენდერე — ასე იწოდება ოკანდელეს დეღე ქვემო წელზე და მის მიდამოებში მდებარე ნასოფლარი (იხ. ზემოთ).

ბოგლული — ადგილი ოკანდელეს დელის აღმოსავლეთით. ტოპონიმის ფუძე „ბოგ“ ფლორონიმ ბოგვი-ს შემოკლებული ფორმა უნდა იყოს.

ზიაშღალი — ოკანდელეს დელის მარჯვენა შენაკადი. გადმოცემით, დელეს სახელი შერქმევია ვინმე ფირალ ზიასაგან, რომელიც იქ მოუკლავთ რევოლუციამდე (მ. ჯევაიშის ცნობა).

მოლენი სარფი

კერკეტაში — ადგილი კალენდერესა და მოლენი სარფს შუა ირ. ასათიანთანაა „კეკეტაში“ (ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73). „კერკეტა“ ზანური სიტყვაა და „მაგარს“ ნიშნავს.

აბანოშ წკა(რი) — წყარო („აბანოს წყალი“).

ცარა — საძოვარი ოკანდელეს სამხრეთ-დასავლეთით. ასეთი ტოპონიმი ჭანეთში იშვიათია, აჭარისწყლის ხეობაში კი ხშირად გვხვდება და იგი არც მჭახლის ხეობისთვისაა უცხო (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 55, 57, 58, 133).

ცარა ნიადაგის სახეობის აღმნიშვნელი ტერმინია და ადვილად დასამუშავებელ, ფხვიერ მიწას ეწოდება (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 406).

ქვაჭაჭი — საძოვარი ცარას დასავლეთით. ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი (ქვა) განმარტებას არ მოითხოვს, მეორე კი (ჭაჭი) ზანური სიტყვა უნდა იყოს.

„ქვაჭაჭ“ — მოლენი სარფის ადგილთა შორის ასახელებს მ. ქორიძეც (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. 72, 73). ამავე სახელით იწოდება მთაც არქაბეწყარის სამხრეთით (აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე. იხ. ქვემოთ).

მაისა — ადგილი ოკანდელეს დელის მარცხენა მხარეზე.

ოჯალანე — ქვაჭაჭის სამხრეთ-დასავლეთით. ჯალან სიტყვისაგან წარმომდგარი ეს ტოპონიმი „საკიბორჩხლეს“ ნიშნავს (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 188).

დავადასტურეთ „ოკლანეს“ ფორმითაც (ჩვენი, მოლენი სარფის დღიური. 15.VII.1967). ასევეა ირ. ასათიანის ჩანაწერშიც (ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73).

ქვადიდი — დიდი ქვის მიდამოები.

ობურბე — ფერდობი; გზის ზემოთ, ქვაჭაჭამდე. ირ. ასათიანის

ჩანაწერშია „ობზე“ (ჭან. ტექსტ. იქვე), ამ ადგილის სახელწოდების ჭანური ფუძეა „ბურბუ“, რაც „ლაძურას“ ნიშნავს, ხოლო „ობურბე“ — „საძაძურეს“ (ი. სიხარულიძე, გვ. 188).

ზეთინლული — ზეთისხილის რაქდენიმე ხეა და ამიტომ უწოდებენ ასე (იქვე).

რაკანი — ასე იწოდება სერი. ჭანურ კილოკავებში ეს სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ზოგან ის „აღმართს“ ნიშნავს (ათინურში), ზოგანაც — „პატარა გორას“ (ვიწურში), სხვაგან კიდევ — „დიდ გორას“ (ხოფურში) და ა. შ. (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 180).

მაჯგინი — რაკანის ზემოთაა. ჩვენი ერთ-ერთი ჭანი ინფორმატორის (მ. კაკაბაძე) ცნობით, „მაჯგინი ადვილად დასამუშავებელ მიწას ეწოდება“ (მოლენი სარფი).

ოჯალი — მაჯგინის სამხრეთით. მეორენაირად „ჭიტა ოჯალი“ (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 140).

ოჯალი — თურქული „ოჯაკ“ სიტყვის (ნიშნავს კერას) დიალექტური ფორმაა. ამ ტოპონიმის მეორე სახეობა („ჭიტა ოჯალი“) კი ჭანურ-თურქულია და „პატარა კერას“ ნიშნავს („ჭიტა“(ჭან.)-„პატარა“).

მეწკანკი — ადგილი „ოჯალის“ ქვემოთ.

კაკლიშუონა — საძოვარი. ეს ჭანური კომპოზიტი „კაკლის ყანას“ ნიშნავს (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 188).

ქურთოჯალი — ადგილი „ოჯალის“ ზემოთ, სადაც ქურთები მსხდარან. ირ. ასათიანის ერთ მასალაშია „ქურთიშ ოჯალი“ (ჭან. ტექსტ. გვ. 72), მეორეში კი „ქურთოჯალი“ (იქვე, გვ. 73).

დიდი ოჯალი — „ოჯალის“ სამხრეთით.

შე(რ)იფაიშდღუზი — მცირე ვაკობი, ვინმე შერიფას ნამოსახლარი.

იოში თურქული სიტყვაა და ვაკეს, მინდორს ნიშნავს. ეს სიტყვა ისე ფართოდაა გავრცელებული ჭანურში, რომ მან თითქმის გამოდევნა ადგილობრივი „ზენ“-ი, რომელიც ძველ გეოგრაფიულ ნომენკლატურას თუ შემორჩა მხოლოდ (მაგ. ჯგირია-ზენი და მისთ.).

ფუჯონჯერე — „დიდი ოჯალის“ ზემოთ, სამხრეთ-დასავლეთით. ირ. ასათიანთანაა „ფუჯონჯერე“ (ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73). ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი — „ფუჯი“ ქართული „ფურის“ შესატყვისია, ხოლო „ონჯერე“ (ჭან.) „საწოლს“ ნიშნავს.

ქილისესირთი — „ფუჯონჯერეს“ ზემოთ. ეს თურქული კომპოზიტი „ეკლესიის სერს“ ნიშნავს. ამ სერზე დღემდეა შემონახული ნაეკლესიარის მცირე ნაშთი.

(მ)თხიეფუნა — დიდი ოჯალის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ირ. ასათიანის ერთ ჩანაწერშია „თხიეფუნა“ (ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73), ხოლო მეორეში — „თხიეფუნა“ (იქვე. გვ. 73). ეს ჭანური ტოპონიმი „თხილნარს“ აღნიშნავს.

დადასტურებული გვაქვს „თხირეფუნას“ ფორმითაც (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 140).

მეზა(რ)ლული — „შე(რ)იფაიშდუზის“ სამხრეთ-დასავლეთით, „ოჯალის“ სიახლოვეს. გვხვდება „მეზანლული“-ს ფორმითაც (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 72). „მეზა(რ)ლული“ (თურქ.) „სასაფლავოს“ ნიშნავს. იგი დღესაც მოქმედია.

დუზი — ადგილი დასახლებაში. მეორენაირად „დუზიშ ოფუტე“. „დუზზე“ უკვე ითქვა ზემოთ, „ოფუტე“ კი ჭანური სიტყვაა და მრავალი მნიშვნელობით იხმარება — ეზო, უბანი და ა. შ. (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 150).

ფილარდადი — ადგილი სოფლის ცენტრში, გზის ზემოთ. კომპოზიტის მეორე ნაწილი თურქული სიტყვაა და აქ ტყეს ნიშნავს, პირველს ხალხური ეტიმოლოგია „ფირალ“-თან აიგივებს, მაგრამ ეს საარწმუნო არ ჩანს.

იგივე სიტყვა გამოიყოფა ჭანეთის რამდენიმე სოფლის სახელშიც — „ფილგარეთი“ („არქაბეს უბანი“), „ფილარგივათი“ (ართაშენის უბანი).

ნოლაშდუზი — სოფლის ცენტრში, გზის ქვემოთ. „ნოლაშდუზი“ (ჭან-თურქ.) „ბაზრის ვაკე“.

მ-სქიბუ(შ)ღალი — კომპოზიტის პირველი ნაწილი — მ-სქიბუ-ჭანური სიტყვაა და „წისქვილს“ ნიშნავს (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 186), ხოლო მ-სქიბუ(შ)ღალი — წისქვილის ღელეს.

ტიბაში — ასე იწოდება მ-სქიბუ(შ) ღალი ქვემო წელზე, სადაც ტბორდება და ტიბაშსაც ამიტომ უწოდებენ (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 188).

ჩელეებში — დადასტურებული გვაქვს „ჩელეებების“ სახითაც (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 140).

შესაძლოა ეს ტოპონიმი თურქული სიტყვიდან „ჩელეები“ მომდინარეობდეს, რაც „ბატონს“ ნიშნავს (Н. Я. Марр, Еще о слове Челеби Вост. отд. РАО, XX 1911, გვ. 19-151).

მ-სქიბუჯალა — ადგილი წისქვილის ახლოს. ამ ტოპონიმში გამოიყოფა ჭანური თანდებული „ჯალა“ (შეესატყვისება ქართულ „თან“-ს, (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 151). და წისქვილის აღმნიშვნელი სიტყვა — „მ-სქიბუ“.

მონტრაცა — ფერდობი. ადგილობრივ ამ ტოპონიმს „ნაშვავე-
ზა“-დ განმარტავენ (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 188). ეს სა-
ხელწოდება ტოპონიმიში „მონტრაცელის“ ფორმითაც გვხვდება
(ადგილის სახელი სოფ. აზლალაში (იხ. ქვემოთ).

ზღვის ლოდევის სახელები

ქ(ვ)აომხაზი — დიდი ლოდი. დადასტურებული გვაქვს „ქაუმ-
ხაზის“ ფორმითაც (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 140). ირ. ასა-
თიანთანაა „ქვამხაზი“ (ჭან. ტექსტ. გვ. 73).

როგორც ადგილობრივ გავიშარტეს, ეს ლოდი დასერილია და
ამიტომ იწოდება ასე. „ქ(ვ)აომხაზი“ (ჭან.) — „ქვადასერილი“.

ქვაჩჩმე — ქ(ვ)აომხაზის სამხრეთით. „ჩჩმედ (საპირფარე-
შოდ) იყენებდნენ და სახელიც ამიტომ შეერქვა“ (ძ. ჯევაიში).

ქვაჯალანა — ქვაჩჩმეს აღმოსავლეთით („ქვაჯალანა“-„ქვაკი-
ბორჩხალა“). დადასტურებული გვაქვს „ქვაჯალანას“ ფორმითაც.

ქვამარგვალი — ქვაჯალანას სამხრეთით. „ქვამარგვალი“ (ჭან.)
— „ქვამრგვალი“.

ქვაოწოდე — ქვამარგვალის სამხრეთით. „ქვაოწოდე“ (ჭან) —
„ქვათარო“ („თაროებიანი ლოდი“).

ქვალოდგო — ქვაოწოდეს სამხრეთ-დასავლეთით.

ქვაოსფაო — ქვალოდგოს სამხრეთით. „ქვაოსფაო“ — „სფაოს
ქვა“. „სფაო ბრტყელი თევზია და იმ ქვის გარშემო იყრის ხოლმე
თავს“ (ძ. ჯევაიში).

ბ უ რ ტ უ ლ ი მ ე ჭ ა ე ლ ი :

ბურჭულიმეჭაელი — ქილისესირთის აღმოსავლეთით, წიფე-
ლაზე წალდის (ჭან. „ბურჭული“) გამოსახულება ყოფილა და სახე-
ლიც ამის გამო შერქმევია (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 188).
ირ. ასათიანს მოლენი სარფში ეს სახელწოდება ამავე ფორმით ჩა-
უწერია (ჭან. ტექსტ. გვ. 72), ხოლო გონიაში — „ბურჭული მეჭ-
ვათერი... მეჭარელი“-ც დაუდასტურებია (იქვე. გვ. 73).

არგუნიმეჭაელი — ბურჭულიმეჭაელის ზემოთ. წიფელზე ცუ-
ლის (ჭან. „არგუნი“) გამოსახულება იყო და ტყესაც აქედან მიუ-
ღია სახელი.

ნეფერლუდი — ბურჭულიმეჭაელის აღმოსავლეთით. „ამ ტყე-
ში სასირე ბადეები (ჭან. ნეფერი) იცოდნენ“ (ო. ჯევაიში).

ირ. ასათიანის შთქმელი (ხ. ნარაჯიძისა) ამ ადგილს მელენი სა-
რფში გულისხმობს (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 41-42).

ხოფშოშიტყა — ხოფშოშიტყე. ამ ერთი შემთხვევის გარდა,

ჭანეთის საგეოგრაფიო ნომენკლატურაში „ტყა“-ს ჯერჯერობით არ ვიცნობთ. მას იქ ყველგან თურქული „დალი“ ცვლის.

დეჯიტალახუნა. ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი („დეჯი“) „ლორს“ ნიშნავს, ხოლო მეორე — „ტალახიანს“. სიტყვა „ტალახი“ ცოცხალ ჭანურ მეტყველებაში ამჟამად აღარ გვხვდება, მაგრამ ერთდროს რომ იგი ზანურის ამ კილოსაც გააჩნდა, ამას მოწმობს ტოპონიმია. გარდა „დეჯიტალახუნასი“, „ტალახი“ გაშოიყოფა აგრეთვე არქაბეს მხარის ერთ-ერთი სოფლის („ოტალახეს“ სახელწოდებაშიც (ი. ყიფშიძე, ჭანეთში მოგზაურობა, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, I, ტფ. 1937, გვ. 155. ქვემოთ ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ.)

ზუწა — დადასტურებული გვაქვს „ძუწა“-ს ფორმითაც (ჩვენის მოლენი სარფის დღიური, 16.VII.1967). ირ. ასათიანთანაა „ზუწა“ (ჭან. ტექსტ. გვ. 72).

იაილა-მოლენი — სარფის საზაფხულო საძოვარი „დეჯიტალახუნას“ ზემოთ (აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე). „იაილა“ ასეთი საძოვრის ზოგადი თურქული სახელწოდებაა.

დამატაში — სარფის ადგილებში დასახელებულია მოლენი სარფელი მ. ქორიძის მონათხრობში (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73).

ქვახეხი — სარფის ადგილებში მიუთითებს იგივე მთქმელი (იქვე, გვ. 72). „ქვახეხი“ „ქვახერხი“-ს ნაირსახეობაა. ასეთი სახელწოდება ჭანეთში სხვაგანაც გვხვდება. ი. ყიფშიძის მასალებში „ქვახერხი(ლი)“ წკარისთვის აღმოსავლეთითაა დასახელებული (ჭან. მოგზ. გვ. 153), ხუთვერსიან რუკაზე — არქაბეს წყლის სამხრეთით (იხ. ქვემოთ).

„ქვახერხი“ ქართული სახელწოდებაა და ჭანეთის ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიისათვის მეტად საინტერესო.

ბანდარაშდალი — სარფის ადგილებში ასახელებს მ. ქორიძე (იქვე, გვ. 72). „ბანდარაშდალი“ (იტალ. თურქ.) — „ბაირათის მთა“.

ჭკონიკალა — სარფშივე მიუთითებს იგივე მთქმელი (იქვე, გვ. 72). მისივე ჩვენებით, ეს ადგილი ასე იმიტომ იწოდება, რომ „ექ ჭკონიყენ“ (თქვე) „ჭკონი“ (ჭან.) — „მუხა“. „ჭკონიკალა“ — „მუხასთან“ (ზღრ. „მსქიბუკალა“. ზემოთ).

მ ე ლ ე ნ ი ს ა რ ფ ი

ამ სოფლის ჩრდილო საზღვარი დღეს მსქიბუღალ-ტრბაშია, დასავლეთი საზღვარი — ზღვა, სამხრეთი — ჯგირიოლა-სირთი, ხოლო აღმოსავლეთით — ჭანეთის ქედის კალთები.

„მელენი“ (ჭანური ზედსართავი სახელი) „გაღმას“ ნიშნავს.

ჩაიშპიჯი — ადგილი ზღვის სანაპიროზე. ეს თურქულ-ჭანური ტოპონიმი „წყლისპირს“ ნიშნავს.

ათონალი — რაკანის ზემოთ, ვაკე ადგილია, „საჯირითო იყო ძველად და ამიტომაც უწოდებენ ათონალს“ (ო. ჯევაიში) „ათ“ (თურქ.) — „ცხენი“, „ონამაკ“ (თურქ.) — „თამაში“.

რაკანი — ადგილი ტიბაშის სამხრეთით, სერის ქვემო ნაწილში. (იხ. „რაკანი“ მთლენი სარფისა).

ოხვამე — მინდორი იმავე სერზე. ოხვამე ანუ ოხვამუ (ნ. მარს ოხვამბე-ც დაუდასტურებია) სამლოცველოს ეწოდება ჭანურად. ასევეა მეგრულშიც („ოხვამე“) და სვანურშიც (ლაგუამ) (არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ. გვ. 152).

ღაღდიდი — ღელე, ერთვის ზღვას ტიბაშის სამხრეთით. „ღაღდიდი“ — „ღელედიდი“.

ყონაყურუ — საძოვარი. ეს ჭანურ-თურქული ტოპონიმი „ხმელყანას“ ნიშნავს („ყონა“) (ჭან.) — „ყანა“, „ყურუ“ (თურქ.) — „მშრალი“, „ხმელი“ (ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული მოკლე ლექსიკონი, შეადგინეს ვ. ჯანგიძემ და ს. ჯიქიამ, თბ., 1971, გვ. 215).

ჯევიზდები — ღაღდიდის სამხრეთით, ზღვისპირი. თურქული ტოპონიმი და „კაკლისპირს“ ნიშნავს („ჯევიზ“ — „კაკალი“, „დები“ — „ძირი“).

ჯევიზდებიშთეფე — ბორცვი. ამ სახელწოდებაში ჭანურია მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის — იმ მაწარმოებელი, დანარჩენი თურქულია („ჯევიზდები“ — „კაკლისძირი“, „თეფე“ — მწვერვალი, წვერი, ბორცვი (იქვე. გვ. 248)).

ამ ბორცვზე ძველი ნაგებობის ნაშთია, რომელსაც ზოგიერთი „ციხედ“ („ყალე“) თვლის, ხოლო ზოგიც — „ქილისე“-დ. ო. ჯევაიშის ცნობით, „ჯევიზდებიშთეფეზე დიდი ნაგებობაა, გალავნიანა, აქვს გვირაბი ზღვამდე, ბავშვობისას რამდენიმე კიბეზე მეც ჩავსულვარ“.

ამ ძეგლს იხსენიებს ზ. ლიოზენი ჭანეთში მისი მოგზაურობის აღწერილობაში. მას ის უშუალოდ არ მოუხილავს, დაინახა მხოლოდ გზიდან. ზ. ლიოზენი მას უწოდებს „რომელიდაც ძველი ნაგებობის, თუ სამლოცველოს ნანგრევებს“ (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 150). იგივე ავტორი იხსენიებს გვირაბსაც, რომელიც, მისი მთხრობლების თქმით, ზღვაზე ჩადიოდა მცირე ნავსაყუდელთან (იქვე).

სარფის მკვიდრთა დამოწმებით, ამავე გვირაბს მიუთითებენ რ. ბაქრაძეც, რომელიც ამ ნაგებობას ციხედ მიიჩნევს (რ. ბაქრაძე, საბჭოთა სარფი, 1971, გვ. 10).

ციხის ასაკის გასათვალისწინებლად მისი ადგილზე მოხილვას აუცილებელი.

მელენი ბურუნი — ჯევისდიბის თეფეს სამხრეთით. „მელენი“ — („ჭან.) — „ვალმა“, „ბურუნი“ (თურქ.) — „კონცხი“.

ჯგირიოლასირთი — დიდი სერი, მელენი სარფის სამხრეთი მიჯნა. ეს ჭანურ-თურქული ტოპონიმი „კარვი გზის სერს“ ნიშნავს. ირ. ასათიანს „ჯგირიოლა“-ს ფორმით ჩაუწვრია (ჭან. ტექსტ. გვ. 41-42).

მცხულეფუნა — სერი, პაპათის ზემოთ. „მცხულ-ეფ-უნ-ა“ (ჭან.) — „მსხალნარი“.

პაპათი — მთა. „ჯგირიოლასირთის დასავლეთ ნაწილშია“ (მ. ჯევისი). „პაპუ“ ჭანურად „ბაბუას“ ნიშნავს (იხმარება „პაპულია“-ს ფორმითაც ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 178).

პაპათი ჭანეთში სოფლის სახელებადაც გვხვდება (იხ. ქვემოთ).

ღარვა — „ქვეით ვაკეებია“ (ირ. ასათიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 41-42). „ღარვა“-„ღავრას“ (იხ. ქვემოთ) სახენაცვალი ფორმაა.

ეჭსავათი — „ცოტა ქვევით“ (იქვე).

ღეჭვა — „ზღვის პირას არის“ (იქვე).

ყომურღუზი — მინდორი („ყომურღუზი“ (ჭან-თურქ.) „ტყემლის ვაკე“).

ოჭინახუშოფუტე — სათესი.

დიდი მეგზა — სათესი.

ქიტა მეგზა — სათესი.

ყომურყონა — სათესი.

მ ე ზ რ ე ს ა რ ჯ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფელთა აღწერილობაში არ იხსენიება. ხუთვერსიან რუკაზე მელენი სარფის სამხრეთითაა აღნიშნული.

„მეზრე“ არაბულ-თურქული სიტყვაა და „სათესველს“ ნიშნავს (ს. ჯიქია). იგი ჭანეთის გვიანდელ საგეოგრაფიო სახელებშიც ხშირად გვხვდება და სამხრეთ საქართველოს ოსმალთაგან მიტაცებულ სხვა მხარეებშიც (მაგ. „მეზრე არდერ“-ხალას ხეობაში, „მეზრე-ჩიფთე-ქოფრი“ — მაკრიალ-ჩხალის გზაზე და სხვა).

ღავრა — ადგილი მეზრე სარფში (ო. ჯევისი). ირ. ასათიანის ერთ ჩანაწერშია „ღარვა“ — (ჭან. ტექსტ. გვ. 41-42).

ღავრა ჭანეთში სოფლის სახელიც არის ვიწესთან (იხ. ქვემოთ).

ეს სავეოგრაფიო სახელი ერთ ჭანურ სიმღერაშიც იხსენიება (მ. ვანლიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, გვ. 154).

ს უ მ ჯ უ მ ა

ეს სოფელი მეზრე, სარფის დასავლეთით მდებარეობს (ხუთვე-რსიანი რუკა). ჭანურად „სუმჯუმა“ („სამი ძმა“) ეწოდება, ხოლო თურქულად — „უჩყარდაში“.

სახელწოდება წარმოდგება იმ სამი ლოდისაგან, რომელიც ზღვაშია, სანაპიროს სიახლოვეს.

ო. ჯევაიშის ცნობით, შუათანაზე უკანასკნელ დრომდე ხე იყო, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ ზღვას წაუღევავს. ეს ხე შეუმჩნეველი არც ზ. ლიოზენს დარჩენია (გვ. 149). მასვე ჩაუწერია ჭანური თქმულებაც, რომლის მიხედვითაც ამ ლოდებიდან თითქოს ორი ძმაა და ერთი და. ისინი ცოდვის გამო ვითომც ქვად უქცევია ალაჰს (იქვე). ეს თქმულება, უეჭველია, ამ მხარეში ალაჰის შემოსვლამდეც არსებობდა, რადგან მასში უფრო ძველი ხანის ზნეობრივი მომენტია ჩაქსოვილი. მსგავსი თქმულება სხვაგანაც გვხვდება: აზლადის „ისინა“-ზე (მ. ვანლიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, გვ. 106), სარმიყელის „სიძე-რძალზე“ (ი. სიხარულძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი II, ბათუმი, 1959, გვ. 115) და სხვა.

რევოლუციამდე ეს სოფელი მაკრიალის სასოფლო-საზოგადოებაში ერთიანდებოდა (ზ. ლიოზენი, გვ. 161).

იგივე ავტორი იქ მიუთითებს ფორთოხლის, კაკლის და თუთის ხეთა სიმრავლეს (იქვე, 150-151).

ზღვის სანაპიროზე ზ. ლიოზენს უნახავს ქრისტიანული სამლოცველოს ნანგრევებიც (გვ. 151).

მ ი ლ ი ს ე

მდებარეობს გორაზე, ვზის მარცხნივ, იგი პატარა ქვის ნაგებობა ყოფილა ნარ-ეკალში გახვეული. ზ. ლიოზენმა მისკენ დიდი დავიდარაბით გაიკაფა გზა იმის ინტერესით, რომ შეეხედა — ხომ არ იყო იქ რაიმე წარწერა. მისდა საოცრად, მან იქ შენიშნა მოხატულობის კვალი და აღმოაჩინა ნახევრად გადასული ბერძნული წარწერაც (გვ. 151). სანამ ამ წარწერას ნახავდა, მანამდე მას ამ მხარის ყველა ეკლესია გენუელების აგებულად მიაჩნდა. მისი თქმით, ადგილობრივ მოსახლეობას დიდი წარმოდგენა ჰქონია გენუელებზე, რომლებსაც ისევე მიაწერენ ყველა ციხესა და ეკლესიას, როგორც საათაბაგოს ძეგლებს თამარსო (იქვე).

ეკლესიის გორიდან მთელი მაკრიალის ხეობა ჩანს (იქვე).

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფელია, სიაში „უჩ-ყარდაშსა“ (2) და „მაკრიალს“ (4) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161). ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე არაა აღნიშნული.

ევლია ჩელებთანაა „შანე“ (მოგზ. I, გვ. 93). ეს სახელწოდება დადასტურებული გვაქვს „ფშანა“-ს და „მშანა“-ს ფორმებითაც.

ჰ ი ტ ა მ ა კ რ ი ა ლ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფელთა სიაში არ იხსენიება. ხუთვერსიან რუკაზე „უჩ-ყარდაშის“ დასავლეთითაა აღნიშნული.

ჭანები „ჰიტა მაკრიალს“ („პატარა მაკრიალი“) უწოდებენ, ხუთვერსიან რუკაზე რუსული თარგმანითაა მოცემული („М. Макриалы“).

ზ. ლიოზენი ამ მაკრიალში ორ პატარა სოფელს მიუთითებს სახელების მოუხსენებლად (დასახ. ნაშრ. გვ. 151).

მაკრიალიშუენი — ასე უწოდა ჩვენმა ერთ-ერთმა ინფორმატორმა (ო. ჭევაიში) მაკრიალის ველობს. „შენი“ (ჭან.) — „ვაკე“-ს ნიშნავს.

ზ. ლიოზენი ამ ველზე ბრინჯის პლანტაციებსა და მრავალ უსახელო ღელეს მიუთითებს (იქვე).

მ ა კ რ ი ა ლ ი

„ტრაპიზონის ქრონიკაში“ ეს საგეოგრაფიო სახელი ერთგან „მაკროსევილოს“-ის ფორმით იხსენიება, ხოლო მეორეგან შეკვეცილი სახით — „მაკრევილოს“ (მ. პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა აღ. გამყრელიძემ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 33. თბილისი, 1960, გვ. 38, 42; ქვემოთ — „ტრაპიზონის ქრ.“).

„მაკროს-აივილოს“, — წერს აღ. გამყრელიძე, — „გრძელ ნაპირად“ ითარგმნება, მაგრამ სრულიად შესაძლოა ადგილობრივი ლაზურ-ქართული სახელწოდებაა შემდეგ ასე გააზრებული ბერძნების მიერ“ (იქვე, გვ. 80, შენიშვნა 133).

„ტრაპიზონის ქრონიკით“, მაკრიალს რამდენიმე საინტერესო ისტორიული ფაქტი უკავშირდება.

1367 წლის ივნისში მაკრიალში მოიყვანეს ტრაპიზონის კეისრის ალექსი III (1349-1390) ასული ანნა, რომელიც საქართველოს

მეფე ბაგრატ დიდზე (1360-1393) თხოვდებოდა. საქართველოს სა-
პატარძლო მაკრიალში მოაცილეს მშობლებმა (ტრაპიზონის იმპერა-
ტორმა და დედოფალმა) და ჯარმა, რომელიც, მ. პანარეტოსის ცნო-
ბით, ხმელეთითაც მოდიოდა და ზღვითაც (იქვე, გვ. 38).

ათი წლის შემდეგ, 1377 წლის აგვისტოში, მაკრიალშივე ჩავი-
და ტრაპიზონში სადედოფლოდ მიმავალი უფლისწული გულქანი,
რომელმაც, როგორც ჩანს, ერთი დამე კიდევ გაათია ამ სოფელში
(იქვე, გვ. 42).

ოსმალთა მფლობელობის დროს მაკრიალი არქაბეს (არხავეს)
კახაში შედიოდა. შემოერთების შემდეგ სასოფლო საზოგადოების
ცენტრად იქცა და 11 სოფელს აერთიანებდა: სარფი, უჩყარდაში,
შანა, მაკრიალი, ჩანჩხარა, ქიოფრიჯი, სოველი, ყულიგანისი, ღიმი-
ნი, მანელ-ოღლი, ხემშინი (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

რევოლუციის შემდეგ მაკრიალის სასოფლო საზოგადოება მო-
ღენი სარფის გამოკლებით, კვლავ თურქეთმა დაიკავა.

ჭანები მაკრიალს „ნოღედს“ უწოდებენ. „ნოღედი“ მაკრიალ-
თანაა გაიგივებული ა. ნარაკიდის (მოღენი სარფი) მონათხრობში
(ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 40). ასევეა ხ. ნარაკიდისაგან ჩაწე-
რილ ტექსტშიც (იქვე, გვ. 41, 42) და სხვა.

მ. ვანლიშისა და ა. თანდილავას ცნობით, ნოღედი XVII საუ-
კუნიდან აღარ არსებობს, რადგან თურქებს მისთვის თითქოს მაკ-
რიალი შეურქმევიათ (ლაზეთი, გვ. 105, შენიშვნა I).

მაკრიალი თურქულ სახელადაა მიჩნეული ხალხურ მასალებ-
შიც (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 41, 42).

ეს ჩვენებანი საინტერესოა არა ასეთი შენაცვლების, ანდა, საგე-
ოგრაფიო სახელ „მაკრიალის“ ენობრივი მიკუთვნილობის გამოსა-
რკვევად, არამედ ამ პუნქტის სხვა სახელწოდების (ნოღედი) გასათ-
ვალისწინებლად.

უკანასკნელ დროს თურქებმა მაკრიალს, ისევე როგორც ჭანე-
თის არაერთ სხვა პუნქტს, შეუცვალეს სახელი და ათათურქის პატი-
ვსაცემად „ქემალფაშა“ უწოდეს.

ქილისე — მდებარეობს ზღვის სანაპიროზე. იგი ინახულა და
აღწერა ზ. ლიოზენმა. მისი ცნობით, ეკლესია შემოზღუდული ყო-
ფილა ქვის გალავნით. ჰქონია ორსართულიანი სამრეკლოც.

ეკლესიის მთავარ კორპუსს (დაახლოებით 5 მეტრი სიმაღლი-
სას) მკვლევარი გოთურ სტილზე ნაგებ ძეგლად თვლის.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან მიდგმული ჰქონია მეორე ნაგებო-
ბა, ხოლო ზღუდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემონახული
ყოფილა ძველი კოშკის ნანგრევები და სხვა (გვ. 152).

ზ. ლიოზენის ცნობით, ვილაცებს იქ უპოვიათ ძველი მონეტები, მაგრამ მათი აღმოჩენა მოგზაურს ვერ მოუხერხებია.

იგივე ავტორი მიუთითებს, აგრეთვე, იმ შიშზეც, რომელსაც მოსახლეობა განიცდიდა ამ ეკლესიის გამო. მათი რწმენით, ამ ძეგლს ვითომც ელვარე თვალებიანი და ყვავზე შემჭდარი ეშმაკი ეწვეოდა ხოლმე (იქვე).

ზ. ლიოზენს უცდია ამ ცრურწმენის საფუძვლის მიკვლევა, მაგრამ უშედეგოდ. ერთი ლიმანელის განმარტება, რომ ასეთი რამ მხოლოდ შშიშართა წარმოდგენებშია საძიებელი, საკითხს ვერ არკვევს.

ძნელი მისახვედრი არც ასეთი შიშის წარმოშობის მიზეზია და არც ისა, თუ რამ განსაზღვრა მამაბაპურ სალოცავებზე ჭანთა წარმოდგენის ასეთი ტრანსფორმაცია.

დიდი მაკრიალი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში არ იხსენიება. არც ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზეა აღნიშნული. ასახელებს ზ. ლიოზენი, რომელმაც უშუალოდ ინახულა ის. მისივე ცნობით. ამ სოფელში ცხოვრობდა მთელ ლაზეთში გავლენიანი ზვანბაიების საგვარეულო (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 153).

მაკრიალ-წკარი — ასე იწოდება ეს მდინარე ჭანტრად (ხ. კახალიში, ო. ჯევაიში.). ხუთვერსიან რუკაზე სახელი არ აწერია.

ზ. ლიოზენის ცნობით, ეს მდინარე სამი შენაკადისაგან შედგება. მთავარი შტო კი ზალონის მთიდან მოედინება (იქვე). ეს ხუთვერსიანი რუკიდანაც კარგად ჩანს, რომელზეც ეს მდინარე „მაკრიალ-ჩაი“-დ იწოდება.

მდ. მაკრიალზე ზ. ლიოზენი მიუთითებს ქვის დიდ და კარგად შემონახულ ხიდს (მისივე, დასახ. ნაშრ. გვ. 153).

ჩანჩხარა

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფელთა სიაში მე-5-ა — „მაკრიალე“-სა (4) და „ქიუფრიჯს“ (6) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს ხუთვერსიანი რუკის „მეზრე ჩანჩხორი“ („ხაჩბაშის“ აღმოსავლეთით).

ხალბაში

მაკრიალის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფელთა სიაში არ იხსენიება. ხუთვერსიან რუკაზე მაკრიალის აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

ზ. ლიოზენთანაა „ხალბაში“ (დასახ. ნაშრ. გვ. 152), ხუთვერსიან რუკაზე — „ხაჩბაში“, ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზე“ — „ხალვაში“, მ. ვანლიშს და ა. თანდილავას „ხარბაშ“-ის სახით მოაქვთ (ლაზეთი, გვ. 161).

ქ ი ო ფ რ ი ჯ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში მე-6-ა — „ჩანჩხარასა“ (5) და „სოველს“ (7) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161). მოლენისარფელი ხ. ნარაკიძის ცნობით, „ქლოფი-ჯი ნოღედის ზემოთ არის“ (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 41-42). ხუთვერსიან რუკაზე „ხაჩბაშის“ სამხრეთითაა აღნიშნული.

„ქიოფრიჯი“ (თურქ.) — „მეზიდე“.

ქიოფიჯი-ზენი — „ვაკობი ქიოფიჯთან“ (ხ. კახაილიში. 17.VII. 1967). ამავე ველს იხსენიებს ზ. ლიოზენიც (დასახ. ნაშრ. გვ. 152).

„ქიოფიჯი-ზენი“ (თურქ.-ჭან.) — „ქიოფ(რ)იჯის ვაკე“.

ყ უ ლ ი - გ ა ნ ი ს ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფელთა სიაში მე-8-ა — „სოველსა“ (7) და „ლიმანს“ (9) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

ამ სოფლის ადგილმდებარეობის ძიებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია „Мезре кула“-მ, რომელიც ხუთვერსიან რუკაზე „ქიოფრიჯის“ დასავლეთითაა აღნიშნული. შეიძლება „ყული-განისი“-ც ეს სოფელი იყოს.

„ყული“ (მრავლობითი ფორმით) სოფლის სახელად დადასტურებულია სამცხეშიც (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 107-108).

სოფლისავე სახელად გვხვდება „განისი“-ც (ყაზბეგის რაიონის კობის სასოფლო საბჭო. საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1961, გვ. 88).

ს ა მ შ ი ნ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში მე-11-ა — „მანელ-ოღლის“ (10) შემდეგ (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

ხუთვერსიან რუკაზე „Мезре Гамшин“-ის ფორმითაა აღნიშნული, „მეზრე კულა“-ს აღმოსავლეთით.

მ ა ნ ე ლ - ო ლ ლ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში მე-10-ა — „ლიმანსა“ (9) და „ხემშინს“ (11) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

სოფელი „მანელ-ოლლი“ ხუთვერსიან რუკაზე „სოველის“ სამხრეთითაა აღნიშნული.

სოფლის სახელი წარმოდგება საგვარეულო სახელისაგან „მანელ ოლლი“ (მანელი-შვილი — მანველის-შვილი).

ს ო ვ ე ლ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში მე-7-ა — „ქიუფრიჯსა“ (6) და „ყული-განისს“ (8) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

ხუთვერსიან რუკაზე „მანელ-ოლლის“ (სამხრეთით) და „მაკრიალის“ (ჩრდილოეთით) შუაა აღნიშნული.

ამ სოფლის სახელწოდებას ჯერჯერობით ორი მცირედ განსხვავებული ფორმით ვიცნობთ: „სოველი“ (ზ. ლიოზენი) და „სოვილი“ (ხევა აღის ასული აჭარალიში. დაბ. 1904 წ. გონია).

ბ. აჭარალიშმა, რომელიც საკმარის დიდხანს ცხოვრობდა „სოვილში“ („ტაიასთან“), შემდეგი სახელწოდებანი დაგვისახელა: პოტრა წკა(რ)ი-ღელე, ქილისედუზი—მინდორი, ქილისეკავი—სათესი, მაისკი(შ)ოფუტე — სოფ. უბანი, კავაგდობი — მინდორი.

ლ ი მ ა ნ ი

მაკრიალის სასოფლო საზოგადოების სოფლების სიაში მე-9-ა — „ყული-განისსა“ (8) და „მანელ-ოლლის“ (10) შუა (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 161).

ხუთვერსიან რუკაზეა „ლიმანი“. ასევეა ზღაშიც და ხალხურ მეტყველებაშიც („იზ. ასათიანი, ჯან. ტექსტ. გვ. 38-39-40). დ. კლდიაშვილთანაა „ლიმანა“ (მემუარები, 1932, გვ. 355).

ლიმანელმა აიშე ხასანის ასულმა ბექაირიშ-დოლიძემ (დაბ. 1889 წ.), რომელიც გონიაშია გამოთხოვილი, მშობლიური სოფლის შემდეგ ადგილთა სახელები გაიხსენა: ღინკითი — სათესი, მანიაკეთი — სათესი, სენაკეთი — მინდორი, კარა-თეფე — მთა.

ლიმანი ზღვის ნაპირას მდებარეობს. აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზეც. „ლიმანი“, როგორც ითქვა, ბერძნული „ლიმენ“-ის (ნავსაყუდელი) სახენაცვალი ფორმაა. იგივე სიტყვა გამოიყოფა სოფ.

კვარიათის ერთი მცირე ნაგვისადგომის სახელწოდებაშიც („ჭიტა ლიმანი“).

მაზიმ-ჩაი — მდინარე ლიმანის დასავლეთით. 1878 წელს ამ მდინარეზე გავიდა რუსეთ-თურქეთის საზღვარი (ზ. ლიოზენი, დასახ. ნაშრ. გვ. 156).

კოპმიში

სოფელი რუსეთ-თურქეთის 1878 წლის საზღვართან. ნ. მარია ხოფის კაზაში ასახელებს (ნ. მარია, მოგზ. გვ. 608).

ზ. ლიოზენთანაა „კოპმიში“ (დასახ. ნაშრ. გვ. 154) ნ. მართან— „კოტმიში“ (მოგზ. გვ. 608), ირ. ასათიანის ჩანაწერში — „კოქმიში“ (ჭან. ტექსტ. გვ. 195) და ა. შ.

სახელწოდება თურქულია (წარმოდგება „კოფმაკ“ ზმნიდან) და „მოწყვეტილს“ ნიშნავს.

კოპმუშ-ბურუნი — ადგილი კოპმიშში (ო. ჯეგაიში). „კოფმუშ-ბურუნი“-ი (თურქ.) — „კოპმუშის კონცხი“.

ზ. ლიოზენი ამ კონცხზე ასახელებს თურქულ საგუშაგოს, რუსული საგუშაგოდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით (დასახ. ნაშრ. გვ. 156.).

ლიმანის დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზე კიდევ არის აღნიშნული თურქული საგუშაგო.

აბუ - ისლა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში პირველია (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში მე-2-ა — „ხოფასა“ (1) და „ბაშქოი-ხიჩს//ფხიგს“ (3) შუა (იქვე, გვ. 165). ხუთვერსიან რუკაზე სოფ. ბაშქოის ჩრდილოეთითაა აღნიშნული, ზღვის სანაპიროზე.

ქართულ სიაშია „აბუ ისლას ბუჯადი (აზლადა)“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულ სიაში ქართულადაა „აბუისლა“ (იქვე, გვ. 165), სხვაგანაა „აბუ ისლაჰი“ (იქვე, გვ. 158). ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც და ა. შ.

მ. ვანლიშისა და ა. თანდილაგას აზრით, ეს სახელწოდება არაბული წარმოშობისაა და „წმინდა წყალს“ ნიშნავს (ლაზეთი, გვ. 105. შენიშვნა).

არაბულია ამ საგეოგრაფიო სახელის მხოლოდ მეორე ნაწილი — „ისლაჰ“ (დ. ა. მავაზანიკი, თურქულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 296). პირველი („აბუ“) კი სპარსულია და „წყალს“ ნიშნავს.

„აბუ“ ჭანეთის ტოპონიმიაში ხშირია: „აბუ“ (სუფლა, ულია

და სხვა) — სოფელი, „აბუ-იალაღი, „აბუ“-მდინარე, „აბუ“-
„ზულულ“ (ტბა) და სხვა (იხ. ქვემოთ).

ხუთკილომეტრიან რუკაზე „აბუ-ისლაჰ“-ის ნაცვლად „Буд-
жак“-ია აღნიშნული. ეს სახელწოდება ხოფის უბნის სოფლების
ქართულ სიაშიც გვხვდება (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), ირ-
ასათიანის გამოცემულ ჭანურ ტექსტებშიც (გვ. 40) და სხვაგანაც.

ოსმალთა მფლობელობამდე ამ სოფელს აზღალა ერქვა. ეს სა-
ხელწოდება ხშირად იხსენიება ი. ყიფშიძის ჩანაწერებში (ჭან. მოგზ.-
გვ. 165; ჭან. ტექსტ. გვ. 5 და სხვ.). ამავე საგეოგრაფიო სახელის
დამახინჯებული ფორმა ნიგოთის ეკლესიის ერთ ასომთავრულ წა-
რწერაში დადასტურებული „ანზილაღი“-ც (Д. Бакрадзе, Археоло-
гическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878, გვ. 256).

ჭანეთის მიტაცების შემდეგ ამ სოფლის სახელად მკვიდრდება
სპარსულ-თურქული სახელწოდება „აბუ-ისლაჰი“. სამეცნიერო ლი-
ტერატურაში ეს ფაქტი XVII საუკუნის მიწურულსაა ნავარაუდე-
ვი (მ. ვანლიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, გვ. 105, შენიშვნა 2).

საამისო მონაცემებს არც ავტორები ასახელებენ და არც ჩვენ
გავვაჩნია ვერჯერობით.

აზღალაში, როგორც ირკვევა, სოფლის ეკლესიას (ოხვამე) გარ-
და, ყოფილა მონასტერიც. ამას უნდა გულისხმობდეს ერთი იქაუ-
რი მთხრობელის „ქილისეფე“ („ეკლესიები“), რომლებიც „ოხვა-
მეს“ ზემოთ აღებარებობს (ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, გვ. 7,
XX XII).

ამ „ქილისეფე“-ს წინამძღვარი უნდა ყოფილიყო თითქოს ის
„ანზილაღელი“, გიორგი წინამძღვარი, რომელიც ნიგოთის ეკლე-
სიის ასომთავრულ წარწერაში იხსენიება (დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ.
გვ. 256).

როდინდელია ეს წარწერა. ძნელი სათქმელია, რადგან დღეს
უკვე მხოლოდ ბეჭდური სახითაა შემონახული, მაგრამ იგი უდავოდ
აზღალელი გიორგი წინამძღვრის ნიგოთში დამკვიდრების შემდეგ
დროს მიეკუთვნება. გ. წინამძღვარი ჭანეთიდან ოსმალთა გაბატო-
ნების შემდეგ შეიძლება წამოსულიყო მხოლოდ.

აზღალის იმდროინდელი აყრა-ლტოლვის ხსოვნა უკანასკნელ
ხანებამდეც კარგად ყოფილა შემონახული ამ სოფლის მკვიდრთა
ხსოვნაში (ი. ყიფშიძე, ჭან, ტექსტ. გვ. 7).

აბუისლა — მდინარე. მოედინება სულთან სელიმის მთიდან
და ერთვის ზღვას მისსავე მოსახელე სოფელთან (დასავლეთით). სა-
ხელწოდება პირველადია მდინარისათვის, შემდეგ კი სოფელსაც
შეერქვა. ხუთვერსიან რუკაზე სახელი არ აწერია, ჩვენ „აბუისლა-

ღალი“-ს სახით გვაქვს დადასტურებული (ხ. კახაილიში, მოლენი სარფი).

ბურბუმ-ოხვამე — ი. ყიფშიძის ცნობით, ბურბუმ-ოხვამე ეწოდება აზლადაში „ზულამ პიჯის“ (ზღვის პირის) ერთ ადგილს (ჭან. მოგზ. გვ. 165). ქართულად — „ღამურას სამლოცველო“.

მიღწეული იყო თუ არა იმ ადგილას სამლოცველო ან მისი ნაშთი, ამაზე მკვლევარი არაფერს ამბობს.

ისინა — მ. ვანლიშისა და ა. თანდილავას ცნობით, ასე იწოდება ადგილი აზლადის ეკლესიის ქვემოთ, ზღვის ახლოს. „ისინა“ იხსენიება ერთ თქმულებაში „ქვანოლამისა“ („ქვაპატარძალა“).

აზლადაში გათხოვილი პატარძალი რომ ისინას მისულა, შეჩერებულა და დედამთილისათვის ყველა გასაღების გამოგზავნა მოუთხოვია. დედამთილი მიმხვდარა, რასაც ესწრაფვოდა სარძლო და დაუწყევლია: ქვად იქცესო. მასთან ერთად თითქოს მაყრიონიც გაქვავებულა (მ. ვანლიში, ა. თანდილავა, ლახეთი, გვ. 106).

ამავე სახელწოდების მთას იხსენიებს ი. ყიფშიძეც (ჭან. მოგზ. გვ. 153), თუმცა მდებარეობა მითითებული არ აქვს.

„ისინა“ ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებიდან მომდინარე სახელწოდებაა და „უტყეოს“, „შიშველს“ ნიშნავს (ნ. მარი. ჭან. გრამ. გვ. 150).

ყომურძენი — ტყე. ი. ყიფშიძის დღიურშია „ყომურძენი“ (ჭან. მოგზ. გვ. 165). ასევეა აზლადელი ასიე რეიზ-ოღლის მონათხრობშიც, რომელიც ირ. ასათიანმა ჩაწერა (ჭან. ტექსტ. გვ. 196). ბუჯადელი რ. ჩებიშის ცნობით, „ძენი“ აქ „ზენი“-ს ნაირსახეობა უნდა იყოს. „ზენი“ (ჭან.) — ვაკე, „ყომური“ (ჭან.) — ტყემალი (მდრ. „ყუმური“ — მდინარე, სოფელი საჩინოში).

ზენობა//ძენობა — ტყე. ი. ყიფშიძის დღიურში „ყომურძენის“ შემდეგაა დასახელებული (ჭან. მოგზ. გვ. 165). —ობ სუფიქსით ნაწარმოები ამ სახელწოდების ფუძეშიც „ზენი“ (ვაკე) გამოიყოფა.

მოტრაცელი. — ტყე. ი. ყიფშიძის დღიურში „ზენობა-ძენობას“ მოსდევს (ჭან. მოგზ. გვ. 165). ბუჯადელი რ. ჩებიშის განმარტებით, მონტრაცელი „ამოთხრილს“, „ამონგრეულს“ ნიშნავს (მდრ. „მონტაცა“, ადგილის სახელი მოლენი სარფში) ერთ ხალხურ სასიმღერო ლექსში (მთქმელი რ. ჩებიში), რომელშიც აზლადის უპირატესობაა წარმოჩენილი ხოფასთან შედარებით, ნათქვამია:

აზლადა კაი ქოი
ჩიმჩირიშ შურა გულუ,
ხოფა, დოლონტროცელის
ინდღერის ეორა იულუნ.

გოგოგზა//კოკოგზა. ი. ყიფშიძე მხოლოდ პირველს (გოგოგზა) იცნობს და ტყის სახელად აქვს მიჩნეული (ჭან. მოგზ. გვ. 165). მხიგელმა შ. ხალილიმ-გიუვენმა (დაბ. 1892 წ.) ეს სახელწოდება „კოკოგზას“ ფორმით დაგვისახელა. მისი ცნობით, ასე იწოდება არა ტყე, არამედ ტყისკენ მიმავალი გზა, რომელიც აზღალდასა და მხიგს შუა მდებარეობს. ეს გზა ოტორონჯესა და ოხვამეზე მიდის.

ზენდილი. ი. ყიფშიძე ტყის სახელით მიუთითებს (ჭან. მოგზ. გვ. 165). ნიშნავს „ვაკელიდს“.

ოხვამე. ი. ყიფშიძესთან ასე იწოდება აზღალის ერთ-ერთი ტყე (ჭან. მოგზ. გვ. 165), ა. რეიზ-ოღლის მონათხრობში კი — გორა (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 196). ხუთვერსიან რუკაზეა „მთა“.

ადგილის სახელი „ოხვამე“ (სამლოცველო) ჭანეთში საკმაოდ ხშირია (შლრ. „ოხვამე“ მელენი სარფის, სუმჯუმის და სხვა).

დოლოყალა. მხიგელი შ. ხალილიმ-გიუვენის ცნობით, „ასე იწოდება სასირე ადგილი აზღალაში. ბადეებს ჰკიდებენ და უდარაჯებენ მტრედს. უამრავი ბადე მინახავს მე იქ. ბადის პატრონები ქოხში იმალებიან და იქიდან უთვალთვალებენ ჩიტებს. მხოლოდ ერთი შურდულმომარჯვებული კაცი ზის ცხემლის ხეზე, რომელიც ასორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით დგას იმ ადგილიდან. როცა მტრედების გუნდი მოახლოვდება, ის კაცი სტყორცნის შურდულით ხის ნაჭერს, რომელიც ზუზუნით მიაპობს ჰაერს და თავზარს სცემს მტრედებს, რომლებსაც ის მტაცებელთა (შევარდენი, მიმინო) ხმად ეჩვენებათ და საოცარი სისწრაფით ეშვებიან ქვემოთ და ცვივიან ბადეებში. იმ შემურდულეს „იყალუ“-ს ეძახიან“.

აზღალელი ა. რეიზ-ოღლის მონათხრობშიც „დოლოყალა“ (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 196), ი. ყიფშიძესთან კი „დოლოყანა“ (ჭან. მოგზ. გვ. 165), რაც სწორი არაა.

ა. რეიზ-ოღლი დოლოყალას ოხვამესთან ასახელებს (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 196).

ნოსტონი — ტყე. ასეთი ფორმით დაგვისახელა ეს ტოპონიმი ბუჯაღელმა რიზა მუჰამედის ძე ჩეხიშვა (დაბ. 1901 წ.). ი. ყიფშიძესთანაა „ნოსტალე“ (ჭან. მოგზ. გვ. 165). ამისგან მცირედ განსხვავებული „ნოსიტანე“ ყიფშიძესთან სხვაგანაც გვხვდება (ჭან. ტექსტ. გვ. 4). ჩვენს ინფორმატორს არც „ნოსტალე“ გაუგონია და არც „ნოსიტანე“. მან კარგად იცის მხოლოდ „ნოსტონი“. მისი ცნობით, ოგი აზღალას და ბუჯალს შორის მდებარეობს.

ეს სიტყვა ათინურ კილოკავში „ლოსტონის“ ფორმით გვხვდება, ვიწურში — „ლოსტონის“, ხოლო ხოფურში — „ნოს-

ტონის“ (ნ. მარი, ჭან. გრამ. 163). მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: მოლიბდული, გლუვი და სხვა (იქვე).

ნობაგენე — ტყე (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165). ნო-ე აფიქსური წარმოების ამ ტოპონიმის ფუძეა „ბაგენი“, რაც ხოფურსა და ვიწურში თივის, სიმინდისა და სხვათა შესანახ ნაგებობას ეწოდება. შდრ. ნალია, სერენდე (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 128). ნობაგენე, აღ-გილი, სადაც „ბაგენი“ იდგა ოდესღაც.

ნომოხელი — ტყე (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165).

ჯახჩე — ტყე (იქვე). ქართულად — „ხეთეთრა“.

დობირანჯე — ტყე. აზღალის ტოპონიმთა ი. ყიფშიძისეულ სი-აში „ჯახჩესა“ და „სოტირას“ მორის იხსენიება (ჭან. მოგზ. გვ. 165).

„დობირანჯე“ მიმღობათა — ანჯ ზანური ფორმანტით ნაწარ-მოები ტოპონიმია სიტყვისაგან „დობირა“. ი. ჯავახიშვილის ვარაუ-დით, „თავდაპირველად დობირა ანუ დობერა სავენახე მიწას ჰნიშ-ნავდა“ (მისი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1935, გვ. 132).

რაც შეეხება — ანჯ ფორმანტს, ის — ენჯ-ის ნაირსახეობაა. ამ უკანასკნელის შესახებ 1937 წელს ვ. თოფურია წერდა: „დღეს იგი უქმი სუფიქსია. ხმარებიდან გამოდევნა მისმა მორფოლოგიურმა მონაცვალე — აღ-მა. მას ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შე-ესატყვისება ქართული — არ ბოლოსართი, რომელთანაც ვინაობის მაწარმოებელ — არ-ს კავშირი არა აქვს“. (ვ. თოფურია, — ენჯ სუ-ფიქსი მეგრულში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 144).

„დობირა“ ჭანეთის საგეოგრაფიო სახელებში სხვაგანაცაა და-დასტურებული, მაგ. „ჯანუთ-დობირა“ — სოფელი ხალას ხეობაში (იხ. ქვემოთ).

სოტირა — ტყე. (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165).

„სოტირა“ ბერძნული „სოტერია“-ს სახენაცვალე ფორმა უნდა იყოს. ამ სახელწოდების ქალაქი იყო ერთ დროს შავი ზღვის სანა-პიროზე. კ. პორფიროვენეტი მას („სოტერიუპოლისს“) აბაზგიის სამხრეთ საზღვარზე ასახელებს (გეორგიკა, IV₂, 1952, გვ. 233).

ქვამჩირე — ტყე (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165). ამ სახელ-წოდების პირველი ნაწილი (ქვა) ხშირია ჭანეთის ტოპონიმიაში, ხოლო „მჩირე“ ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ გვაქვს დადასტუ-რებული. იგი ზანური სიტყვაა და „ფართოს“ ნიშნავს (გ. როგავა, დასავლეთ საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების ეტი-მოლოგიისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენე-

ბათა თეზისები. 1959) „ქვა შჩირე“ — „ქვაფართო“ (შდრ. ოჩამჩი-
რე, ტყაჩირი და სხვა).

პლაკიშთი — ტყე (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165).

ამ სახელწოდების პირველი სიტყვა „პლაკე“ უნდა იყოს. „პლა-
კე“, „სალ“, „ფრიალო“, „პიტალო“ ადგილს ეწოდება (შ. ნიყარა-
ძე, დასახ. ნაშრ. გვ. 299).

„პლაკი“ საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმია სამხრეთ-დასა-
ვლეთ საქართველოში: „პლაკიანი“, „პლაკანარა“, „პლაკიანხო“, „პლა-
კითავი“ და სხვა (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-
ლოს ტოპონიმია, I, გვ. 74, 78, 128, 135). აქაც „პლაკისთავი“
გვაქვს („პლაკიშ“ (ჭან.) — პლაკის, „თი“ (ჭან.) — თავი).

სულტან სელიმიშ დალი — მთა აზლალაში. ა. რეიზ-ოღლის მო-
ნათხრობშია „სულტან სელიმიშ დალი“ (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ.
გვ. 196). ი. ყიფშიძესთანაა „სულთან სელიმი“ (ჭან. ტექსტ. გვ. 7).
ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც ხუთკილომეტრიან რუკაზე „სულტან-
სელიმ-თეფე“. ი. ყიფშიძის ჩანაწერით, „სულთან სელიმი“ გორაა
„აზლალური ოხვამეს“ თავზე (ჭან. ტექსტ.), ხუთვერსიან რუკაზე ოხ-
ვამეს სამხრეთითაა აღნიშნული. აღნიშნულია ხუთკილომეტრიან
რუკაზეც.

ბაშქოი — მთა აბუისლას სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა) „ბა-
შქოი“ (თურქ.) — თავსოფელი. ორონიმი წარმოდგება სოფლის სა-
ხელისაგან.

ვ ა შ ა ო ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-14-ა — „წკარყინა-
სა“ (12) და „უფურპიჯს“ (14) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154),
რუსულში — მე-3-ა (ფხივთან ერთად იქვე, გვ. 165).

ხუთვერსიან რუკაზე მთა „ბაშქოის“ დასავლეთით და „აბუის-
ლას“ სამხრეთითაა აღნიშნული.

შ უ რ პ ი ჯ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-14-ა — „ბაშქოისა“
(13) და „ხიგ“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), ასევეა
რუსულშიც (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე სოფ. ბაშქოის სა-
მხრეთითაა აღნიშნული.

ნ. მართანაა „ზურპიჯი“ (მოგზ. გვ. 614). ასევეა რუსულ სია-

შიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166), ქართულ სიაში „უფურპიჯა“ (იქვე, გვ. 154), ხუთვერსიან რუკაზე „Зурпчы“.

უფურპიჯ — ზურპიჯი ზანტური კომპოზიტია და „ორპირს“ ნიშნავს, შდრ. ორპირი (რიონზე, ყოროლისწყალზე და სხვა).

ფ ს ი ბ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-15-ა — „უფურპიჯსა“ (14) და „ზალუნას“ (16) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154). ამავე ნომრითაა აღრიცხული რუსულ სიაშიც „ზურპიჯსა“ (14) და „წკარისთას“ (16) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „ზურპჩი“-ს აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

ეს სახელწოდება ნ. მარს „ფხივი“-ს ფორმით მოაქვს (მოგზ. გვ. 615).

ქართულ სიაშია „ხიგი//ხიგობა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — „Хичи“ და გვერდით ქაოთულად უწერია „ფხივი“ (იქვე, გვ. 165). ხუთვერსიან რუკაზეა „Хичы“. ჭანტურ ჩანაწერებშია „მხიგი“ (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 195) და ა. შ.

მხიგელი შ. ხალილიშ-გიუჯენის ცნობით, ეს სოფელი საკუთრივ მხიგისა და მერკულეთისაგან შედგება. 1905 წლამდე, ვიდრე შ. ხალილიში მშობლიურ სოფელს დატოვებდა, იქ 60 კომლამდე ყოფილა. ესენი იყვნენ: კასიმიშები, ხალილიშები, აჭარალიშები, დიშლიშები, ჩებიშები, იამფერიშები, ბუიუქლიშები და სხვ.

სოფელს ჰქონდა ქვის დიდი ჯამე. ხოჯად იყო მემედ დაღალიში.

ნოკარავენი — ადგილი მხიგში. შ. ხალილიშ-გიუჯენის თქმით, ეს 2 ჰა ფართობის მიწა მამამისს — ხასან ხალილიშს, რომელიც ბათუმში ვაჭრობდა, ხასან კასიმიშისაგან უყიდა 1905 წელს „25 წითელად“. 0,5 ჰა თხილს ეჭირა (გირესუნის ჯიშისას), ხოლო დანარჩენი საყანე იყო. საზღვარზე თხმელები ყოფილა შემორიგული ადესა ვენახით.

ნოკარავენი ნახომალდეც ნიშნავს. წარმოება (ნო-ენ-ი) ჭანტურია, ხოლო ფუძე — ბერძნული. „კარავი“ (ბერძნ.) — ხომალდი, ორთქლმავალი, (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 153). სახელწოდება უკავშირდება იმ ქვიშნარ ბორცვს, რომელიც ამ ადგილასაა. შ. ხალილიშ-გიუჯენის ცნობით, მისი სიმაღლე 4-5 მეტრამდე აღწევს, ფართობი კი ათიოდე კვადრატული მეტრი იქნება. მისივე თქმით, ამ ბორცვზე შემონახულია ასეთი თქმულება: მხიგელები ოდესღაც უკმაყოფილონი ყოფილან იმით, რომ ხოფელები მშვენიერი ნაგებობით დასერილობდნენ ზღვაზე, ხოლო ისინი ფხით დადიოდნენ. და ერთ

დღეს ზღვის ძლიერ ნისლში გაეხვია მხივი. მხიველებმა იგი ზღვად მიიღეს, სასწრაფოდ ააგეს გემი და ამ ბორცვიდან ზღვად მიჩნეულ ნისლში შეაცურეს. მაგრამ თქვენს მტერს, რაც იმათ დაემართათ. გემიც დაიშხვრა და მის ეკიპაჟსაც არ დადგომია კარგი დღე. 40 კაციდან თურმე გადარჩა მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც ძლივსდა მოლასლასებდა კოჭლობით. როდესაც ჰკითხეს საქმის ვითარება, ის გულისამაჩუყებლად მოჰყვა თურმე, რაც მოხდა და ბოლოს დასძინა: „აზლაჰა კეზაე ოღრადუგო — კინალამ არ დავიღუპეთო“.

— ესაა კინალამ? — შენიშნა მთქმელმა, და განაგრძო: მეზობელი სოფლების მცხოვრებლები ასე ხუმრობენ მხიველებზე. არც მხიველები უდებენ მათ ტოლს და თავის მხრივ მრავალ სახუმარო ამბებს ჰყვებიან მაკრიალელებზე, ხოფელებზე და სხვებზე.

ახალოგიური ხუმრობანი საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის გავრცელებული.

ონდღულაფუ — ტყე. „ფაჩმაშქუჩხეს ზევითაა. შქერნალი და მიმინოების დასაჰერი ადგილია. ქვევით ჟურპიჯი და მისი თევზიანი ღელეა. სახელწოდება დნობაზე მიგვითითებს. ალბათ, ერთ დროს იქ მადანს ადნობდნენ“ (შ. ხალილიშ-გიუვენი).

ვარანგითი — „ადრე მინდორი იყო, ახლა სამოსახლოა. მდებარეობს ნოკარავენის მეზობლად. ფლობდნენ კასიმიში, დემირალიში და შაქირიში. ჩემს ბავშვობაში გაშვებული იყო და სათამაშოდ ვიყენებდით, დასახლებას ვერვინ ბედავდა, რადგან ვინც დაჯდა, ვერავინ გაიხარა“ (შ. ხალილიშ-გიუვენი).

ქვამურგი — სათესველია. კვერცხივით ქვებია და ამიტომ უწოდებენ ასე. ქვამურგი (ჭან.) — ქვამრგვალი (შ. ხალილიშ-გიუვენი).

ბურთა — ტყე. (შ. ხალილიშ-გიუვენი).

ბურთაშდალი — „ბურთას ტყიდან მოედინება და ამჭიშესღელეს ერთვის“ (შ. ხალილიშ-გიუვენი).

მთუთიკვათა — „ტყეა. ჭარბობს ცხემლა, წაბლი და წიფელა. ნადირიანია: ბევრია დათვი, გარეული ღორი და სხვა“. (შ. ხალილიშ-გიუვენი). სახელწოდება „დათვის კიბეს“ ნიშნავს („მთუთი“ (ჭან.) — „დათვი“, „კვათა“ — „კიბე“).

ამ ადგილს უნდა გულისხმობდეს ნ. მარის „მთუთიკვათა“-ც, რომელსაც „სელიმ-სულტან-თეფესი“-დან ნახევარი საათის სავალზე ასახელებს (ჭან. გრამ. გვ. 154). ამისვე სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს „დუდიკვათა“, რომელიც ი. ყიფშიძეს აზლაღის ადგილებში აქვს მითვლილი (ჭან. მოგზ. გვ. 165).

ფორუ — „ტყეა. ხალილიში და კასიმიში ფლობდნენ. უღრანო

ტყეა, საშიში ადგილი და სახელიც აქედან შეერქვა“ (შ. ხალილიშ-კიუვენის).

ფორუშღალი — ლევ. „მოედინება ფორუს ტყიდან და ერთ-ვის ამჟამის წყალს“ (შ. ხალილიშ-გიუვენის).

ფატმაშკუჩხე — ადგილი ფორუსღელეში. „ღელისპირას სიპის ქვაა, რომელზეც ცხენის ნალი და ადამიანის ტერფია გამოსახული. გადმოცემით, ეს უკანასკნელი ვინმე ფატმას ტერფია, ხოლო პირველი მისი ცხენის ნალი. ფატმა თითქოს ამ გზით წასულა საომრად“. (შ. ხალილიშ-გიუვენის). ფატმაშკუჩხე — ფატმასფეხი. ფატმა-ქალის საკუთარი სახელი, კუჩხე (ჭან.) — ფეხი (ნ. მარი, ჭან. მოგზ. გვ. 160).

გ ე რ კ უ ლ ე თ ი

„მხიგის შენავალია. სახლობენ ჩებიშები. 1905 წლამდე 40 კომლამდე იქნებოდნენ. ჰქონდათ ხის პატარა ჯამე, რომელსაც ემსახურებოდა მოლა იბრაიმ ჩებიში“ (შ. ხალილიშ-გიუვენის).

ხ ი გ ო ზ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში „ხიგის“ ვარიანტად არის მიჩნეული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში მხოლოდ „ხოგობაა“ (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული. შ. ხალილიშ-გიუვენის ცნობით, „ეს ხემშინური სოფელი მხიგიდან ნახევარი საათის სავალზეა დაშორებული“. ამ სოფლის ხემშინურობა მ. ყიფშიძის მასალებითაც დასტურდება (ჭან. მოგზ. გვ. 154, 166).

ხიგდა-დერესი — ხევი. ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში ამ მდინარეზეა მითითებული სოფ. ზალუნა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე ხევს, რომლის მარცხენა სანაპიროზეც ეს სოფელია აღნიშნული, სახელი არ აწერია. იგი „ხიგის“ მიდამოებიდან მოედინება და სახელიც ამ სოფლისა მიუღია (ერთვის „ხოფა-ჩაის“ სოფ. ჩაუშლისთან).

ზ ა ლ ო ნ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში — მე-16-ა „ხიგის“ (15) შემდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — მე-7-ა „კისესა“ (6) და „ჩაუშლის“ (8) შუა (იქვე, გვ. 166).

ზ. ლიოზენთან ეს სახელწოდება „ზალუნა“-დ იწოდება (დასახ. ნაშრ. გვ. 154). ასევე ხოფის უბნის სოფლების სიებშიც (იქვე, გვ. 154, 166), მხოლოდ რუსულს უწერია გვერდით „ზალონა“ (იქვე,

გვ. 166), ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც. ამავე რუკაზე ეს სოფელი „ხიგის“ სამხრეთითაა აღნიშნული.

ზალონა — მთა. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ამავე სახელწოდების სოფლის აღმოსავლეთით.

ზ უ ჯ ა ღ ი

ზოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში ორთახოფასთანაა დასახელებული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166). ხუთკილომეტრიან რუკაზე ღიმანსა და ხოფას შუაა აღნიშნული ზღვის სანაპიროზე.

ბუჯაღელი რ. ჩებიშის ცნობით „ეს პატარა სოფელი ორთახოფასავით ფორთოხლების ბაღებშია ჩაფლული. ჰქონდა ხის ჯამე და დაწყებითი სკოლა. მოსახლეობენ: კარალიშები, ჩებიშები, შეერიშები, ქელერჯიშები, აზაკლიშები და სხვ.“

ბუჯაღი თურქული „ბუჯაკ“-ის (კუთხე) დიალექტური ფორმაა.

გელექთონი — მთა. „აბუისლადან ბუჯაღისაკენ მიმავალ გზაზეა. სახელწოდება „მოსახვევს“, „მისაქციელს“ ნიშნავს“ (რ. ჩებიში).

პეტროლალი — ლეღე. „მოედინება ზენის გორადან და ერთვის ზღვას. შესართავთან ჩემს დროს მოწყობილი იყო სათევზე. ახლა იქ ელექტროსადგურია, რომელიც ზღვიდან ამოტუმბული წყლით მუშაობს“ (რ. ჩებიში).

ეს ბერძნულ-ჭანური ჰიდრონიმი — კლდის ლეღეს ნიშნავს. **პეტრო-პეტრა** (ბერძ.) — კლდე, ღალი (ჭან.) — ლეღე.

გენახვადე — ადგილი პეტროლალის შესართავში. „იქ სარეცხს რეცხენ ხოლმე და სახელიც აქედან წარმოდგა“ (რ. ჩებიში).

ზენისი — გორა. „მაღალი გორაა, თავზე მოვაკებაა და სახელიც „ზენისი“ — „ვაკისა“ აქედან წარმოდგება“ (რ. ჩებიში).

„ზენისი“ იხსენიება ერთ ბუჯაღურ სასიმღერო ლექსში, რომელიც რ. ჩებიშისაგან ჩავიწერეთ:

ზენის ვორტი თუნაში ნატიშ კულე,

იანი, იანი, გელიტი ონდღემ კულე.

მაფა წკა(რ)ი — წყარო. რ. ჩებიშის ცნობით, ეს წყარო „მდებარეობს შუა სოფელში, მიდლიშებისა და ქუჩუკ-აბდულიშების უბანში. გამოდის კლდიდან, ძალიან კარგი წყალია. ადრე ღარზე იყო მოწყობილი, ახლა არ ვიცი“.

ეს წყარო იხსენიება ერთ რევოლუციამდელ სასიმღერო ლექსში, ჩავიწერეთ რ. ჩებიშისგან.

მაფაწკა(რ)ი მაძი(რ)ენ კარანლიული

მუგეგიღეს ასიე გიორენდული.

ამ წყაროზე ცნობები შეუკრებია ი. ყიფშიძესაც. მისი მოქმელი ყოფილა მემედ-ალი ჩეფიში (ამ გვარ-სახელს მეცნიერი თურქულ-ოფიციალური ფორმით — ჩეფ-ოღლი — იხსენიებს).

მ. ჩეფიში მათა-წყარს ხოფის აღმოსავლეთით ასახელებს, ამუკანასკნელიდან ნახევარი საათის სავალზე (ი. ყიფშიძე; ჭან. ტექსტ. გვ. 32).

იმავე მოქმელის სიტყვით, „მათა-წყარი“ თითქოს „ქართველთა-მეფის („ფადიშაჰის“) თამარის“ წყაროს ნიშნავს (იქვე, გვ. 33) საინტერესოა, რომ მოხრობელს აქ „ბერი კაცების ნათქვამიც“ დაუმოწმებია (იქვე).

ამ ფაქტში უთუოდ არის შორეული გამოძახილი თამარ მეფის სახელის ოდინდელი პოპულარობისა ჭანეთში, მაგრამ ეს „მათა-წყარის“ მაინც გვიანდელი გააზრებაა და მეორეული ამბავია. მისი პირვანდელი შინაარსის შესაცნობად კი ძალიან საინტერესოა იმავე ჩეფ-ოღლის ცნობა: „მთელ სოფელში სხვა ასეთი კარგი წყალი არ არის“ (იქვე, გვ. 32) — მაშასადამე, არა „მეფის წყარო“, არა-მედ — „მეფე წყარო“.

ერთ „მათა-წყაი“-ს სადღაც „ტყეში“ ასახელებს ა. რეიზ-ოღლიც (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 196).

ბუჯალის „მათა-წყარის“ მახლობლად (ქვემოთ, ასიოდე ნაბიჯზე ყოფილა ძველი საწნახლის ნაშთი (ი. ყიფშიძე, ჭან. ტექსტ. გვ. 32).

გიაურმეზარე — მალალი გორაკი „მათა-წყარის“ ზევით, რომელზეც „ძველი სასაფლაო“ ყოფილა (ი. ყიფშიძე, ჭან. ტექსტ. გვ. 4) და სახელწოდებაც მისგან წარმოდგება. „გიაური“ (თურქ.) — „ურჯულო“ (ამ შემთხვევაში ქრისტიანი), ხოლო — „მეზარე“ — „საფლავი“.

ნოსიტანე — ადგილი „მათა-წყარსა“ და „გიაურმეზარეს“ შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. ტექსტ. გვ. 4).

ჩვენმა ბუჯალელმა ინფორმატორმა (რ. ჩებიში) ასეთი ტოპონიმი ვერ დაგვიდასტურა.

ნეფერლული — ტყე. „საჩიტე ბადებს ჰკიდებენ შემოდგომაზე და სამხრეთისაკენ დაძრულ ფრინველებსაც ბლომად იჭერენ. იქ ისეთი ყელია, რომ ფრინველი გვერდს ვერ აუქცევს“ (რ. ჩებიში).

ჭ ი ტ ა ბ უ ჯ ა ლ ი

რ. ჩებიშის სიტყვით, „ჭიტა ბუჯალი ბუჯალის უბანია, რომელშიც ცხოვრობენ ჩებიშები და კეფალიშები“.

ჭიტა ბუჯალს იხსენიებს ი. ყიფშიძე ჭანეთში მოგზაურობის

დღიურში. იქვე დასახელებულია რამდენიმე ტოპონიმიც (ჭან. მოგზ. გვ. 177).

კირი-ჭვერი — იხსენიება ი. ყიფშიძის დღიურში, (იქვე, გვ. 177).

რ. ჩებიშის ცნობით, „კირი-ჭვერად იწოდება ბუჯალისა და ჭიტა ბუჯალის სასაფლაო. „კირი-ჭვერი“ ნიშნავს „კირდამწვარს“. მის ახლოს თეთრი ფილაქნებია და იმას წვაგდნენ ალბათ. ჩემს ახალგაზრდობაში ასეთ საქმიანობას აღარ მისდევდნენ“.

კიკივათი — ადგილი კირი-ჭვერის ზემოთ (იხსენიება ი. ყიფშიძის დღიურში, გვ. 177).

ლორიგინძე — ადგილი ჭიტა ბუჯალსა და ორთახოფას შუა (იქვე).

ო ჰ ო თ უ რ ა

სოფელია თუ უბანი? როგორც ი. ყიფშიძის დღიურიდან ჩანს, ჭიტა-ბუჯალსა და ორთახოფას შუა უნდა იყოს. ი. ყიფშიძის იქ ღამე გაუთეგია ვინმე ომერთან (ჭან. მოგზ. გვ. 177). ოჰოთურა (ჭან.) — საწვეთურა.

ო რ თ ა ხ ო ფ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში — მე-2-ა — „აბუის-ლას ბუჯალსა (აზლალა)“ (1) და „წყარისთის“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154). რუსულში — მე-4 — „ბაშქოი-ხიჩი“ „ფხიგსა“ (3) და „პერონითს“ (5) შუა (იქვე, გვ. 165-166). ხუთვერსიან რუკაზე ხოფის ჩრდილოეთითაა აღნიშნული, ზღვის სანაპიროზე.

გ. ყაზბეგი ორთა ხოფას ჭანეთის უმშვენიერეს სოფლად თვლიდა. იგი ჩაფლული ყოფილა კაკლის, ფორთოხლის, მადლარი ვენახისა და სხვათა მშვენიერ ბაღში. ამას ზედ ერთვოდა ჯანსაღი ჰავაც. გ. ყაზბეგისავე სიტყვით, ამ მხრივ მას მხოლოდ აბუისლა თუ გაუწევდა მეტოქეობას და ისიც მარტოოდენ იმ უპირატესობით, რომ უკანასკნელის წყალი სჯობს ორთა ხოფისას (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 192).

ორთა ხოფა შუახოფას ნიშნავს. (ორთა (თურქ.) — შუა) ზემოდან გვხვდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში.

ჭიტა ღალი — „პატარა დელეა, წისქვილს ვერ ააბრუნებს. ერთვის ზღვას“ (ორთახოფელ ლ. ნ. კარაახმეტიში-გიუფენის ცნობა).

ზულაშპიჯიშ დუზი — საყანეები („ზღვისპირის მინდორი“ — ლ. ნ. კარაახმეტიში).

კავადღი — „ჯამეს მიდამოები“ (ლ. ნ. კარაახმეტიში). „კავადღ“ „კავაკ“-ის (თურქ. — ჩინარი, ალვისხე) დიალექტური ფორმა. „ღიბი“ (თურქ.) — „ძირი“.

ჭურჭალაღი — ღელე. „პატარა ღელეა. მის მიდამოებში ბუდობს პატარა ჩიტი, რომელსაც ჭურჭას ვეძახით და ღელესაც ამიტომ უწოდებენ ჭურჭალას (ლ. ნ. კარაახმეტიში, შ. ხ. გიუვენნი). რ. ჩეზმის ცნობით, „ჭურჭას გურიაში ყელყვითელას ვეძახიან“.

თ ო ლ ო ქ ო რ

ი. ყიფშიძის დღიურში ორთახოფას ზემოთ („ჟილე“) არის დასახელებული (ჭან. მოგზ. გვ. 165). თოლოქროს უნდა გულისხმობდეს ხოფის უბნის სოფლების რუსული სიის „თალაქორი“, რომელიც ორთახოფის ახალშენად იხსენიება (იქვე, გვ. 166).

თოლოქრო (ჭან.) — თვალქრო.

ხ ო ფ ა

ამავე სახელწოდების უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-3-ა — „ორთა ხოფასა“ (2) და „წკარისთის“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154). რუსულში — 1 (იქვე, გვ. 165). ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ორთა ხოფის დასავლეთით, მდ. ხოფა-ჩაის შესართავში.

XI-XII საუკუნის ქართულ წყაროებში ეს საგეოგრაფიო სახელი „ხუფათი“-ს ფორმით იხსენიება (მატიანე ქართლისა, — ქართლის ცხოვრება, I, გვ. 209, 304; დავითის ისტორიკოსი, იქვე, გვ. 333, 338).

ევლია ჩელებთანა „ხობანი“ (მოგზ. წიგნი, I, გვ. 94). ვახუშტისთან — „ხოფჯა“ (აღწერა, გვ. 689), კ. კობთან — „ხოფა“ (Wanderungen im oriente während jahre 1843 und 1844, II. Reise im pontische gebirge und türkischen Armenien Weimar, 1846, გვ. 126. ქვემოთ: Wanderungen) გ. ყაზბეგთან — „ხოფა“ (მისი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 99-103 და სხვ.).

ხოფა-ხუფათი ჭანეთის ერთ-ერთი უძველესი პუნქტია.

ევლია ჩელები (XVII ს.) „ხობანს“ „დაბა“-დ იხსენიებს (დასახ. ნაშრ. გვ. 94), ვახუშტი — „მცირე ქალაქ“-ად (აღწერა, გვ. 689).

ამჟამად ქალაქი ხოფა მისივე სახელის ილჩის ადმინისტრაციული და ეკონომიური ცენტრია (ნ. ნაჭყებია, თურქეთი, 1970, გვ. 121).

ღეფნელუღი — ქალაქის განაპირა ადგილი, დაუნარი. ახლანდელი ჩაის ფაბრიკის მიდამოები (შ. ხალილიშ-გიუვენის ცნობა).

ნადირათი — გორაკი. ი. ყიფშიძის ცნობით, ამ გორაკზე დიდი, ძველი ეკლესიის ბალავრის ნაშთებია (ჭან. ტექსტ. გვ. XX XI1).

ქილისე — გორაკი. სახელწოდება წარმოდგება იმ „ქილისე“-საგან (ეკლესია), რომელიც აქ იდგა ქრისტიანობის დროს.

ხოფაში მონასტერიც იყო. ეს ქრისტიანული დაწესებულება XVIII საუკუნის 50-იან წლებშიც მოქმედა. ამის მოწმობაა 1753 წელს დადასტურებული ხოფის მონასტრის ეპისკოპოსი (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975, გვ. 300).

ბუღიათი — გორაკი ხოფაში (ხ. კახაილიშის ცნობა. ჩვენი, მოლენი სარფის დღიური, 17.VI.1967).

ღიმიტითი — გორაკი იქვე (იმავე ინფორმატორის ცნობა).

ხოფა-წყარი — მდინარე. მოლენი სარფელი ხ. კახაილიშის თქმით „ხოფა-წყარი“ (ჩვენი, მოლენი სარფის დღიური. 17.VII.1967). ვახუშტისთანაა „მდინარე ხობჯისა“ (აღწერა, გვ. 689), ხუთვერსიან რუკაზე „ხოფა-ჩაი“.

ეს მდინარე ჭანეთის შიიდან მოედინება და ერთვის ზღვას ხოფაში. ხეობა გრძელი არ არის (სულ 9 ვერსის სიგრძისაა — გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 99), მაგრამ ამ მხარის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდამ დიდ როლს ასრულებდა, რადგან მასზე გადიოდა (დღესაც გადის) ჭოროხის ხეობასთან დამაკავშირებელი მოკლე და მარჯვე გზა.

ს უ ნ დ უ რ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში არ იხსენიება, ხოლო რუსულში ხოფასთანაა დასახელებული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165). ხუთვერსიან რუკაზე ხოფის აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც მოლენი სარფში ჩავიწერეთ ხ. კახაილიშისაგან, სუნდურა დახასიათებულია, როგორც „ღუზი, ღუზი“ („ვაკე, ვაკე“). (ჩვენი, მოლენი სარფის დღიური, 17.VII.1967).

კ უ ლ ე - დ ი ბ ი

ნ. მარი ხოფის დასავლეთით ასახელებს (მოგზ. გვ. 615). ი. ყიფშიძის ერთ ჩანაწერში „სუნდურასა“ და „ამჭიმეს“ შუაა დასახელებული (ჭან. მოგზ. გვ. 165).

ხოფის უბნის სოფლების სიებში ეს სოფელი არ იხსენიება, არც ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზეა აღნიშნული.

ნ. მართანაა „კალა-ღიბი“ (მოგზ. გვ. 615) — ი. ყიფშიძესთან „კულე-ღიბი“ (ჭან. მოგზ. გვ. 165). ამ ფორმით დაგვისახელა ის

მნიველმა უქერი ხალილიმ-გიუჟენმაც. მისივე ცნობით, „კულე-ღიბი ხოფასა და სუნდურას შორისაა. ხოფაში რომ მივდივართ, ხელმარჯვნივ რჩება. დიდი სოფელია გორისძირას, მოსახლეობენ: მოშნალი-შები, იაჯიშები, თერზიშები, მემიშიშები და სხვა საგვარეულოები. „კულე ღიბი“ „ციხისძირს“ ნიშნავს. ციხე მე იქ არ მინახავს, ალბათ, იმ დიდ გორაზე თუ იყო ოდესმე“.

ა მ ც ი შ ა

ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში ხოფასთანაა დასახელებული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული. მოლენი სარფში ჩვენს მიერ ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსში „ამჭიშე“ „ღალი, ღალი“ („ღელე, ღელე“) სოფლადაა დახასიათებული (ჩვენი, მოლენი სარფის დღიური. მთქმელი ხ. კახალიში. 18.VII.1967).

ჩ ა უ შ ლ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-6-ა — „არდალასა“ (5) და „ზენდიდს“ (7) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — მე-8-ა — „ზალუნასა“ (7) და „ზენდიდს“ (9) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე სუნდურას ზემოთაა აღნიშნული (ხოფის ხეობა).

„ჩაუშლი“ (თურქ.) — „ჩაუშიანი“.

ქ უ შ ა ნ ა ს თ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში არ იხსენიება, რუსულში კი მე-16-ა — „წკარისთასა“ (15) და „პანკოლს“ (17) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე ჩაუშლის აღმოსავლეთითაა აღნიშნული. რუკაზეა „Кушенести“, ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში კი „Кошанести“ და გვერდით ქართულად უწერია „ქუშანასთი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166).

საუზურგი — მთა. აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე (ქუშანასთის აღმოსავლეთით).

წ კ ა რ ი ს თ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში — მე-4-ა — „ხოფასა“ (3) და „არდალას“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154); რუსულში — მე-16-ა — „ხიგობასა“ (15) და „ქუშანასთს“ (17) შუა

(იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე ჩაუშლის სამხრეთითაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „წკარისთი“ (იქვე, გვ. 154), რუსულში „Цкаристи“ (იქვე, გვ. 166), ხუთვერსიან რუკაზე „Искаристи“ და ა. შ.

წკარისთი (ჭან.) — წყალისთავი, წყაროსთავი.

წკარისთი — მთა, სოფელ წკარისთის აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი რუკა).

კ ა ნ ჯ ო ლ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში არ იხსენიება, რუსულში მე-18-ა — „ქუშნასთსა“ (17) და „ხანდაკს“ (19) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166).

რუსული დაწერილობითაა „Попджол“ და გვერდით ქართულად უწერია „პანჯოლი“ (იქვე).

ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

ხ ე ნ დ ე კ ი

ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში მე-19-ა — „პანჯოლის“ (18) შემდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166). ქართულ სიაში არ იხსენიება, არც ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული.

რუსული დაწერილობითაა „Хандак“-ი და გვერდით ქართულად უწერია „ხენდეკი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166).

ხანდაკ (არაბ.) — თხრილი, ორმო (ხენდეკი-ხანდაკის თურქული ფორმის (ხენდექ) დიალექტური ნაირსახეობა).

ხანდაკ-სუ — მდინარე. იხსენიება ამავე უბნის სოფლების რუსულ სიაში (იქვე).

ხანდაკ-სუ (თურქ.) — ხანდაკის წყალი.

წ კ ა რ ყ ი ნ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-12-ა — „კისესა“ (11) და „ბაშქოის“ (13) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154). ამავე ნომრითაა აღრიცხული რუსულშიც — „ანჭოროხსა“ (11) და „გვარჯის“ (13) შუა (იქვე, გვ. 166).

ხუთვერსიან რუკაზე „ზანიტის“ (ზენდიდი) ახლოსაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „წკარყინა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — „Царкина“ და გვერდით ქართულად უწერია „წკარყინა“ (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზეა „Царгина“.

ამ ჭანური სახელწოდების სწორი ფორმაა — წკარყხნა, რაც წყალციცას ნიშნავს (წკარი (ჭან.) — წყალი, ყინა (ჭან.) — ცივი).

ზ ე ნ დ ი დ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-7-ა — „ჩაუშლისა“ (6) და „ანჩიხორს“ (8) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — (9) — „ჩაუშლისა“ (8) და „არდალას“ (10) შუა (იქვე, გვ. 166).

ორივე სიაშია „ზენდიდი“. ხუთვერსიან რუკაზეა „ზანიტ“-ი და აღნიშნულია „ორდალასა“ და „ცარგინას“ (წკარინა) შუა. სწორი ფორმა უნდა იყოს „ზენდიდი“, რაც „ვაკედიდის“ ნიშნავს.

ო რ დ ა ლ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-5-ა — „წკარის-თის“ (4) და „ჩაუშლის“ (6) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — მე-10-ა — „ზენდიდსა“ (9) და „ანჩოროხს“ (11) შუა — იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „ზანიტ“-ის ახლოსაა აღნიშნული.

სიებშია „არდალა“. ხუთვერსიან რუკაზე — „ორდალა“. ასევეა ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზეც“.

გ ვ ა რ ჯ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-9-ა — „ანჩიხორ-სა“ (8) და „პერონითს“ (10) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — მე-13-ა „წკარყინას“ (12) და „ზურბიჯს“ (14) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „ანჩოროხს“-ის ახლოსაა აღნიშნული.

ა ნ ჩ ი ხ ო რ ი

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-8-ა — „ზენდიდ-სა“ (7) და „გვარჯის“ (9) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — მე-11-ა „არდალასა“ (10) და „წკარყინას“ (12) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „გვარჯის“ ახლოსაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „ანჩიხორ“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულში — „Анчорох“-ი და გვერდზე ქართულად უწერია „ან-ჭოროხი“ (იქვე, გვ. 166). ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც.

ერმენიათ-თეფე. — მთა, „ანჩოროხის“ აღმოსავლეთით.

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-11-ა — „პერონია-
თსა“ (10) და „წყარყინას“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154),
რუსულში მე-6-ა — „პერონითსა“ (5) და „ზალუნას“ (7) შუა (იქვე,
გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე ხოფის დასავლეთითაა აღნიშნული,
ზღვის სანაპიროზე. გ. ყაზბეგი ხოფიდან ერთი საათის სავალზე
ასახელებს (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 103).

ამ სოფლის სახელწოდება „კისე“ და „კისა“-ს ფორმით იხსე-
ნიება. პირველი გვხვდება ჭანეთის 1554 წლის დავთარში (მ. სვან-
იძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-
XVII სს., თბ., 1971, გვ. 84, შენიშვნა 148), კ. კობთან (Wanderun-
gen, გვ. 126), გ. ყაზბეგთან (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 103), ი. ყიფ-
შიძის მასალებში (ჭან. მოგზ. გვ. 154). ასევეა ხუთვერსიან რუკა-
ზეც და სხვა. მეორეს იხსენიებს ნ. მარი (მოგზ. გვ. 615), ასევეა
ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ.
გვ. 166), სარფელი მთქმელის ნ. ნარაკიძის მონათხრობშიც (ირ-
ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 41-42) და ა. შ.

1554 წლის ოსმალურ წყაროში ამ სოფელში აღრიცხულია
ციხე (მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 84, შენიშვნა 148).

გასული საუკუნის 70-იან წლებში კისე დიდი სოფელი ყოფი-
ლა — 120 კომლამდე (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 103). მოგვიანე-
ბით იგი ძლიერ შემცირებულა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154,
166).

პ ი რ ო ნ ი თ ი

ხოფის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-10-ა — „გვარჯსა“
(9) და „კისეს“ (11) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულ-
ში — მე-5 — „ორთა ხოფასა“ (4) და „კისას“ (6) შუა (იქვე, გვ.
186). ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია „კისეს“ დასავლეთით.
გ. ყაზბეგის ცნობით, იგი პატარა ხეობაში მდებარეობს (მისი, და-
სახ. ნაშრ. გვ. 103).

ქართულ სიაშია „პერონითი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154),
რუსულში — „Пирониди“ და გვერდით ქართულად უწერია „პე-
რონითი“ (იქვე, გვ. 166). დ. კლდიაშვილთანაა „პირონითი“ (მისი,
მემუარები, ტფილისი, 1932, გვ. 334, 335 და სხვ.) ი. ჯავახიშვილის
„საქართველოს საისტორიო რუკაზე“ — „პირონითი“, სარფელი
მთქმელი ა. ნარაკიძე „პირონითის“ ფორმით ასახელებს (ირ. ასა-
თიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 40) და ა. შ.

პირონითში სიძველეთა რამდენიმე ძეგლს მიუთითებენ. ი. ყი-

ფშიძისათვის ერთ ნაცნობ ქართველს პირონითის ძეგლები „ერთი ციხითა და ორი ეკლესიით“ განუსაზღვრავს. მკვლევარის შენიშვნით, მთქმელს ისინი „თითონ არ უნახავს“ (ჟან. მოგზ. გვ. 153). გ. ყაზბეგი პირონითში მხოლოდ ერთ ეკლესიას — მთელ ჭანეთში საუკეთესოს — ასახელებს (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 103). მისივე ცნობით, იგი მდებარეობდა კისე-პირონითის გამყოფ კლდოვან ბორცვზე (იქვე).

ციხე და ეკლესია პირონითში ხოფის უბნის სოფელთა ქართულ აღწერილობაშიც არის მითითებული (ი. ყიფშიძე, ჟან. მოგზ. გვ. 154).

ამ სოფლის ისტორიისათვის საინტერესოა ისიც, რომ ერთ დროს მისი კომენდანტი იყო ოფიცერი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი დ. კლდიაშვილი (მისი, მემუარები, გვ. 334-335).

პი(რ)ონითიშ-წყარო — მდინარე. ხ. კახაილიშმა ამ მდინარის სახელწოდება „პი(რ)ონითიშ-წყარის“ ფორმით დაგვისახელა (ჩვენი, მოლენი სარფის დღიური, 18.VII.1967). ხოფის უბნის სოფელთა რუსულ აღწერილობაშია „პირონიდი-სუ“ (ი. ყიფშიძე, ჟან. მოგზ. გვ. 166).

ა რ შ ა ბ ე

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში ცალკე სოფლად არ იხსენიება, მხოლოდ უბნის სახელადაა მითითებული (ი. ყიფშიძე, ჟან. მოგზ. გვ. 155), რუსულში კი ამავე უბნის პირველ სოფლადაა აღრიცხული (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „პირონიტ“-ის დასავლეთითაა აღნიშნული, ზღვის სანაპიროზე.

არქაბე გაშენებულია მისივე მოსახელე მდინარის ორივე მხარეზე (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 105).

გ. ყაზბეგთანაა „არქაბე“ (იქვე). ასევეა ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჟან. მოგზ. გვ. 155). ხუთვერსიან რუკაზეა „არხაზე“. ასევეა თანამედროვე ჭანთა მეტყველებაშიც (ირ. ასათიანი, ჟან. ტექსტ. გვ. 40, 41 და სხვა).

სკილაქს კარიანდელთანაა (ძვ. წ. VI-V ს.ს.)—„არაბის“ (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ. 49), ფლ. არიანესთან (ახ. წ. II ს.) — „არხაბის“ (მოგზ. გვ. 36). და ა. შ.

ოსმალთა მფლობელობის დამყარების შემდეგ არქაბე საკაზო ადმინისტრაციის ცენტრად იქცა და ტრაპიზონის ვილაეთში შევიდა. ეს კაზა ისამ ნაჰიეს (მათ შორის გონიასაც) აერთიანებდა. 1554 წლის ჭანეთის აღწერის დავთარში კაზის მოსახლეობის რაოდენო-

ბაც არის მითითებული (3.070) და მათი სარწმუნოებრივი მიკუთვნ-
ნილობაც (2.659 ქრისტიანი, 301 მუსლიმანი — მ. სვანიძე, დასახ.
ნაშრ. გვ. 84, შენიშვნა 148).

ამჟამად არქაბეს „მუსაზადე“ ეწოდება (ხუთკილომეტრიანი
რუკა).

არხავე-ღუზი — არქაბეს ველობი. გ. ყაზბეგის ცნობით, ეს
ველი სამხრეთიდან მოსდგამს პირონითს და სამ ვერსზე ვრცელდე-
ბა (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 105).

არხავე-წკარი — მდინარე. მოედინება ჭანეთის ქედის ჩრდი-
ლოეთ კალთებიდან და ერთვის ზღვას არქაბეში. ხეობა ქვემო წელ-
ში განიერია. იაკობითიდან კი ვიწროვდება და სამად ტოტდება. მათ
შორის მთავარია ჩრდილოეთის ხევი (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ.
გვ. 106).

ამ მდინარის სახელი ასეთი ფორმებითაა ცნობილი: „არაბის“,
„არხაბის“, „არხავის“. „არჰავე-სუ“. უკანასკნელი თურქულია, და-
ნარჩენი ბერძნულ-ბიზანტიური. ჭანები „არჰავე-წკარს“ უწოდებენ
(ჩვენ, მოლენი სარფის დღიური, 18.VII.1967).

„არჰავე-წკარის“ ხეობა ისტორიულ-გეოგრაფიულად მეტად
საინტერესო რაიონია, რომელზეც მსჯელობისათვის საველე-მეცნიერ-
ული ძიებაა აუცილებელი.

მ ა რ ხ ა ვ ა თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში 24-ეა — „ბაშქოფსა“
(23) და „ლომას“ (25) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუ-
სულში მე-2 — „არხავესა“ (1) და „კორდელითს“ (3) შუა (იქვე,
გვ. 166).

ხუთკილომეტრიან რუკაზე პირველია არქაბე-წკარის მარჯვენა
სანაპიროზე. ხუთვერსიანზე არ არის აღნიშნული.

ქართულ სიაშია „ჭარნავათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ.
155). რუსულში — „Чариват“-ი და გვერდით ქართულად უწერია
„ჩარნავათ“ (იქვე, გვ. 166). ხუთკილომეტრიან რუკაზეა „Черна-
ват“-ი.

ნ ა ვ უ რ ი თ ი

არქაბეს უბნის ქართულ სიაში მე-3-ა — „კუტუნითულისა“
(2) და „ემშილფუკს“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუ-
სულში — მე-6 — „კუტუნითსა“ (5) და „ჭუკალვათს“ (7) შუა
(იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „კორდელითის“ ჩრდილო-აღ-
მოსავლეთითაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „ნაფშითი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155). რუსულში — „Нафишти“ და გვერდით ქართულად უწერდა „ნაფშითი“ (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზეა „Напшит“-ი.

ნაფშითი სამად იყოფა: თუდენი, ორთა და ყილენი (ჰაკკი მუჰამედის ძე ჯამფერ-ოღლი (დაბ. 1909 წ. ს. ნაფშითი).

თ უ ღ ე ნ ი ნ ა ფ შ ი თ ი

ღალი — ღელე (პ. ჯამფერ-ოღლი). არქაბეს უბნის სოფლების რუსულ აღწერილობაშია „ნაფშითი-ღერე“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე უსახელოდაა აღნიშნული „ბეზიმენ-ნაიას“ (არქაბე-წკარი) მარჯვენა შენაკადი.

ქვაშხინჯი — ქვისხიდი ღელეზე (პ. ჯამფერ-ოღლი).

ო რ თ ა ნ ა ფ შ ი თ ი

მეზარლული — სასაფლაო.

ორთაზენი — „თუდენი ნაფშითისა და ყილენი ნაფშითის შუა მინდორია და ამიტომ უწოდებენ ორთა ზენს. ორთა (თურქ.) — შუა, ზენი (ჭან.). — ვაკე, მინდორი, სადაც იდგა ხის ჯამე“ (პ. ჯამფერ-ოღლი).

მ ი ლ ე ნ ი ნ ა ფ შ ი თ ი

გენჯიონი — სათესი. „კარგ ამინდში სარფიდან ჩანს. მზიანი ადგილია — ობჟორე ყონა“ (პ. ჯამფერ-ოღლი).

ხჩინი გელალურერი — „ხჩინი (ჭან.) — დედაბერი, გელალურერი — მკვდარი“ (პ. ჯამფერ-ოღლი).

აპორღალა — ღელე (პ. ჯამფერ-ოღლი).

კიკივათი — „ქვიანი ადგილი ყილენი ნაფშითიდან ბუჩასკენ მიმავალ გზაზე“ (პ. ჯამფერ-ოღლი).

ასეთი ტოპონიმი ჭიტა ბუჯალშიცაა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 177).

ბ უ ჯ ა

არც არქაბეს უბნის სოფლების სიებში იხსენიება და არც ხოფისაში. ხუთვერსიან რუკაზე ნაფშითის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა აღნიშნული „Будже“-ს ფორმით. ნაფშითელი პ. ჯამფერ-ოღლის წარმოთქმით „ბუჩა“.

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში — მე-18-ა — „კაპოსრე სუფლასა“ (17) და „სუმლას“ (19) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-8-ა — „ჭუკალვასა“ (7) და „ფილარგეთს“ (9) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე ნაფშითის აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

ჯიბაგათი-სუი — მდინარე. არქაბეს უბნის სოფლების რუსულ სიაში ნაჩვენებია სიდერესთან (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166).

ფ ი ლ ა რ გ ე თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-5-ა — „ემშილუქსა“ (4) და „უჩერმაკს“ (6) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-9-ა — „სიდერესა“ (8) და „უჩირმალს“ (10) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე სიდერეს ჩრდილოეთითაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „ფილარგეთი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში „Пиларгетн“ (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზეა „Пиляргет“-ი, დ. კლდიაშვილთან „ფალარგეთი“ (მემუარები, გვ. 357) და ა. შ.

უ ჩ ი რ მ ა ლ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-7-ა — „ფილარგეთსა“ (5) და „კამპრანას“ (7) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში მე-10-ა „ფილარგეთსა“ (9) და „ოტალახეს“ შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე სიდერეს აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია — „უჩერმაკ“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „Учирмак“-ი და „გვერდით ქართულად უწერია „უჩირმალი“ (იქვე, გვ. 166). ასეთივე ფორმით დაგვიდასტურა ნაფშითელმა ჰ. ჯამფერ-ოღლიმაც.

უჩირმალი თურქული „უჩირმაკი“ ან „უჩერმაკი“ („სამ მდინაწარეს“) დიალექტური ფორმაა. ამ სოფელთან (ქვემოთ) მართლაც საში მდინარის ხერთვისია (ხუთვერსიანი რუკა).

დაღისტი — მთა უჩირმალის აღმოსავლეთით, „პოტოჯურ-სუს“ (არქაბე-წყარის მარჯვენა შენაკადი) სათავეებში, აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე.

ი. ყიფშიძესთან ეს ორონიმი რამდენიმე ფორმით იხსენიება: „დაღასტი“ „დაღესტი“ (ჭან. მოგზ. გვ. 153), ხუთვერსიან რუკაზეა „Дагистидაг“-ი.

დაღისტი (დაღესტი) სახენაცვალი ფორმაა დაღისთისა და ტყისთავს ნიშნავს, „დაღისტი დაღი“ კი „ტყისთავის მთას“.

ბალუქლი — მთა. ი. ყიფშიძისათვის იგი „დაღასტის ნაწილში“ დაუსახელებიათ (ჭან. მოგზ. გვ. 153). ხუთვერსიან რუკაზე ამ სექტორში ასეთი მთა აღნიშნული არ არის. ამავ სახელწოდებით ჭანეთში ცნობილია იალაღი (აბუ-წკარის სათავეებში), მაგრამ იგი საკმაოდ დაცილებულია დაღისტის მთას (სამხრეთით) და ძნელი სათქმელია ი. ყიფშიძის ინფორმატორი მას გულისხმობდა თუ კიდევ სხვა „ბალუქლიც“ არის.

„ბალუქლი“ თურქული ტოპონიმი და „თევზიანს“ ნიშნავს. ცხადია, მთისათვის ეს სახელწოდება მეორადია და მდინარისაგან წარმოდგება.

მეტიბერი — მთა. ი. ყიფშიძის ინფორმატორს ეს მთა „დაღესტის“ დასავლეთით მიუთითებია (ჭან. მოგზ. გვ. 153). ამ ცნობის საგეოგრაფიო ასპექტზე ჯერჯერობით რისამე დაბეჭითებით თქმა შეუძლებელია, რადგან საკონტროლო ჩვენებანი არ გავაჩნია. ხუთვერსიან რუკაზე არ იხსენიება.

ეს ორონიმი საინტერესოა. „ბერის“ შემცველი საგეოგრაფიო სახელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძალიან იშვიათია.

ქვახერხი(ლი) — მთა. ი. ყიფშიძესთან სოფ. წკარისთის აღმოსავლეთითაა დასახელებული (ჭან. მოგზ. გვ. 153). ამასვე მოსდევს მეორე ჩვენებაც: „დაღასტი ქვახერხის დასავლეთით მდებარეობს“ (იქვე). როგორც „წკარისთი“, ისე „ქვახერხი“ და „დაღასტიც“ აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე, მაგრამ არა ისეთი მდებარებით, როგორც ი. ყიფშიძესთანაა. პირველი „დაღისტის“ აღმოსავლეთითაა ნაჩვენები, ხოლო მეორე — სამხრეთით და ორივე საკმაოდ მოშორებით. ამიტომ ამ „ქვახერხი(ლი)სა“ თუ „ქვახერხის“ გაიგივება ხუთვერსიანი რუკის „ქვახერხთან“ (არქაბე-წკარის ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის მიდამოებში) შეუძლებელია. აქ ან ამავ სახელწოდების სხვა მთა უნდა ვიგულისხმოთ, ანდა მისი ადგილმდებარეობის მცდარი განსაზღვრა. საინტერესოა, რომ ირ. ასათიანის ერთ-ერთი მოლენისარტფელი ინფორმატორი (მ. ბეჭირიში) ასეთ ტოპონიმს („ქვახერხი“) სარფის მიდამოებშიც ასახელებს (იხ. ზე-მთ).

კ ო რ დ ე ლ ი თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში პირველია — „კუტუნითი ულიას“ (2) წინ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში მე-3 „ჩარნივათსა“ (2) და „ჯგირიაზენს“ (4) შუა (იქვე). ხუთვე-

რსიან რუკაზე უჩირმაკიდან მომდინარე წყლისა და მდ. არქაბეს ხე-
როვისთანაა აღნიშნული;

ქართულ სიაშია „კორდელითი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. 155),
ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზეა „Корд-
лит“-ი.

ჭ უ კ ა ლ ვ ა თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში „მე-20-ა“ „სუმლასა“-
(19) და „ოტალახეს“ (21) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155),
რუსულში — მე-2 — „ნაფჩიტსა“ (6) და „სიდერეს“ (8) შუა (იქვე,
გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე „კორდლიტ“-ის აღმოსავლეთითაა
აღნიშნული.

ქართულ სიაშია — „ჭუკალვათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ.
155), რუსულში — „Чукальвати“ და გვერდზე ქართულად უწე-
რია „ჭუკალვათი“ (იქვე, გვ. 166) ხუთვერსიან რუკაზეა „ჩუკალ-
ვან“.

ო რ თ ა კ ო ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში 22-ეა — „ოტალა-
ხესა“ (21) და „ბაშქოის“ (23) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155).
რუსულში — მე-14 „პოტოჯურ-ულისა“ (13) და „ბაშქოის“ (15)
შუა (იქვე, გვ. 166-167). ხუთვერსიან რუკაზე „ჩუკალვან“-ის აღ-
მოსავლეთითაა აღნიშნული .

ორთაქოი (თურქ.) — შუა სოფელი.

კ უ ტ უ ნ ი თ ი უ ლ ი ა

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-2-ა — „კორდე-
ლითსა“ (1) და „ნაფშითს“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155),
რუსულში ერთ სოფლადაა აღრიცხული (5) „ჯგირიაზენსა“ (4) და
„ნაფჩითს“ (6) შუა (იქვე, გვ. 166).

ამ მონაცემებით ეს სოფელი მდ. არქაბეს მარჯვენა მხარეზეა
საგულვებელი, სოფლების — კორდელით-ნაფშით-ჯგირიაზენის ზო-
ნაში. ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

კ უ ტ უ ნ ი თ ი ს უ ფ ლ ა

ამავე უბნის ქართულ სიაში 29-ეა — „პოტოჯურ სუფლას“ (28)
და „გიდრევეთს“ (30) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155). რუ-
სულ სიაში, როგორც იქვეა, ცალ-ცალკე არ არის აღრიცხული, არც
ხუთვერსიან რუკაზეა ნაჩვენები.

ამ მასალებით ეს სოფელიც მდ. არქაბეს მარჯვენა მხარეზეა სავარაუდებელი, კუთუნით ულიას აღმოსავლეთით — პოტოჯურ სუფლას, გიდრევეთისა და ჯგირიაზენის მახლობლად.

ო ტ ა ლ ა ხ ე

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში 21-ეა — „ჭუკალათსა“ (20) და „ორთაქოს“ (22) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-11 „უჩირმაღსა“ (10) და „პოტოჯურ სუფლას“ (12) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე ყველა ეს სოფელი მდ. „ბეზიმენაის“ (არქაბე) მარჯვენა მხარეზეა აღნიშნული. ამავე ზონაშია საძიებელი ოტალახეც. ნაფშითელი პ. ჯამფერ-ოღლის ცნობით, „ოტალახე უჩირმაღის ზემოთა“.

ზანური ო-ე აფიქსური წარმოების ამ საგეოგრაფიო სახელის ფუძეა „ტალახი“. იგივე სიტყვა გამოიყოფა მოლენი სარვის ერთი ადგილის („დეჯიტალახუნას“) სახელწოდებაშიც (იხ. ზემოთ).

ჭანჭახეფუნა — „ჭაობიანი ადგილია ოტალახესთან“ (პ. ჯამფერ-ოღლი).

ორჭი — „სოფელია ჭანჭახეფუნას ზემოთ“ (პ. ჯამფერ-ოღლი).

გ ა შ ჯ ო ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში 23-ეა — „ორთა ქონისა“ (22) და „ჭარნივათს“ (24) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-15 — „ოტალახესა“ (14) და „კამპრანას“ შუა (იქვე, გვ. 167). პირველი ხუთვერსიან რუკაზე მდ. „ბეზიმენაის“ (არქაბე) მარჯვენა სანაპიროზეა (ზემოწელი) აღნიშნული, ასევეა მეორეც, ხუთკილომეტრიან რუკაზე (ქვემოწელი). ამავე მხარეზე ივარაუდება „ოტალახე“-ც და თითქოს „ბაშქოი“-ც ამ ზონაში უნდა იყოს.

ე მ შ ი ლ ე უ ჯ

არქაბეს უბნის ქართულ სიაში მე-4-ა — „ნაფშითსა“ (4) და „ფილარგეთს“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — 22-ეა — „კაპისრესა“ (21) და „იაკოვითს“ (23) შუა (იქვე, გვ. 167). ორი უკანასკნელი მდ. არქაბეს მარცხენა სანაპიროზეა, ქვემო დინებაში, ხოლო პირველი ორი ამავე მდინარის მარჯვენა მხარეზე.

ქართულ სიაშია „ემშილღუკ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „ემშილუკ“ (იქვე, გვ. 167). „ემშილ“-ი ეთნონიმ „ემშილ“-ის ნაკლები ფორმაა, ხოლო „ემშილ“-ი პირველის დამახინჯება.

„ლუკ“ ქართული ნარ-ის ბადალი თურქული სუფიქსია (მდრ. დიალექტური „ლული“), ხოლო „ლდუკ“ მისი ნაირსახეობა.

გ ი ღ რ ე ვ ე თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში — 30-ეა — „კუ-ტუნეთი სუფლას“ (29) შექმდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-20 — „ბახტასა“ (19) და „კაპისრეს“ (21) შუა (იქვე, გვ. 167). უკანასკნელი ხუთვერსიან რუკაზე მდ. „ბეზიმენსა-იას“ (არქაბეს) მარცხენა მხარეზეა აღნიშნული. პირველი კი ამავე მდინარის მარჯვენა მხარეზეა საგულვებელი.

ქართულ სიაშია „გიდრევეთი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „Гидрове“ და გვერდით ქართულად უწერია „გიდ-რევე“ (იქვე, გვ. 167).

ჯ გ ი რ ი ა ზ ე ნ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-9-ეა — „ლალა-ტასა“ (8) და „პაპილათს“ (10) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-4 „კორდელითსა“ (3) და „კუტუნითს“ (5) შუა (იქვე, გვ. 166). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

იმ სოფლების მიხედვით, რომელთა გარემოცვაშიც ის იხსენი-ება, ჯგირიაზენი მდ. არქაბეს მარჯვენა მხარეზეა საძიებელი.

ქართულ სიაშია („ჯგირია ზენი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „Джгириазан“-ი (იქვე, გვ. 166).

სახელწოდება ჭანურია და „კარგ ვაკეს“ ნიშნავს („ჯგირი“ ჭა-ნეთის ტოპონიმიში სხვაგანაც (მელენი სარფში) გვხვდება (იხ. ზემოთ), აეგვია „ზენი“-ც).

კ ა პ ი ლ ა თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაშია მე-10 — „ჯგირია-ზენსა“ (9) და „კობტონეს“ (11) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „მე-17 — „კამპრანასა“ (16) და „კობტონეს“ (18) შუა (იქვე, გვ. 167). ამ სოფლებიდან მხოლოდ უკანასკნელია აღნიშნული ხუთვერსიან რუკაზე — მდ. „ბეზიმენსაიას“ (არქაბეს) მარჯვენა ნაპირზე.

ამავე სახელწოდების სოფელი ათინას უბანშიც არის აღრიც-ხული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158).

— ათ საგეოგრაფიო სახელთა სუფიქსით ნაწარმოები ამ სახე-ლწოდების ფუძე „მღვდლის“ ჭანური სახელისაგან („პაპა“) წარმო-

დგება. ამავე ფუძიდან ნაწარმოები ტოპონიმი მელენი სარფშიც არის (იხ. ზემოთ). აქედანვე („პაპა“-დან) მოდის ჭანეთში ცნობილი „პაპილ-ოღლი“-ც (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 207, 288).

ღ ა ლ ა ტ ა

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-8-ა — „კამპარანა-სა“ (7) და „გვირიაზენსა“ (9) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში არ იხსენიება, არც ხუთვერსიან რუკაზეა.

კ ა რ პ ა ნ ა

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-7-ა — „უჩერ-მაქსა“ (6) და „ღალატას“ (8) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-16 — „ბაშკეის“ (15) და „პაპილათს“ შუა (იქვე, გვ. 167):

ამ სოფლებიდან მხოლოდ „უჩერმაქია“ აღნიშნული ხუთვერსიან რუკაზე (იმ მდინარის ზემოწელზე, რომელიც მდ. „ბეზიმენანას“ (არქაბე) მარჯვნიდან ერთვის კორდელითს ქვემოთ).

ქართულ სიაშია „კამპარანა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „Кампарона“ და გვერდით ქართულად უწერია „კამპარანა“ (იქვე, გვ. 167). გვხვდება „კაპრანა“ (გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, 1971, გვ. 6, 233) და „კარპანა“-ც (ხატიჯე მემეტის ასული სარდარიში-კამბურში. დაბ. 1904 წ. სოფ. კარპანა).

კარპანელმა ხ. სარდარიშ-კამბურშიმა ამჟამად ს. აგარაში (ხელვაჩაურის რ-ნი) ცხოვრობს, მშობლიური სოფლის ადგილთა სახელებიდან გაიხსენა შემდეგთ: დერე — ხევი, ქარმატალალო — დელე „ქარმატა“ (ჭან.) — წისკვილი, ნოფანდრენი — სათესი, ზენი — სათესი, ქვადესმენდი — მინდორი, ნიშალულე — სათესი, წყა(რ)ინი — წყარო, ფეზურგი — სათესი, ზურგი — სათესი, წყაკუტული — ტყე, სათესი, ოპურმოლე — ტყე, წეფულახუი — სათესი, ტყე, ეხრემა — სათესი, საძოვარი, ქვამურგი — ადგილი გზაზე, კიკინცაშ-რაკანი — სერი, ჭკეშიდალი — დელე, ჰექალემპიჯი — სათესი,

პ ო ტ ო ჯ უ რ ს უ ფ ლ ა

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში 27-ეა — „დუმათსა“ (26) და „პოტოჯურ ულიას“ (28) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-12 — „ოტალახესა“ (11) და „პოტოჯურ ულიას“ (13) შუა, იქვე, გვ. 116). არც ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული და არც ხუთკილომეტრიანზე. პირველზეა მხოლოდ „პოტოჯური“, ხოლო მეორეზე — „პოტოჯურ-ულია“.

პოტოჯურ ულია

ხოფის უბნის სოფლების ქართულ სიაში — 28-ეა — „პოტოჯურ სუფლასა“ (27) და „კუტუნეთ სუფლას“ (29) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — მე-13 — „პოტოჯურ სუფლასა“ (12) და „ორთაქოის“ შუა (იქვე, გვ. 166).

ხუთკილომეტრიან რუკაზე ორთაქოის აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

პოტოჯურ-სუ. — მდინარე. იხსენიება ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166). დადასტურებულია „პოტოჯურ-დერესი“-ს ფორმითაც (იქვე). ხუთვერსიან რუკაზე სახელი არ აწერია („ბეზიმენაია“-ს (არქაბე) მარჯვენა შენაკადი ზემოწელებზე).

ღურმათი

არქაბეს უბნის ქართულ სიაში 26-ეა — „ლომასა“ (25) და „პოტოჯურ-სუფლას“ (27) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — 25-ე „ლომესა“ (24) და „მოცხორას“ (26) შუა (იქვე, გვ. 167).

„მოცხორა/ე“ და „ლომა“, ერთის მხრივ, და „პოტოჯურ-სუფლა“, მეორეს მხრივ, სულ სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ (უკანასკნელი მდ. არქაბეს მარჯვენა სანაპიროზეა, პირველი ორი — მარცხენაზე). ამიტომ ამ მონაცემებით ღურმათის ადგილმდებარეობის განსაზღვრა არ ხერხდება. ხუთვერსიან ან ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა რუკებზე არაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „ღურმათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — **Дурмады**“ (იქვე, გვ. 167).

არმონი — მთა. ხოფის უბნის სოფლების რუსულ სიაში ეს სახელწოდება „ღურმადის“ გასწვრივ ყოფილა ჩანიშნული (იქვე, რედ. შენიშვნა I).

კაკისრე ულია

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-7-ა — „დერბენდსა“ (15) და „კაკისრე სუფლას“ (7) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში ერთ სოფლადაა (21) აღრიცხული — „გიდრევესა“ (20) და „ემშილუკს“ (22) შუა (იქვე, გვ. 167). ხუთკილომეტრიან რუკაზე „მუსაზადეს“ (არქაბე) სამხრეთ-დასავლეთითაა აღნიშნული.

კ ა პ ი ს რ ე ს უ ფ ლ ა

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-17-ა — „კაპისრე ულიასა“ (16) და „სიდერეს“ (18) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში, როგორც ითქვა, კაპისრე ულიასთანაა გაერთიანებული (21).

ქართულ სიაშია „კაპისრე“ (იქვე, გვ. 155). ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 167) და ხუთვერსიან რუკაზეც. ხუთვერსიან რუკაზეა „Капистра“ (აღნიშნულია მდ. „ბეზიმენაია“-ს (არქაბე) მარცხენა სანაპიროზე, ზღვის სიახლოვეს).

ი ა კ ო ბ ი თ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში — მე-14-ა — მოცხორესა“ (13) და „დერბენდს“ შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — 23-ეა — „ემშილუქსა“ (22) და „ლომეს“ (24) შუა (იქვე, გვ. 167).

ხუთვერსიან რუკაზე არ არის აღნიშნული. გ. ყაზბეგი არქაბეს ხეობაში ასახელებს, ზღვიდან 5 ვერსის დაცილებით (დასახ. ნაშრ. გვ. 106). მისივე ცნობით, იქვე ერთვის არქაბეს ჰარმონიის წყალი (იქვე).

გ. ყაზბეგთანაა „იაკობითი“ (იქვე), ი. ყიფშიძის მასალებში — „იაკოვითი“ (ჭან. მოგზ. გვ. 155, 167). 1554 წლის ოსმალურ წყაროშია „იაგობითი“ (მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 84, შენიშვნა 148). ამავე ძეგლში იაგობითის ციხეც არის დასახელებული (იქვე).

ტაშ-დიბი-თაფასი — მთა კობტონეს სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა).

ქვაჭაჭი — მთა. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია მდ. „ბეზიმენაია“-ს (არქაბე) მარცხენა შენაკადის ზემოწელზე, აღმოსავლეთით.

ქვაჭაჭი ადგილის სახელად მოლენი სარფშიც გვხვდება (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 140, ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73).

ქვახერხი — კლდე. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ქვაჭაჭის სამხრეთით. მოლენი სარფელი მ. ქორიძე ადგილის სახელს „ქვახერხი“ სარფის მიდამოებშიც ასახელებს (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 72, 73), ხოლო ი. ყიფშიძის ინფორმატორი „წკარისთისა“ და „დაღასტის“ აღმოსავლეთით (ჭან. მოგზ. გვ. 153).

აგარა — იალაღი. ხუთვერსიან რუკაზე ქვახერხის სამხრეთითაა აღნიშნული.

მ ო ც ხ ო რ ა

არქაბის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-13-ა „ბახტასა“ (12) და „იაკოვითს“ (14) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — 26-ეა „დურმადის“ (25) შემდეგ (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე ზღვის სანაპიროზეა აღნიშნული.

სიებშია „მოცხორეა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155, 167), რუკაზე — „Мохор“.

ს უ მ ლ ა

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-19-ა „სიდერესა“ (18) და „ჭუკალვათს“ (20) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულ სიაში არ იხსენიება, ხოლო „მეკესქირში“ უკანასკნელია (18) „ტრევენდის“ (17) შემდეგ (იქვე, გვ. 167): ხუთვერსიან რუკაზე „მოსხორ“-ის სამხრეთითაა აღნიშნული, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე.

ი. ყიფშიძის მასალებშია „სუმლა“ (იქვე, გვ. 155, 167), ხუთვერსიან რუკაზე — „სომლა“.

სუმლა-დერესი — ხევი. იხსენიება „მეკესქირის“ აღწერილობაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167), ერთვის ზღვას „მოსხორ“-ის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზე ამ მდინარეზე ორი სოფელია აღნიშნული — „სომლა“ და „დარბენდი“ (ორივე მარჯვენა სანაპიროზე).

სუმლა-დერესი — სუმლის-ხევი.

დ ე რ გ ე ნ დ ი

არქაბეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-15-ა „იაკოვითსა“ (14) და „კაპისრე-ულიას“ (16) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), ამავე უბნის სოფლების რუსულ სიაში არ იხსენიება, ხოლო „მეკესქირში“ (მე-17-ა „აბუ-ემმერლულსა“ (16) და „სუმლას“ (18) შუა (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე „სომლას“ სამხრეთითაა აღნიშნული.

გ. ყაზბეგთანაა „დერბენტი“ (მისი დასახ. ნაშრ. გვ. 106). ასევეა „მეკესქირის“ სოფლების რუსულ სიაშიც და გვერდით ქართულად უწერია „ტრევენდი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167). ქართულ სიაშია (დერბენდი“ (იქვე, გვ. 155). ხუთვერსიან რუკაზე — „დარბენდი“ და ა. შ.

ნ. მარი მხოლოდ „ტრევენდს“ იცნობს (მოგზ. გვ. 614) და მდებარეობასაც მიუთითებს (აბუ-წკარის მარჯვენა სანაპიროზე (იქ-

ვე). „დერბენდიც“ ამ სექტორშია (აბუ-წყარის მარჯვნივ ჩამომდინარე „სუმლა-დერესის“ მარჯვენა მხარეზე).

„ტრევენდი“ ამ სოფლის ძველი სახელწოდება უნდა იყოს, რომელიც ოსმალთა მფლობელობის დროს „დერბენდ“-ად გადაამახინჯდა.

„დერბენდი“ „კარის“ აღსანიშნავად წინაზიხისა და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში გავრცელებული საგეოგრაფიო სახელია.

ა ლ ა ჯ ა

იალადი. ხუთვერსიან რუკაზე „კარა-გელ“-ის სამხრეთითაა აღნიშნული. ალაჯა (თურქ.) — ჭრელი (მაგაზანიკის ლექსიკ. გვ. 25).

ბ ა ლ ი კ ლ ი

იალადი ალაჯას სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა). სახელწოდება „ბალუქლის“ ფორმითაც გვხვდება (იხ. ზემოთ).

ს ი რ ტ - ი ა ი ლ ბ

მდებარეობს ბალიკლის აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი რუკა). იაილას სახელწოდება უნდა წარმოდგებოდეს სოფლის სახელისაგან „სირტი“. ჭანეთის სოფლების სიაში ამ სახელით მხოლოდ ერთი სოფელი იხსენიება (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171). ხუთკილომეტრიან რუკაზე იგი ბუიუკ-დერეს ქვემო წელზეა აღნიშნული (მარჯვენა მხარეზე).

სირტი ნაირსახეობაა სირთისა (თურქ. — ქედი, სერი).

ი ა ი ლ ა - დ ა ლ ი

სირტ-იაილას სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა). იაილა-დალი (თურქ.) — იალალის მთა.

დიუზ-გურჯი — მინდორი სოფ. ჩიკულითსა და ჩამლუკის იაილას შორის (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 113), „დიუზ“ — (თურქ. — ვაკე, „გურჯი“ — „ქართველი“.

ჩ ა მ ლ უ კ ი

იალადი. მარსისის მთის კალთაზეა, „დიუზ გურჯიდან“ 10-12 კერსზე (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 114). ხუთვერსიან რუკაზე „იაილა-დალის“ სამხრეთითაა აღნიშნული.

გ. ყაზბეგის დაკვირვებით, ჩამლუკი მწირი იაილაა (იქვე).

„ჩამლუკი“ თურქული ტოპონიმაა და „ფიჭენარს“ ნიშნავს.

ჩამლუკის მიდამოებში გ. ყაზბეგი სამ ტბას ასახელებს. მათ შორის ყველაზე დიდის (წრიული ფორმისა) დიამეტრი ას ნაბიჯს არ აღემატება (იქვე, გვ. 117).

აბუ-ზულულ — წყარო ალპური ტბების ახლოს (იქვე).

სახელწოდების პირველ ნაწილზე უკვე ითქვა (იხ. ზემოთ „აბუ-ისლა“), მეორე კი თურქული „ზულალ“-ის სახენაცვალი ფორმაა და „წმინდას“, „ანკარას“ ნიშნავს (შამს-ედ-დინ სამი, კამუს-უ თურქი, სტამბული, 1317 (1899), გვ. 686).

მარსისი — პონტოს ქედის მწვერვალი. გ. ყაზბეგი მარსისს ჩამლუკიდან ერთ ვერსზე ასახელებს (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 117). ხუთვერსიანი რუკით მანძილი ჩამლუკსა და მარსისს შორის გაცილებით დიდი ჩანს.

მარსისის მწვერვალის მახლობლადაა ამავე სახელწოდების უღელტეხილიც, რომლის სიგანესაც გ. ყაზბეგი 15 ნაბიჯით განსაზღვრავს (იქვე, გვ. 118).

აბუ-წყარი — ეს მდინარე მრავალი შენაკადისაგან შედგება. მათ შორის ათზე მეტი ჩამლუკის მიდამოებიდან გამოედინება (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 115), ერთვის ზღვას აბუ-სუფლასთან.

გ. ყაზბეგთანაა „აბუ-წყარი“ (იქვე), ასევეა ნ. მართანაც (მოგზ. გვ. 614). „მეკესქირის“ აღწერილობაშია „აბუ-დერესი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167), ხუთვერსიან რუკაზე — „აბო-ვიჩე-დარასი“, ხუთკილომეტრიანზე — „აბი-ვიჩე-დერე“ და ა. შ.

ა ბ უ - ს უ ფ ლ ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-14-ა — „ჭამბეთ-სა“ (13) და „აბუ-ულიას“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), ასევეა „მეკესქირის“ აღწერილობაშიც „გურუფითსა“ (13) და „აბუ-ულიას“ (15) შუა (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე „აბო-ვიჩე-დარასის“ (აბუ-წყარი) მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული (შესართავთან).

სოფელთა სიებშია „აბუ-სუფლა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156, 167), ხუთვერსიან რუკაზე — „აბი-სუფლა“.

ა ბ უ - უ ლ ი ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-15-ა — „აბუ-სუფლას“ (14) და „აბუ ხემშილნდუკს“ (16) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156). ასევეა „მეკესქირის“ სოფლების სიაშიც (იქვე, გვ. 167), ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული არ არის.

ნ გ ო რ ი

სოფელი. „მეკესქირის“ სოფელთა აღწერილობაში ჩამატებული ყოფილა „აბუ-ულიას“ შემდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167, რედ. შენიშვნა 2). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

ა ბ უ ჰ ე მ შ ი ლ ნ დ უ კ

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-16-ა — „აბუ-ულიას“ (15) და „წუფეს“ შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155). მე-16-ა — „მეკესქირის“ სიაშიც — „აბუ-ულიასა“ (15) და „ტრევენდს“ (17) შუა (იქვე, გვ. 167) ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული არ არის.

ქართულ სიაშია „აბუ ჰემშილნდუკ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 155), რუსულში — „Абу Эмшерлук“ და გვერდით ქართულად უწერია „აბუ ამშერლუდი“ (იქვე, გვ. 167). აბუს ეს ნაწილი „ხემშილებით“ არის დასახლებული და „სახემშილო აბუ“-ც („აბუ ჰემშილნდუკ“) ამიტომ ეწოდა.

წ უ ზ ე ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში უნომროდ მოსდევს „აბუ ჰემშილნდუკს“ (16), ხოლო შემდეგაა „ჩუკულითი — ფაი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156). „მეკესქირის“ სოფლების აღწერილობაში არ იხსენიება.

ნ. მარი სოფ. აბუს ზემოთ ასახელებს (მოგზ. გვ. 115). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

ნ. მართანაა „წუფა“ (იქვე), ქართულ სიაში კი „წუფე“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156).

ჩ უ კ უ ლ ი თ ი

მდებარეობს აბუ-სუფლას გვერდით (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 113) და უკანასკნელი სოფელია ამ მხარეზე (იქვე).

ვიწეს უბნის სოფელთა ქართულ სიაში ეს სოფელი „წუფეს“ მოსდევს (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156).

ნ. მართან და ყიფშიძესთანაა „ჩუკულითი“ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 614; ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), ხოლო გ. ყაზბეგთან — „ჩუკულითი“ (გვ. 113).

შ ა ი / ვ ა ი

სოფელი აბუს ზემოთ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 614). ვიწეს უბნის სოფელთა სიაში ჩუკულითთანაა გაერთიანებული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156).

„ფაი“ თურქული სიტყვაა და „წილს“ ნიშნავს. ამისი ჭანურო ნაირსახეობაა „პაი“.

ტ ა შ კ ი ი ა ი ლ ა

ხუთვერსიან რუკაზე იაილა „ბალიკლის“ დასავლეთითაა აღნიშნული — აბუ-წკარის მარჯვენა შენაკადის მარცხენა სანაპიროზე.

ი ა ი ლ ა ა ზ უ

აბუ-წკარის სათავეშია (ხუთვერსიანი რუკა), სახელწოდება წარმოდგება სახელისაგან — „აბუ“ (იხ. ზემოთ). ხუთვერსიან რუკაზეა „აბო“.

ლ ა მ რ ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში პირველია და მოსდევს „მანასტერი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), „მეკესქირში“ — მე-9-ა „ხარაზებელითსა“ (8) და „მანასტერს“ (10) შუა (იქვე, გვ. 157).

მდებარეობს ვიწეს-წკარის მარჯვენა სანაპიროზე. ზღვიდან პირველია (ნ. მარი, მოგზ. გვ. 613). აქვეა აღნიშნული ხუთკილომეტრიან რუკაზეც.

ქართულ სიაშია „ლავრა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Гавра“ და გვერდით ქართულად უწერია „ლავრა“ (იქვე, გვ. 167). ხუთკილომეტრიან რუკაზეც „Гавра“-ა.

„ლავრა“ ადგილის სახელადაც გვხვდება (იხ. ზემოთ, მეზრე სარფი).

ჭიხა — „ციხის ნაშთი და მისი მიდამოები ვიწეს აღმოსავლეთით“ (ჩვენს, მოლენის სარფის დღიური. მ. კახაილიშის ცნობა 15.VII.1967). ამავე ძეგლს უნდა გულისხმობდეს ციხის ის ნანგრევი, რომელიც ი. ყიფშიძის დღიურში ვიწეს მისასვლელთან არის მითითებული (ჭან. მოგზ. გვ. 165).

ხ ა ზ ა რ ა

სოფელი აბუ-წკარის მარჯვენა სანაპიროზე (ნ. მარი, მოგზ. გვ. 614). ნ. მარი სუმლას სიახლოვეს მიუთითებს (იქვე). ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშნული.

ც ა ა თ ი

სუმლას „მეჰალე“ მთაში (ნ. მარი, იქვე, გვ. 614), ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული არ არის.

ჩ ა რ ი კ - ი ა ი ლ ა ს ი

ხუთვერსიან რუკაზე „აბო-ვიჩე-დარასის“ მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული, მდინარის შუა წელზე. ასეთივე სახელწოდებას იალალი ვიწე-წყარის ზემო წელზეც არის (ქვემოთ).

თუ „ჩარიკ“ სახენაცვალი საგეოგრაფიო სახელი არ არის, მაშინ „ქალამნის“ აღმნიშვნელ თურქულ სიტყვად შეიძლება მივიღოთ. „ჩარიკ-იალასი“ (თურქ.) — „ქალამნის იალალი“.

ი ა ი ლ ა კ ა ი ა - ღ ი ზ ი

ხუთვერსიან რუკაზე იმავე მდინარის მარჯვენა მხარეზეა აღნიშნული, ზემო წელზე.

„კაია-ღიბი“ (თურქ.) — „კლდისღიბი“.

კარა-გელი — ტბა „კაია-ღიბის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი რუკა). „კარა-გელი“ (თურქ.) — „შავი ტბა“.

ვ ი წ ე

პუნქტი აბუ-წყარსა (აღმ.) და ვიწე-წყარს (დას.) შუა (ნ. მარჯ., მოგზ. გვ. 610).

პ. ინგოროყვა „ვიწე“-ს თავდაპირველ ფორმად „ბიწე“-ს მიიჩნევს (მისი, გიორგი მერჩულე, გვ. 202, შენიშვნა 1) ნ. მარის ცნობით, ხოფელი ჭანები ვიწეს „ბღეთს“ უწოდებენ (მოგზ. გვ. 613).

ხუთვერსიან რუკაზეა — „ვიჩე“ (ვიწეს თურქული ფორმა), ამჟამად „ფინდიკლი“-დ იწოდება (თურქეთის ოცკილომეტრიანი რუკა).

მამედ ტიბუკ-ოღლის ცნობით, ვიწეში ყოფილა რომელიღაც თავადის საფლავი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165).

კავე უღუ — „კავე უღუ, ვიწე“ — ასე მიუთითებს ი. ყიფშიძე თავის ერთ-ერთი ინფორმატორის სადაურობას (ჭან. მოგზ. გვ. 163). ამ ჩვენების მიხედვით (სხვა ჯერჯერობით არ გაგვანია) „კავე უღუ“ თითქოს ვიწეს ერთ-ერთი უბანი უნდა იყოს.

„კავე“ „ყავას“ ნიშნავს (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 150), „უღუ“ კი ჭანური სიტყვა უნდა იყოს.

ვიწე-წყარი — დასავლეთით ჩამოუღის ვიწეს. ნ. მარის ცნობით, ზაფხულში წყალმცირეა, დიდი კალაპოტით (მოგზ. გვ. 614). იგი იქმნება „ფიცხელა-წყარისა და ზულუ-წყარის შეერთებით (იქვე).

ა ნ ღ რ ა ვ ა თ ი

მღ. ვიწეს მარჯვენა სანაპიროზეა, „ქვემოთ, მღ. ვიწესთან ახლოს“ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 614), ხუთვერსიან რუკაზე არაა აღნიშ-

ხული, არც ვიწეს უბნის სოფლების სიაში იხსენიება და არც „მეკესქირისაში“.

ხ უ ვ ა

ვიწეს ზემოთ, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე (ხუთვერსიანი-რუკა), ვიწეს უბნის სოფლების სიაში არ იხსენიება და არც „მეკესქირის“ აღწერილობაშია შესული.

ზულუ-წყარი — მდინარე. გამოედინება ზულუს მთიდან და ერთვის „ფიცხალა-წყარს“ „მანასტერთან“.

ნ. მარს „ზულუ-წყარის“ ფორმით მოაქვს (მოგზ. გვ. 614), ი. ყიფშიძის მასალებშია — „ზულუ-დერესი“ (ჭან. მოგზ. გვ. 167)-ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკაზე სახელი არ აწერია.

ხუთვერსიან რუკაზე ამ მდინარეზე ორი სოფელი („ზოგო-სუფლა“, „ზოგო-ულია“) და ერთი მთაა („ზოგო-დაგი“) აღნიშნული, ხუთკილომეტრიანზე კი — მხოლოდ ერთი სოფელი („ზიუგუულია“).

ზ უ ლ უ - ს უ ფ ლ ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-8-ა — „ჭურჭავასა“ (7) და „ზულუ-ულიას“ (9) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), „მეკესქირში“ — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე მდინარის მარცხენა სანაპიროზეა აღნიშნული, „ზოგო-ულიას“ ქვემოთ.

სიებში „ზულუ“-ა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156, 167), ხუთვერსიან რუკაზე — „ზოგო“; ხუთკილომეტრიანზე — „ზიუგუ“.

ზ უ ლ უ — უ ლ ი ა

ვიწეს უბნის ქართულ სიაში მე-9-ა „ზულუ-სუფლასა“ (8) და „ფიცხელა სუფლას“ (10) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), „მეკესქირში“ მე-4 — „ფიცხალა ეშშერლუკსა“ (3) და „ზულუ-სუფლას“ (15) შუა (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე „ზულუ-სუფლას“ ზემოთაა აღნიშნული, მდინარის მარჯვენა მხარეზე, ხუთკილომეტრიან რუკაზე ამ მდინარეზე მხოლოდ ეს სოფელია აღნიშნული.

მ უ რ ა ვ ა ვ ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-7-ა „ხარაზბელით-სა“ (6) და „ზულუ-სუფლას“ (8) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167). „მეკესქირში“ — მე-6 — „ზულუ სუფლასა“ (5) და „ჭამფეთს“ (7) შუა (იქვე, გვ. 167).

ნ. მარი ვიწე-წკარის მარჯვენა სანაპიროზე მიუთითებს (მოგზ. გვ. 613). ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე აღნიშნული არ არის.

ნ. მართანაა „ჭურჭავა“ (იქვე). ასევეა ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულშია — „Чурчава“ და გვერდით ქართულად უწერია „ჭურჭავა“ (იქვე, გვ. 167).

ნ. მარის ცნობით, ამ სახელწოდების ოფიციალური ფორმაა „ჩურჯენ“-ი (მოგზ. გვ. 613).

მ ა ნ ა ს ტ რ ი

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში — მე-2-ა — „ლაფრა-სა“ (1) და „ფაჩვას“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. 156), „მეკესქირში“ — მე-10 იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 167), ხუთვერსიან რუკაზე, „ვიწე-წკარის“ მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული „ზოგო-სოფლას“ ქვემოთ.

რუსულ სიაშია „Манастер“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167). ასევეა ქართულშიც (იქვე, გვ. 156) და ნ. მართანაც (მოგზ. გვ. 613). ხუთვერსიან რუკაზეა „Маностыр“-ი.

ნ. მარს მოუხილავს მონასტრის ნანგრევებიც, მაგრამ წარწერიანი ქვები ვერ დაუდასტურებია (იქვე).

ფ ი ც ხ ე ლ ა

ამ სახელით ჭანეთში რამდენიმე სოფელი და ერთი მდინარეა ცნობილი. სახელწოდება ნაირნაირი ფორმით გვხვდება: ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაშია „ფიცხალა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულშია — „Пицхала“ (იქვე, გვ. 167).

ი. ყიფშიძის მოპოვებულ ზეპირსიტყვიერ მასალებშია „ბიწკალა“ (იქვე, გვ. 165), ნ. მართან — „ფიცხელა“ (მოგზ. გვ. 614). ხუთვერსიან რუკაზე — „Песихла“, ხუთკილომეტრიანზე — „Пискаლა“.

ფიცხელა-წკარი — იხსენიება ნ. მართან, (მოგზ. გვ. 614). ხუთვერსიან რუკაზე უსახელოდაა აღნიშნული. მოედინება ჭანეთის მთიდან და ერთვის „ზულუ-წკარს“ „მანასტერთან“.

ფ ი ც ხ ე ლ ა - ს უ ფ ლ ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში: მე-10-ა — „ზულუ-ულიასა“ (9) და „ფაცხალა-ულიას“ (11) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156); „მეკესქირში“ — 1 (მოხსიდე „ფიცხალა-ულია“ (2)

იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე ვიწე-წიარის შუა წელზეა აღნიშნული, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე.

კ უ რ უ კ — ი ა ი ლ ა

რუკაზე მდინარის ზემო წელზეა (მარჯვენა სანაპირო) აღნიშნული. „ქუჩუკ-იაილა“ (თურქ.) — „პატარა იალაღი“.

ჩ ა რ ი ა - ი ა ი ლ ა ს ი

ხუთვერსიან რუკაზე „ქუჩუკ-იაილას“ ზემოთაა აღნიშნული, მდინარის მარჯვენა მხარეზე. ამავე სახელწოდების იალაღი „აბო-ვიჩე-დარასზეც“ არის (იხ. ზემოთ).

ფ ა რ ვ ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-3-ა „მანასტირსა“ (2) და „ინიქოს“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), „მეკესქირში“ — მე-11 — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე მდინარის მარცხენა მხარეზეა აღნიშნული, „მანასტრის“ ქვემოთ.

ი ე ნ ი ქ ო ი

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-4-ა — „ფაჩვას“ (3) და „გულფოს“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), „მეკესქირში“ — მე-19 იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 167), არც ხუთვერსიან რუკაზეა და არც ხუთკილომეტრიანზე.

ნ. მართანაა „იენი-ქოი“, (მოგზ. 614), ქართულ სიაში — „ინიქოდ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 165), რუსულში — „Еникей“ და გვერდით ქართულად უწერია „იენიქოდ“ (იქვე, გვ. 167). „იენიქოი“ (თურქ.) — „ახალსოფელი“.

ფ ი ც ხ ა ლ ა - უ ლ ი ა

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-11-ა — „ფიცხალა-სოფლას“ (10) და „ფიცხალა-ჰემშილნდუს“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), „მეკესქირში“ მე-2 — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე არაა, ხუთკილომეტრიანზე კი აღნიშნულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე.

ფ ი ც ხ ა ლ ა - ჰ ე მ შ ი ლ ნ დ უ ს

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-12-ა — „ფიცხალა-სოფლას“ (11) და „ჰამბეტოს“ (13) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ.

გვ. 156), „მეკესქირში“ — მე-3 — „ფიცხალა-ულიასა“ (2) და „ზუ-
ლუ-ულიას“ (4) შუა (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე ან ხუთ-
კილომეტრიან რუკაზე არ იხსენიება.

სახელწოდების მეორე ნაწილი ქართულ სიაში „ჰემშილნდუკ“-
ის ფორმითაა მოცემული (იქვე, გვ. 156, რუსულშია „Эмшерлук“-ი
(იქვე, გვ. 167). იგივე ფორმა სხვაგანაც გვხვდება (იქვე).

ჭამბეთ-დერესი — მდინარე. იხსენიება „მეკესქირის“ სოფლო-
ბრივ აღწერილობაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167). „ფიცხელა-
წკარის“ მარცხენა შენაკადია, ერთის „ფიცხელა-სუფლას“ ქვემოთ.
ხუთვერსიან რუკაზე მდინარეს სახელი არ აწერია. მასზე აქ მხო-
ლოდ ერთი სოფელია (ჭამბეთი) აღნიშნული.

კ ა ა ზ ე თ ი

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-13-ა — „ფიცხალა
ჰემშილნდუკსა“ (12) და „აბუ სუფლას“ (14) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან.
მოგზ. გვ. 165), „მეკესქირში“ — მე-7-ე, „ჭურჭავასა“ (6) და „ხარა-
ზემელითს“ (8) შუა (იქვე, გვ. 167). ხუთვერსიან რუკაზე მისივე
მოსახელე მდინარის ზემო წელზეა აღნიშნული, მარჯვენა მხარეზე.

ქართულ სიაშია — „ჭამბეთი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ.
156), რუსულში — „Чампет“-ი და გვერდით ქართულად უწერია
„ჭამფეთი“ (იქვე, გვ. 167), ასევეა ნ. მართანაც (მოგზ. გვ. 614),
ხუთვერსიან რუკაზეა „Джанпет“-ი.

გურუფით-დერესი — ხევი. იხსენიება „მეკესქირის“ სოფლობ-
რივ აღწერილობაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 167). მოედინება
„აფგიუნბადა-თაფასის“ მთიდან და ერთის ზღვას ვიწეს დასავლე-
თით. ხუთვერსიან რუკაზე ამ მდინარეზე მხოლოდ ერთი სოფელია
(„გარბიტ“-ი) აღნიშნული.

გ უ რ უ ფ ი თ ი

ვიწეს უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-4-ა — „ინიქოისა“
(3) და „ხარაზემელითს“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156),
„მეკესქირში“ — მე-13 — „ენიქოისა“ (12) და „აბუ-სუფლას“ (14)
შუა (იქვე, გვ. 167), ხუთვერსიან რუკაზე მისივე მოსახელე მდინა-
რის მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული.

ქართულ სიაშია — „გულფითი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ.
156), რუსულში — „Гурупит“-ი და გვერდზე ქართულად უწე-
რია „გურუფითი“. ხუთვერსიან რუკაზეა „Гарбит“-ი.

აფგიუნბადა-თაფასი — მთა. ხუთვერსიან რუკაზე გურუფი-
თის სამხრეთითაა აღნიშნული.

ოჯე-დარასი — ხევი. იხსენიება ართაშენის უბნის რუსულ აღწერილობაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168). მოედინება „გურუფით-დერეს“ დასავლეთით. ამ უკანასკნელზე უფრო მოკლეა. ხუთვერსიან რუკაზე ამ მდინარეს სახელი არ აწერია და მასზე მხოლოდ ერთი სოფელია („უჯა“) აღნიშნული.

ო ჯ ე

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-18-ა — „ორთა ქოისა“ (17) და „ართაშენს“ (19) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — 22-ეა „თოლიქჩეთსა“ (21) და „აბიხოს“ (23) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია მდინარის მარჯვენა მხარეზე.

სიებშია „ოჯე“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157, 168), ხუთვერსიან რუკაზე — „Уджа“.

მ უ ტ ა ფ ი - წ ა პ ა რ ი

მოედინება ოჯესწყლის დასავლეთით და ზღვას ერთვის ღერას აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზე ამ მდინარეზე (სახელი არ აწერია) სამი სოფელია აღნიშნული („ღარე“, „ორთაქოი“ და „მუტაფი“), ხუთკილომეტრიანზე კი ორი („ღერე“, „ორთაქოი“).

ო რ თ ა ქ ო ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-17-ა — „ფელე-რგივათსა“ (16) და „ოჯეს“ (18) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-15 — „ღერასა“ (14) და „მუტაფს“ (17) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია მუტაფისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ხუთკილომეტრიანზე კი ამავე მდინარის სათავეში.

ქართულ სიაშია — „ორთაქოდ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Ортачей“ და გვერდზე ქართულად უწერია „ორთაშოდ“, „ორთაქოდ“ (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკებზეა „Орта-кей“ — „Ортакей“.

ღ ე რ ა ე

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-20-ა — „ართაშენსა“ (19) და „ძღემი ულიას“ (21) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — მე-14 „ოვორდულესა“ (13) და „ღრთაქოის“ (15) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე მუტაფისწყლის

მარცხენა მხარეზეა აღნიშნული, ზღვისპირას, ასევეა ხუთკილომეტრიან რუკაზეც.

ქართულ სიაშია „ღერა-ღერე“. (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — „Гере“ და გვერდით ქართულად უწერია „ღერა“ (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზეა „Гере“, ხოლო ხუთკილომეტრიანზე — „Гере“.

გ ა შ ლ ე რ ა

ართაშენის უბნის სოფლების იმ სიებში, რომლებიც ყიფშიძესთანაა, არ იხსენიება. გ. ყაზბეგი ამ „პატარა სოფელს“ ვიწვესა და ართაშენს შუა ასახელებს (დასახ. ნაშრ. გვ. 129), ნ. მარი — მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროს მესამე ზონაში (მოგზ. გვ. 612) — ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე აღნიშნული არ არის. „ბაშღერა“ — „თავღერა“.

მ უ ტ ა ფ ი

ართაშენის უბნის სოფლების. ქართულ სიაში მე-11-ა — „ძღე-მი“ ულიასა“ (10) და „ქომილოს“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-16 — „ორთაქოისა“ (15) და „შანგულს“ (17) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე მისსავე მოსახელდ მდინარის სათავესთანაა აღნიშნული, მარცხენა სანაპიროზე.

ღუა-თაფასი — მთა. ხუთვერსიან რუკაზე მუტაფის დასავლეთითაა აღნიშნული. ამ მთის უღელტეხილზე გადადის ღერა-სალინქოის გზა.

ო კ ო რ დ უ ლ ე

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-5-ა — „ჯიბის-თასისა“ (4) და „ობიჩხოს“ (6) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — 13 — „ღვანდსა“ (12) და „ღერას“ შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე „გარე“-სა (ღერა) და „არღაშინს“ შუაა აღნიშნული — ზღვის სიახლოვეს, მდინარის (სახელი არ უწერია) მარცხენა სანაპიროზე.

ნ. მართანაა „ოკორდულე“ (მოგზ. გვ. 611), ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168), ქართულშია — „ოკორდული“ (იქვე, გვ. 156), ხუთვერსიან რუკაზე — «Окордил».

წ ი ბ ი ს ტ ა ს ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-4-ა — „წიათ-ქა“ (3) და „ოკორდულს“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156),

რუსულში — მე-2 — „არტაშენსა“ (1) და „სიათს“ (3) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი „ოკორდულეს“ გვერდით ასახელებს, პირველს ზღვიდან (მოგზ. გვ. 611), არც ხუთვერსიან რუკაზეა და არც ხუთკილომეტრიანზე.

ნ. მართანაა „ჯიბისტასი“ (მოგზ. გვ. 611). ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168), ხოლო ქართულშია „ჯიბისტას“-ი (იქვე, გვ. 156).

ამ სოფელში „ძველი ეკლესიის კედლებია“ დადასტურებული (იქვე, გვ. 153).

ფ ი ა თ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-3-ა — „იანივათსა“ (2) და „ჯიბისტას“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), ასევეა რუსულშიც „ჯიბისტასსა“ (2) და „სიფათს“ (4) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე არაა აღნიშნული.

ნ. მარი მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროს სოფლების მეორე ზონაში ასახელებს (მოგზ. გვ. 611).

სახელწოდება სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ნ. მართანაა „ციათი“ (მოგზ. გვ. 611). ქართულ სიაში — „წიათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „СНЯТ“-ი და გვერდით ქართულად უწერია „სიათი“ (იქვე, გვ. 168).

ა რ თ ა შ ე ნ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-19-ა — „ოჯე-სა“ (18) და „ღერა/ე“-ს (20) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — 1 — „ჯიბისტასის“ (2) წინ (იქვე, გვ. 168). ნ. მარი მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროზე ასახელებს, ზღვიდან პირველს (მოგზ. გვ. 611). ხუთვერსიან რუკაზე „ოკურდულის“ დასავლეთითაა აღნიშნული — ზღვის სანაპიროზე.

ნ. მართანაა „არტაშენი“ (მოგზ. გვ. 611), ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168), ქართულშია — „ართაშენი“ (იქვე, გვ. 157). კ. კოხთანაა — „არტაშინი“ (Wanderungen, გვ. 125). ი. ჯაუახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზეა“ — „არტაშენი“, ხუთვერსიანზე — „არდამინი“, ხუთკილომეტრიანზე — „არდამენი“ და ა. შ.

ი. ყიფშიძის დღიურში არტაშენში დასახელებულია „ეკლესია („ნახატებიანი““ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 153).

ართაშენი — მდინარე მთავარი შტო „ღუთათფასი“ დან მოე-

დინება და ერთვის ზღვას ართაშენში. ხუთვერსიან რუკაზე სახელი არ აწერია. ართაშენის უბნის სოფლების რუსულ სიაშია „Арташenna“ და ქვემოთ ქართულად უწერია „ართაშენი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168).

ს ი შ ა თ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-7-ა — „ობიჩხოსა“ (6) და „დემისფათს“ (8) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-4-ა „სიათსა“ (3) და „აღვანს“ (5) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე მდ. ფურტუნის მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული „სალინ-კეის“ დასავლეთით.

ნ. მართანაა „სიფათი“ (მოგზ. გვ. 611), ასევეა რუსულ სიაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 166) და ხუთვერსიან რუკაზეც. ქართულ სიაშია — „საფათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156)

ს ა ლ ი ნ ქ ო ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში 25-ე და უკანასკნელია „ბაქოზ“-ის (24) შექმდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — მე-7-ე „დუთხესა“ (6) და „ფელერგიათს“ (8) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე „დუა-თაფასის“ მთის სამხრეთით და „სიფათის“ აღმოსავლეთითაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „სალინქოჲ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — „სალინკეის“ (იქვე, გვ. 168), ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც და ა. შ.

შ ა ნ გ უ რ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში პირველია — „იანივათის“ (2) წინ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-17 — „მუტაფსა“ (16) და „იანივათს“ (18) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროზე ასახელებს — მეორე ზონაში (მოგზ. გვ. 612). ხუთვერსიან რუკაზე ამავე სექტორშია აღნიშნული „მუტაფ“-იც, რომლის ახლო-მახლოსაც სავარაუდოა შანგური, რომელიც არც ერთ ჩვენს ხელმისაწვდომ რუკაზე არაა აღნიშნული.

ნ. მართანაა „შანგული“ (მოგზ. გვ. 612), ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168), ქართულშია — „შანგური“ (იქვე, გვ. 156).

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში 23-ეა. — „წანოსა“ (22) და „ბაქოზის“ (24) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — მე-12 — „ზგემი-სუფლასა“ (11) და „ოკორდულეს“ (13) შუა (იქვე, გვ. 168). ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზე“ „ზულა-ხევის“ მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული „კუწუმის“ აღმოსავლეთით და „ქომილოს“ ჩრდილოეთით, ხუთვე-რსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე არაა დატანილი.

ქართულ სიაშია „ღვანტი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში „Гвант“-ი და გვერდით ქართულად უწერია „ღვანდი“ (იქვე, გვ. 168). ნ. მართანაა „ღუანთი“ (მოგზ. გვ. 611). მასვე მოაქვს ზულეფელი ალი-რეიზისაგან დადასტურებული „ღვანდი“-ც (იქვე). ი. ჯავახიშვილის რუკაზეა „ღვანთი“.

კამლი-დერე. — ხევი. ართაშენის უბნის სოფლების რუსულ სიაში ამ მდინარეზეა ნაჩვენები სოფ. ღვანდი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168).

შ ა ნ ო

ართაშენის უბნის სოფლების სიაში 22-ეა — „ძღემი ულიას“ (21) და „ღვანტს“ (23) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — 24-ე — „აბიხოსა“ (23) და „მალესკერიტის (მეკალესკირითი — 25)“ შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი. მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროზე მიუთითებს — „ქომილოს“ (მარცხენა მხარეზეა) პირდაპირ (მოგზ. გვ. 610).

ნ. მართანაა „წანო“ (მოგზ. გვ. 610). ასევეა ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულშია — „Цани“ (?) და გვერდით უწერია „მწანუ“ (იქვე, გვ. 168) და „წანო“ (იქვე, რედ. შენიშვნა 4).

„წანი“ მრავალმნიშვნელობიანი ტერმინია (ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 195). თუ რომელი მათგანი იგულისხმება ამ საგეოგრაფიო სახელში, ამის გარკვევა სავლელ ძიების გარეშე ძნელია.

პ ი ჯ ე

ნ. მართან ამ სახელით მხოლოდ ერთი სოფელია (50-ა) აღნიშნული (მოგზ. გვ. 611). ასევეა ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზეც“.

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში „ვიჯე“ ორ სო-

ფლადაა (29-30) აღრიცხული: „ვიჯე-სუფლა“, „ვიჯე-ულია“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170).

ნ. მარი ამ სოფელს მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროზე ასახელებს (მოგზ. გვ. 611). მისი ინფორმატორი ამ ჩვენებას სოფ. ღვახდის ზემოთ მითითებით ავიწროებს (იქვე).

დ უ თ ხ ე

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-15-ა — „აღვანასა“ (14) და „ფელერგივათს“ (16) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში მე-6 — „აღვანსა“ (5) და „სალინკეის“ (7) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროზე ასახელებს, მესამე ზონაში (მოგზ. გვ. 612), ხუთვერსიან რუკაზე მდ. ფურტუნას შუა წელშია აღნიშნული, მარჯვენა სანაპიროზე აღნიშნულია ხუთკილომეტრიან რუკაზეც.

ქართულ სიაშია „დუთხე“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 168). ხუთკილომეტრიან რუკაზეა „Дутха“, ხუთვერსიანზე — მეტისმეტად გადამასინჯებული — „Дошха“. ნ. მარს „დუნჩე“-ც დაუდასტურებია (მოგზ. გვ. 612) და ა. შ.

დ უ თ ხ ე - ი ა ი ლ ა ს ი

იალაღი „დუთხა დარასის“ სათავეებში, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე (ხუთვერსიანი რუკა).

დუთხე-დარასი — ხევი. იხსენიება ართაშენის უბნის სოფლების რუსულ აღწერილობაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168). „დუთხე-დარასი“ მდ. ფურტუნას ერთ-ერთი სახელია. ამავე სახელითაა აღნიშნული ეს მდინარე ხუთვერსიან რუკაზე.

მდ. ფურტუნა ანუ „დუთხე-დერესი“ მოედინება პონტოს ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთებიდან (გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ. გვ. 125). ხუთკილომეტრიან რუკაზე მის სათავეებში „კაჩკარ-თეფე-ლერი“-ა აღნიშნული.

ამ მდინარეს გულისხმობს სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. VI-V ს.ს.) „პორდანისი“ (ი. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 49) და ფლ. არიანეა „პრიტანიდი“ (მისი, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 36).

ართაშენის უბნის სოფლების რუსულ აღწერილობაში ეს მდინარე „ფორტუნა“-სა და „ფურტონა“-ს ფორმებით იხსენიება (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168). ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზეა“ „ფორტუნა“, ხუთკილომეტრიანზე — „ფირტინა“.

დერე“, რომელიც ამ სახელწოდების თურქული ფორმისაგან („ფირ-
თინა“) წარმოდგება. ეს უკანასკნელი კი იტალიურ „ფორტუნა“-სა-
გან („ქარიშხალი“) მომდინარეობს.

ზ ა ვ ი მ - ი ა ი ლ ა ს ი

იალადი. „დუთხა-დარასის“ ერთ-ერთი უსახელო მარცხენა შე-
ნაკადის (ზემო წელზე) მარჯვენა სანაპიროზე (ხუთვერსიანი რუკა).
იგივე სახელწოდება მთის სახელადაც გვხვდება (იხ. ქვემოთ) და
მდინარისაც (ზემოთ).

ე ს კ ი ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი

ათინას უბნის სოფლების ქართულ სიაში 39-ეა — „სუკიტა-
სა“ (38) და „კვანჩარიას“ (40) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158),
რუსულში — შე-40—იმევე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 170).
ნ. მარი „ქუა-ნქარერის“ გვერდით მიუთითებს, ზღვიდან პირველს
(მოგზ. გვ. 610). რუსული სიით „ესკი-ტრაპიზონი“ ეს იგივე
„Гамидие“-ა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 172). ხუთვერსიან რუ-
კაზე „Хамидие“ მდ. „ფირტინას“ მარცხენა მხარეზეა აღნიშნუ-
ლი, ზღვის პირას.

ქართულ სიაშია „ესკი-ტრაპიზონი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ.
გვ. 158), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 170) და ნ. მართანაც (მოგზ.
გვ. 610). ზოგიერთი ჭანური ტექსტითაა „ესქი-ტრაბუზანი“ (ირ.
ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 210) და ა. შ.

სახელწოდების პირველი ნაწილი („ესკი“) თურქული სიტყვაა
და „ძველს“ ნიშნავს. „ძველი ტრაპიზონი“ ამ პუნქტის სახელად
ძალიან საინტერესოა.

ამ სოფლის კიდევ ერთი ძველი სახელია „კუწუმი“ ან მისი ნა-
ირსახეობანი: „კუწუმი“ და „კუწუმბრი“. ნ. მარის ცნობით, ეს
დამოკიდებულია ჭანის სამეტყველო კილოკავზე (მოგზ. გვ. 611).
ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზე“ „კუწუმი“-ს
ფორმითაა აღნიშნული, ამჟამად „ჰამიდე“-დ იწოდება.

ნ. ნარაკიძის თქმით, „ესქი ტრაბუზანი — მთელი გურჯეფე
რენან“ (ირ. ასათიანი, ჭან. ტექსტ. გვ. 210), ათინას უბნის სოფლე-
ბის რუსულ სიაშიც ამ სოფლის ქვემოთ ქართულად წერია: „გ/ჯუ-
რჯი (მუჰაჯირი)“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170).

ერთი ჭანური გადმოცემით, საქართველოს საზღვარი თამარის
დროს თითქოს ამ სოფელზე გადიოდა (ი. ყიფშიძე, ჭან. ტექსტ.
გვ. 4).

წ უ კ ი ტ ა

ათინის უბნის სოფლების ქართულ სიაში 38-ეა — „დავიდათ-სა“ (37) და „ესკი-ტრაპიზონს“ (39) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში — 39-ეა — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 170). ნ. მარი მდ. ათინას აღმოსავლეთით ასახელებს მესამე ზონაში (მოგზ. გვ. 610). ი. ყიფშიძესთან ათინადან 5 ვერს-ზეა მითითებული (ჭან. მოგზ. გვ. 163).

ნ. მართანაა „წუკიტა“ (მოგზ. გვ. 610), რუსულ სიაშია „Цу-кита“ და გვერდით ქართულად უწერია „წუკიტა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170) ქართულშია — „სუკიტა“ (იქვე, გვ. 158).

ჭ ვ ა ნ ც ა რ ე რ ი

ათინას უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-40-ა „ესკი ტრაპი-ზონსა“ (34) და „კოსტანევათს“ (41) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში — 41-ე — იმავე სოფლების გარემოცვაშივე (იქვე, გვ. 170). ნ. მარი მდ. ათინას აღმოსავლეთით ასახელებს — მეოთხე ზონაში ესკი-ტრაპიზონის გვერდით (მოგზ. გვ. 610). ხუთ-კილომეტრიან რუკაზე „ხამიდიეს“ სამხრეთითაა აღნიშნული, „ფიო-ტინა-ბუიკ-დერეს“ ხერთვისის მახლობლად, მარცხენა მხარეზე.

ქართულ სიაშია „კვანჩარია“ და მისდევს ა. ჩიქობავას შენიშვ-ნა, „ქვანჯარია“ ხომ არ არის?“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158 და იქვე, შენიშვნა 1), რუსულში — „Кванцарери“ და გვერდით ქა-რთულად უწერია „ქვანჯარერი“ (იქვე, გვ. 170). ნ. მართანაა „ქვა-ნჯარერი“ და „ქუა-ნჯარერი“ (მოგზ. გვ. 610). ხუთკილომეტრიან რუკაზე „Куванчары“.

სახელწოდება წარწერიან ქვას გულისხმობს და ნ. მარსაც არ დაუტოვებია ეს გარემოება ჯეჟურადლებოდ, მაგრამ ზედაპირულ ძიებით საამისო ვერაფერი მოუპოვებია. ამის შემდეგ მკვლევარს ბუნებრივია მათ წიაღში მოქცევა ეგულისხმა და გათხრებზე ეფი-ქრა (მოგზ. გვ. 611).

„ქვანჯარერი“ „ნაწერს“ უფრო ფართო. გაგებით (წარწერა, გამოსახულება) უნდა აღნიშნავდეს (მდრ. „ბურჭული მეჭაელი“, „არგუნი მეჭაელი“ (იხ. ზემოთ, მოლენი სარფის ტყეები).

კ ო ს ტ ა ნ ე ვ ა თ ი

ათინის უბნის სოფლების ქართულ სიაში 41-ეა — „კვანჩარი-ას“ (40) და „ხაკოს“ (42) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუ-სულში — 42-ე — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 170). ნ. მარი მდ. ათინას აღმოსავლეთით ასახელებს — მესამე ზონაში

(მოგზ. გვ. 610). სიებში მის გვერდით დასახელებულ სოფელთა შორის ხუთკილომეტრიან რუკაზე მხოლოდ ერთია („კუევანჩარი“) აღნიშნული, მდ. ფურტუნას მარჯვენა სანაპიროზე. ამავე სექტორში ივარაუდება მეორეც (ხაკო). „კოსტანევათი“-ც ამათ შორისაა საგულეებელი.

ი ლ ა ს ტ ა ს ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში 30-ეა — „ბულეფი ულიას“ (29) და „ჯიგეთურას“ (31) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში — 31-ე — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 170). ნ. მარი ხოტრის გვერდით ასახელებს, მდ. ათინას მარჯვენა სანაპიროზე (მოგზ. გვ. 610). ხუთკილომეტრიან რუკაზე „კუევანჩარი“-ს სამხრეთითაა აღნიშნული.

სახელწოდების გადმოცემისას მასალებში არსებითი ხასიათის სახესხვაობა არ შეინიშნება.

ხ ო ტ რ ი

ათინას უბნის სოფლების ქართულ სიაში 32-ეა — „ჯიგეთურასა“ (31) და „ლამგოს“ (33) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში — 33-ე — იმავე სოფლების გარემოცვაში (იქვე, გვ. 170). ნ. მარი მდ. ათინას მარჯვენა მხარეზე ასახელებს, „ილასტას“ გვერდით (მოგზ. გვ. 610). ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე აღნიშნული არ არის.

ბ ა ქ ო ზ ი

ართაშენის უბნის სოფლების სიაში 24-ეა — „ღვანტსა“ (23) და „სალინქოჲ“-ს (25) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-20 — „ზემი-ულიასა“ (19) და „თოლიქჩეთს“ (21) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი მდ. ფურტუნას მარცხენა სანაპიროზე მიუთითებს, „ესკი-ტრაპიზონის“ ზემოთ და „ხაკოს“ მახლობლად (მოგზ. გვ. 611). ხუთვერსიან რუკაზე „ავგანის“ დასავლეთითაა აღნიშნული, „ღუთხა-დარასის“ ქვემო წელზე, მარცხნივ. ხუთკილომეტრიან რუკაზე არაა.

ქართულ სიაშია „ბაქოზ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — „Бакоз“ და გვერდით ქართულად უწერია „ბაქოზი“ (იქვე, გვ. 168). ნ. მართანას „ბაკოს“ (მოგზ. გვ. 611), ხუთვერსიან რუკაზე — „Вакуз“.

ამ სახელწოდების სწორი ჭანური ფორმა უნდა იყოს „ბაქოზ“. იგი აღამბანის საკუთარი სახელია. ასე იწოდებოდა IV ს-ის დამდე-

გის ერთ-ერთი ბერძენი მოწამე, ძმა სერგი მოწამისა. ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ეს მოწამენი დიდი პატივით სარგებლობდნენ. უსტინიანე I-ის დროს (525-565) მათ სახელზე კონსტანტინეპოლში მონასტერიც აშენდა (კ. კეკელიძე, მარტვილობა სერგისა და ბაქოზისი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ. 77). უნდა ვიფიქროთ, რომ ჭანეთის ომონიმურ სოფელშიც იყო ოდესღაც ამ წმინდანის სახელობის რაღაც საკულტო ძეგლი — ეკლესია ან მონასტერი და სოფელსაც აქედან შეერქვა ბაქოზი.

თო ლ ი - ქ ჩ ე თ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში 13-ეა — „ქომოლოსა“ (12) და „აღვანას“ (14) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — 21-ე — „ბაქოზსა“ (20) და „ოჯეს“ (22) შუა (იქვე, გვ. 168), ნ. მარი მდ. ფურტუნას მარცხენა სანაპიროზე ასახელებს (მოგზ. გვ. 611). ხუთვერსიან რუკაზე ამავე სექტორშია ნაჩვენები „ბაქოზ“-ი და „აღვანა“, ამათ შორიახლოს საგულვებელია „თოლიქჩეთიც“.

ნ. მართანაა „თოლი-ქჩეთი“ (მოგზ. გვ. 611). ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 168), ქართულშია „თორიქჩეთი“ (იქვე, გვ. 156).

ა ღ ვ ა ნ ა

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-14-ა — „თორიქჩეთსა“ (13) და „ღუთხეს“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-5 — „სიფათსა“ (4) და „ღუთხეს“ (6) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე „ეკაქუზ“-ის სამხრეთითაა აღნიშნული („ღუთხა-დარასის“ მარცხენა სანაპირო).

ქართულ სიაშია „აღვანა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Агван“-ი და გვერდით ქართულად უწერია „აღვანნი“ (იქვე, გვ. 168). ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც. ნ. მართანაა — „ამგვანი“ (მოგზ. გვ. 611).

თ ი მ ს ი ვ ა თ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-8-ა — „საფათსა“ (7) და „მეკარესკილითს“ (9) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-9 — „ფელერგევათსა“ (8) და „ჩომილოს“ (10) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე „ავან“-ის სამხრეთითაა აღნიშნული.

ქართულ სიაშია „დემისვათ“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Тимисват“-ი და გვერდით ქართულად უწერია „თიმისვათი“ (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზეა „Тамсиван“-ი, ნ. მართან — „თი-მსივათი“ (მოგზ. გვ. 611), გვხვდება „დიმისვათი“-ც (იქვე) და სხვ.

ამ სახელწოდების სახეცვლილებათა გზა ნ. მარს ასე ესახებოდა: დიმისვათ-თიმისვათ-თი-მსივათ-ი (იქვე).

ფილარგივათი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-16-ა — „ღუთხესა“ (15) და „ორთაქოა“-ს (17) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156-157), რუსულში — მე-8 — „სალინკეისა“ (7) და „თიმისვათს“ (9) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი მდ. ფურტუნას მარცხენა სანაპიროზე მიუთითებს (მოგზ. გვ. 611). აქ დასახელებული სოფლებიდან ამ სექტორშია მხოლოდ ერთი — „თიშსივათი“ (ხუთვერსიანი რუკის „ტამსივან“-ი), რომლის შორიახლოც ფილარგივათია სავარაუდებელი.

ნ. მართანაა „ფილარგივათი“ (მოგზ. გვ. 611). ქართულ სიაშია „ფელერგივათ“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 168). უფრო სწორი თითქოს „ფილარგივათი“ უნდა იყოს შდრ. „ფილარდალი“. (ადგილი პოლენი სარფში), „ფილარგეთი“ (სოფ. არქაბეს უბანში).

მეკალესკირითი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-9-ა — „დემისფათსა“ (8) და „ძღეში სუფლას“ (10) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — 25-ეა — „წანოა“ (24) შემდეგ (იქვე, გვ. 168), ნ. მარი მდ. ფურტუნას მარცხენა სანაპიროზე ასახელებს (მოგზ. გვ. 611). ხუთვერსიან რუკაზე ამ სოფლებიდან ამავე ზონაში აღნიშნულია „დემისფათი“ („ტამსივან“-ი) და „ძღეში სუფლა“ („ზამი-ი-სურლი“), „მეკალესკირითი“-ც ამათ შორიახლოსაა საძიებელი.

ნ. მართანაა „მეკალესკირითი“ (მოგზ. გვ. 611). ქართულ სიაშია „მეკარესკილითი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Малескерит“-ი, ხოლო გვერდზე უწერია „მეკალესკირითი“ (იქვე, გვ. 168).

სირტი

ართაშენის უბნის სოფლების სიებში არ იხსენიება. ხუთვერსიან რუკაზე „ტამსივან“-ის სამხრეთითაა აღნიშნული. დატანილია

ხუთკილომეტრიან რუკაზეც. ამ უკანასკნელზეა „Серст“-ი, ხოლო პირველზე — „Сарст“-ი. „სირტი“ 28-ე სოფლადაა აღრიცხული („ხოლჯოსა“ (27) და „ვეჯე-სუფლას“ (29) შუა მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფელთა აღწერილობაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171). რუკების მიხედვით, „სერტ“-ი (ან „სარსტი“) უფრო ამ მდინარის შუა წელის სექტორშია, მაგრამ სიის მონაცემებზე უფრო სარწმუნო მაინც ეს არის. საინტერესოა ისიც, რომ იგივე სია ამ „მიკრონ კავალ“-საც (37) ფურტუნას ზემო წელზე უჩვენებს. რომელიც ხუთვერსიან რუკაზე ამ პუნქტის სამხრეთითაა აღნიშნული.

ამავე სახელით (სირთი) იწოდება იალაღი „აბუ-ვიჩე-დარასის“ სათავეებში (იხ. ზემოთ). იალაღის სახელი მისი მფლობელი სოფლის სახელწოდებისაგან წარმოდგება (მდრ. სოფ. სანო (ათინის უბანში) და იაილა სანო და სხვ.)

ძ ლ ე მ ი - ს უ ფ ლ ა

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-10-ა — „მეკა-რესკილითსა“ (9) და „მუტათს“ (10) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-11-ე — „ჩომილოსა“ (10) და „ღვანდს“ (12) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი, მდ. ფურტუნას მარცხენა სანაპიროზე ასახელებს — მეორე ზონაში (მოგზ. გვ. 612), ხუთვერსიან რუკაზე „დუთხა-დარასის“ ერთი უსახელო მარცხენა შენაკადის ქვემო დინებაშია ნაჩვენები, მარცხენა მხარეზე.

ქართულ სიაშია „ძღემი სუფლა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Згеми-Суф(ла)“ და გვერდით ქართულად უწერია „წალენი ძღემი, ჯილენი ძღემი“ (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზეა „Захм-и-Сурли“.

ძ ლ ე მ ი - უ ლ ი ა

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში 21-ეა — „ღე-რა/ე“-სა (20) და „წანოს“ (22) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — მე-19-ე — „ანავათსა“ (18) და „ბაქოზის“ (20) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე „ზახმი-სურლის“ ზემოთაა აღნიშნული, „დუთხა-დარასის“ უსახელო მარცხენა შენაკადის შარჯვენა სანაპიროზე.

ქართულ სიაშია — „ძღემი ულა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში — „Згеми-улья“ (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე — „Захм-и-уля“.

ი ა ნ ი ვ ა თ ი

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-2-ა — „შანგურსა“ (1) და „წიათს“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-18-ე — „შანგულსა“ (17) და „ზგემი-ულიას“ (19) შუა (იქვე, გვ. 168). ხუთვერსიან რუკაზე „ზანმ-ი-ულიას“ ზემოთაა ნაჩვენები, „დუთხა-დარასის“ უსახელო მარცხენა შენაკადის ზემო წელზე (მარცხენა სანაპიროზე).

ქართულ სიაშია — „იანივათ“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „Ениват“-ი და გვერდით ქართულად უწერია „იანივათი“ (იქვე, გვ. 168). ნ. მართანაა „ანივათი“ (მოგზ. გვ. 612)-ხუთვერსიან რუკაზეა „Баниват“-ი.

ზავიმ-დალი — მთა. ხუთვერსიან რუკაზე „ბანივატ“-ის მახლობლადაა აღნიშნული, სამხრეთით. ხუთკილომეტრიან რუკაზე არაა აღნიშნული და არც ი. ყიფშიძის, ნ. მარის და ჩვენთვის ამჯერად ხელმძღვანელმა სხვა მასალებში იხსენიება. ორონიმი „ზავიმ“-ი იაილას სახელადაც გვხვდება (იხ. ზემოთ).

ქ რ ი ლ

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-12-ა — „მუტაფსა“ (11) და „თორიქჩეთს“ (13) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — მე-10-ე — „თიმისვათსა“ (9) და „ზგემი-სუფლას“ (11) შუა (იქვე, გვ. 168). ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზე“ მდ. ფურტუნას „მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული, „ღვანთის“ სამხრეთით. ნ. მართანაა „ქომილო“ (მოგზ. გვ. 611). ასევეა ი. ჯავახიშვილის რუკაზე და ართაშენის უბნის სოფელთა ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში კი არის „Комило“ და გვერდით ქართულად უწერია „რომილო“ (იქვე, გვ. 168). ეს ფორმა ნ. მარსაც დაუდასტურებია (მოგზ. 611). ამისვე დამახინჯებად მიაჩნია ხუთვერსიანი რუკის „ჩუმალი“ (იქვე). ხუთვერსიანი რუკის გვიანდელ რედაქციაში არ იხსენიება.

ს ა კ

ათინას უბნის სოფლების ქართულ სიაში 41-ეა — „კოსტანევათის“ (40) შემდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში — 43-ე — ისევე კოსტანევათის (42) მომდევნო და ისევე უკანასკნელი (იქვე, გვ. 170). ნ. მარი მდ. ათინას აღმოსავლეთით ასახელებს — შესამე ზონაში (მოგზ. გვ. 610). ი. ჯავახიშვილის „საქართველოს

საისტორიო რუკაზე“ მდ. „ფორტუნას“ მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული, „ქომილოს“ აღმოსავლეთით.

სახელწოდების გადმოცემაში რაიმე სხვაობა არ შეგვხვებოდა.

ხაკო-დარასი — მდინარე. ათინას უბნის სოფლების რუსულ სიაში ამ მდინარეზეა აღნიშნული სოფ. წუკიტა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170).

ა ბ ი ჩ ხ რ

ართაშენის უბნის სოფლების ქართულ სიაში მე-6-ეა — „ოკორდულსა (5) და „სიფათს“ (7) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — 23-ე — „ოჯესა“ (22) და „წანოს“ (24) შუა (იქვე, გვ. 168). ნ. მარი მდ. ფურტუნას მარცხენა სანაპიროზე ასახელებს (მოგზ. გვ. 611). ასევეა ი. ჯავახიშვილის „საქართველოს საისტორიო რუკაზეც“, სადაც ის „ხაკოს“ სამხრეთით და „ვიჯეს“ დასავლეთითაა აღნიშნული. ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზე არაა.

მ. მართანაა „აფიხხო“ (მოგზ. გვ. 611), ასევეა ი. ჯავახიშვილის რუკაზე, რომელიც ნ. მარის ნაშრომს ემყარება ძირითადად. ქართულ სიაშია — „ობიხხო“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 156), რუსულში — „აბიხხო“ (იქვე, გვ. 168) და ხალხურ მეტყველებაშიც ამ ფორმითაა დადასტურებული (იქვე, გვ. 153).

ბუიუკ-დერე — მდინარე ფურტუნას მარცხენა შენაკადი. მოედინება ჭანეთის მთიდან. მისი ზოგიერთი შენაკადი „კაჩკარ-დალიდან“ მოედინება, ზოგიც „ჭინოტ-დალიდან“, სხვები — „ტატუს-და-ოლარიდან“, „ვერჩინიკ-თეფედან“ და ა. შ. ხუთკილომეტრიან რუკაზე ამათგან სახელით მხოლოდ რამდენიმეა აღნიშნული: „ხალა-დერე“ და „იაილა-დერე“ (ორივე მარჯვენა მხრიდან შეერთვიან).

ბ ე ზ ი ნ ა

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში 35-ეა — „ჩინგითსა“ (34) და „ჯანტ-ტიუბირას“ (36) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171). ხუთკილომეტრიან რუკაზე მდ. „ბუიუკ-დერეს“ მარცხენა მხარეზეა აღნიშნული (საკმაოდ მოშორებით), „მამქოის“ აღმოსავლეთით.

სოფლების სიაშია „Тезина“ და გვერდით ქართულად უწერია „ტენზინა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171). ხუთკილომეტრიან რუკაზეა „ტენინე“.

მ ა კ რ ე ვ ი ს ი

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში მე-10-ა — „ზუგასა“ (9) და „ქიუშივას“ (11) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 176). ამ პუნქტს უნდა გულისხმობდეს ხუთვერსიანი რუკას „Микрубис“, რომელიც „ჯანუტ“-ის სამხრეთითაა აღნიშნული, „ბუიუკ-დერეს“ მარჯვენა სანაპიროზე.

პ ი უ შ ი ვ ა

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში მე-11-ა — „მაკრევისა“ (10) და „ჩინჩივას“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170). პირველის ადგილმდებარეობაზე უკვე ითქვა, მის შორიახლოსაა საძიებელი ეს პუნქტიც.

რუსულადაა „Кюшива“ და გვერდით ქართულად უწერია „ჩიუშივა“ (იქვე).

ჩ ი ნ ჩ ი ვ ა

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში მე-12-ა — „ქიუშივასა“ (11) და „მოლლვას“ (13) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170). პირველის სავარაუდო ადგილსამყოფელზე ითქვა (მაკრევისის შორიახლოს), მეორეც რამდენადმე ზემორე მდებარეობს, „ბუიუკ-დერეზე“ (ხუთკილომეტრიანი რუკა), იქვე ახლოსაა საძიებელი „ჩინჩივა“-ც.

იუსკიუტ-დადი — მთა. „ბუიუკ-დერეს“ მარცხენა სანაპიროზე, „ტეზინეს“ სამხრეთით (ხუთკილომეტრიანი რუკა).

მ ო ლ ლ ვ ა ო ს

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში მე-13-ა — „ჩინჩივასა“ (12) და „კომნას“ (14) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170). ხუთკილომეტრიან რუკაზე „ბუიუკ-დერეს“ მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული, „იუსკიუტ-დადის“ აღმოსავლეთით.

სოფლების სიაშია „Моллваос“. ა. ჩიქობავას შენიშვნით, ი. ყიფშიძის დღიურში ამას გვერდზე მიწერილი ჰქონია „მოლოვიწყი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171, და იქვე, შენიშვნა 5), ხუთკილომეტრიან რუკაზეა „Моллавеис“.

მოლლავესი — ღელე. იხსენიება ი. ყიფშიძის დღიურში „ელევიტისა“ და „ვიჯეს“ გასწვრივ კიდევუგაკეთებულ მინაწერში (ჭან. მოგზ. გვ. 171, რუდ. შენიშვნა 4).

კოლონა

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში მე-14-ა — „მოლვაოსსა“ (13) და „მეიდანს“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170). ორივე სოფელი აღნიშნულია ხუთკილომეტრიან რუკაზე (ორივე — „ბუიუკ-დერეს“ მარჯვენა სანაპიროზე — პირველი ქვემოთ, ხოლო მეორე — ზემოთ), სადღაც ამავე სექტორშია საგულვებელი „კოლონა“-ც.

რუსული დაწერილობითაა „კომნა“ და გვერდით ქართულად უწერია „კოლონა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170).

მეიდანო

მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფლების სიაში მე-15-ა — „კომნასა“ (14) და „ჩატი“-ს (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170). ხუთკილომეტრიან რუკაზე — „მოლლაგეისის“ ზემოთაა აღნიშნული, „ბუიუკ-დერეს“ მარჯვენა სანაპიროზე.

კობუჯა

